საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 82-83 (361-62) შაბათი, 16 მაისი, 1992 წელი ფასი 2 მანეთი

დიდი წინაპარი შეგვაგონებს:

> გარს გვარტყია ვით სარტყელი სულ სხვადასხვა მტერთა გუნდი,
> ჩვენ ერთმანეთს ხმალსა ვსცემდით, ეგ რჩევა არს დიალ ცუდი!
>
> დავით გურამიშვილი

წუხელ შევიტყვეთ

სახელმწიფო საბჭოს პრესცენტრის ცნობა

გუშინ, 15 მაისს, ქ. გორში გაიმართა ოპერატიული თათბირი, რომელმაც განიხილა ცხინვალის რეგიონში ცეცხლის შეწყვეტისა და ადგილობრივი მოსახლეობის დაცვის სასწრაფო ღონისძიებათა განხორციელების საკითხი. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჯაბა იოსელიანი, სახელმწიფო საბჭოს საგანგებო რწმუნებული ცხინვალის რეგიონში რობინზონ თუშურაშვილი, დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები.

თათბირის ანგარიში გამოქვეყნდება.

• • •

15 მაისს ნაშუადღევს ცხინვალის რაიონის ქართული სოფლების წარმომადგენლებთან შეხვედრისთანავე, ბატონი ედუარდ შევარდნაძე, მის მიერ მოწვეულ სამხრეთ ოსეთის დელეგაციასთან ერთად, რომელსაც ხელმძღვანელობს მეზობელი რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე იური ბირაგოვი, გაფრინდა გორს.

შემდეგ ისინი სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილესთან ჯაბა იოსელიანთან, რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილესთან ალექსანდრე კავსაძესთან, შინაგან საქმეთა მინისტრთან რომან გვენცაძესთან, ცხინვალის რეგიონში სახელმწიფო საბჭოს რწმუნებულთან რობინზონ თუშურაშვილთან, გორის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარესთან ვალერიან ლოლიაშვილთან და სხვა პასუხისმგებელ მუშაკებთან ერთად ავტომანქანებით ცხინვალისკენ გაემართნენ.

აქ გაიმართა შეხვედრა ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან და საზოგადოებრიობასთან. დავა არ გამოუწვევია ორმხრივი გადაწყვეტილების მიღებას ცეცხლის შეწყვეტის, ნებისმიერი შეიარაღებული შეტაკების აღკვეთის, როგორც კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობის შესახებ.

შემდეგ შეხვედრის მონაწილეებმა მოიარეს და დაათვალიერეს პრაქტიკულად მთელი ქალაქი, ეწვივნენ სოფლებს თამარაშენს, ერედვს, ნიქოზს, სადაც ესაუბრნენ ადგილობრივ მცხოვრებლებს.

ამის შედეგად 15 მაისს ღამით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, ცხინვალის რეგიონის ყველა უბანში იყო სიმშვიდე, არ მომხდარა არავითარი თავდასხმები, არ მიმდინარეობდა სროლა. გარდა ამისა, 14 მაისს, 12 საათზე გენერალ რ. თუშურაშვილსა და ბატონ ტ. კულუმბეგოვს შორის დაიწყო მოლაპარაკება ცეცხლის შეწყვეტის გარანტიათა ოფიციალური დამტკიცების, მოლაპარაკების გაგრძელების ერთობლივ ღონისძიებათა შემუშავებისა და ამჟამად არსებული ყველა პრობლემის მოგვარების თაობაზე.

სამხედრო კომენდანტის ცნობა

15 მაისს დღისით თბილისის რუსთაველის პროსპექტზე საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობა შეწყდა. ყოფილი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის შენობასთან, სადაც ამჟამად საქართველოს სახელმწიფო საბჭოა დაბინავებული, მოვიდნენ შიდა ქართლიდან ჩამოსული ლტოლვილები. მალე პროსპექტს ალყა შემოარტყა მილიციამ.

— ეს ღონისძიებანი, რა თქმა უნდა, მიმართული არ ყოფილა სამართლიანობისა და დაცვის საძიებლად შიდა ქართლიდან ჩამოსული მცხოვრებლების წინააღმდეგ, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ქალაქის სამხედრო კომენდანტის მოადგილემ როლანდ ლიპარტელიანმა. — იგი მიმართული იყო ექს-პრეზიდენტის იმ მომხრეთა წინააღმდეგ, რომლებიც ნებისმიერ შესაძლებლობას იყენებენ სიტუაციის დესტაბილიზაციისთვის. ამჟამად მათ სცადეს შეერთებოდნენ ლტოლვილებს, მოეწყოთ მიტინგი კინოს სახლთან. შემდეგ 500-600 კაცისაგან შემდგარი ბრბო უნივერსიტეტისკენ გაემართა, მაგრამ ესეც ვერ მოახერხეს.

საქართველოს სახელმწიფო საბჭოში

პირველი ნაბიჯები — პირველი იმედები

ჩვენი საზოგადოებრიობის ინტერესი საქართველოს სახელმწიფო საბჭოს მუშაობისადმი მუდამ დიდია, მაგრამ 14 მაისს გამართულ მის მორიგ სხდომაზე მოსულ ჟურნალისტთა რიცხვმა ყველა რეკორდს გადააჭარბა. ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა. წინა დღით ამ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ხომ ცხინვალში პირველად ჩავიდნენ რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ეშელონის წარმომადგენლები. ამასთან ამ წვევის შედეგი გახდა ხვრელი დაპირისპირების ყრუ კედელში, რომელიც აღიმართა არა მარტო უბრალოდ ერთი სახელმწიფოს მოქალაქეთა, არამედ გუშინდელ მეზობლებს შორის, რომელთა სახლებსაც ჩვეულებრივად აერთიანებდა სიკეთის, სითბოს, ადამიანურობის ბილიკი. ასე იყო. ახლა? ვითარება ცხინვალის რეგიონში უმძიმესია, თქვა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ სხდომაზე გამოსვლისას. მაგრამ ყველაზე საზარელი, ხაზი გაუსვა მან, ის არის, რომ ადამიანთა გულში ფესვი გაიდგა უნდობლობამ, სიძულვილმა, გაბოროტებამ, შეურიგებლობის ლვარძლმა, ასეთ ვითარებაში კი ყოველ წუთს მოსალოდნელია ხანძარი, რომელიც შთანთქავს ადამიანთა სიცოცხლეს. ამ რეგიონში გამგზავრების გადაწყვეტილება მაშინვე იქნა მიღებული, როგორც კი გაიმართა შეხვედრა შიდა ქართლიდან ჩამოსულ ლტოლვილებთან. და ბუნებრივია, რომ გორის, კონფლიქტის ზონის სოფლების ადგილობრივ მცხოვრებლებთან პირველივე საუბრები არა ყოფილა მარტივი, მაგრამ საერთოდ კონსტრუქციული გამოდგა. ადამიანები სამართლიანად მოითხოვდნენ ბოლო მოეღოს უმიზნო კონფრონტაციას, გამოინახოს პრობლემის გადაჭრის გზები. თავმჯდომარე დინჯად საუბრობდა, მაგრამ მასაც კი გაუჭირდა არ გამოემჟღავნებინა შინაგანი მღელვარება, ანდა როგორ უნდა მოთოკო ემოციები, როცა საქმე ეხება ადამიანთა ბედს, მათ სიცოცხლეს, ბავშვებს... სწორედ ამ გრძნობებმა პირწმინდად უგულებელყო საკუთარი უსაფრთხოების აზრი, როცა თბილისიდან ცხინვალში ჩასული ედუარდ შევარდნაძე და ჯაბა იოსელიანი, იმის მიუხედავად, რომ ადგილობრივი ხელმძღვანელობა კატეგორიულად მოითხოვდა, ქალაქში უმცველობოდ გავიდნენ, ამ სიტუაციაში ამორალურად მიიჩნიეს თვით ამისთვის ზრუნვა.

ქალაქმა, მეტი რომ არა ვთქვათ, უაღრესად სამწუხარო შთაბეჭდილება მოახდინა — გადაბუგული და დანგრეული სახლები, ქართველთა მიერ მიტოვებული ბინები... და საყვედურები — იმიტომ, რომ ასე დიდხანს არ ჩასულა არავინ, ქალთა და მათ კალთას ამოფარებულ ბავშვთა ცრემლები. ტკივილი და შიში მათ თვალებში, იმედის ნაპერწკალი...

ვერ ვიტყვით, რომ სჯა-ბაასი შეხვედრაზე, რომელშიც ადგილობრივი ხელმძღვანელობის გარდა მონაწილეობენ ჩრდილოეთ ოსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები, აგრეთვე აქ ჩამოსული ალექსანდრე ძასოხოვი, ადვილი გამოდგა. მაგრამ ეს დიალოგი გაიმართა. მხარეებმა ურყუმანოდ დაუჭირეს მხარი იმას, რომ კონფლიქტის გადასაწყვეტად, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა შეწყდეს ცეცხლი. სხვათა შორის, სოფლებში ყოფნის, ცხინვალში მოლაპარაკების დროსაც სროლა პრაქტიკულად არ შეწყდარა. ერთ მომენტში კი გაძლიერდა კიდეც. და მაინც, შეთანხმების მიღწევა მოხერხდა. ამის შედეგად უკვე მეორე დღეს, ნაშუადღევს ცხინვალის რეგიონში საქართველოს სახელმწიფო საბჭოს რწმუნებულმა რობინზონ თუშურაშვილმა და ადგილობრივი ადმინისტრაციის მეთაურმა ტორეზ კულუმბეგოვმა ხელი მოაწერეს შესაბამის დოკუმენტს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. გადაწყდა შეიქმნას ერთობლივი შერეული სამუშაო ჯგუფები, რომლებიც კონტროლსა და კოორდინაციას გაუწევენ მოქმედებას, დაამყარებენ მუდმივ კონტაქტებს მხარეთა შორის. რეგიონში მყოფ ეროვნული გვარდიისა და მილიციის ქვედანაყოფებს მიეცათ მითითება განუხრელად დაიცვან დისციპლინა, არ დაუშვან არავითარი თვითნებური მოქმედება, უზრუნველყონ მოსახლეობის უსაფრთხოება.

როგორც ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, ამ სიტუაციაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ობიექტური ინფორმირება, ოპერატიული რეაგირება ნებისმიერ დეზინფორმაციაზე, რითაც ასე ხშირად სცოდავენ მასობრივი ინფორმაციის საზღვარგარეთის საშუალებები, უფრო ყურადღებიანი უნდა იყვნენ რესპუბლიკურ უწყებათა შესაბამისი სამსახურებიც, რომლებიც ყოველთვის შეუმოწმებელ ცნობებს როდი აქვეყნებენ. ითქვა, რომ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა რეგიონში დამყარდეს მშვიდობა და ადამიანებმა მოიშუშონ უაზრო დაპირისპირებით მიყენებული ღრმა იარები.

ნაძალადევის რაიონის მაგალითზე ქალაქ თბილისის ზოგიერთი სოციალური პრობლემის შესახებ ილაპარაკა ამ რაიონის გამგეობის თავმჯდომარემ თამაზ აბულაძემ. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ ახლა რაიონი სერიოზულ სიძნელეებს განიცდის, რადგან აქ მდებარე სამრეწველო საწარმოები რამდენიმე თვის მანძილზე პრაქტიკულად დგებოდა. არადა ამ საწარმოებში 22 ათასზე მეტი კაცი მუშაობს. ეს ნიშნავს, რომ ფაქტობრივად არსებობის საშუალება მოკლებული აქვს ამდენსავე ოჯახს, ესე იგი ათი ათასობით ადამიანს. რაიონის ეკონომიკისთვის განსაკუთრებით მტკივნეული იყო ენერგეტიკული კრიზისი. მართალია, ახლა ვითარება სწორდება, მაგრამ ჯერჯერობით საწარმოებს ნორმალური რიტმით მუშაობის მოგვარება უჭირთ. მაგალითად, ჩარხსაშენებელ ქარხნებში არის მზა ჩარხები, რომლებიც მომხმარებლებისთვის ვერ გაუგზავნიათ უვაგონობის გამო. რაიონს დღემდე არა აქვს დამტკიცებული ბიუჯეტი. ესა და სხვა პრობლემები გადაუდებელ გადაწყვეტას მოითხოვს, რათა გაჩნდეს მოსახლეობის სოციალური დაცვის ზომების მიღების შესაძლებლობა და მან შესაბამისი წვლილი შეიტანოს ქალაქისა და რესპუბლიკის ეკონომიკის განმტკიცებაში.

აზრი გაუზიარეს რა ერთმანეთს ამ საკითხზე, სახელმწიფო საბჭოს წევრებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ შექმნილი ვითარებიდან გამოსვლის საწინდარია მეურნეობრიობის ახალი ფორმების უფრო გაბედული დანერგვა, საბაზრო ურთიერთობის ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება.

სხდომაზე მოისმინეს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილის, საგარეო საქმეთა მინისტრის ალექსანდრე ჩიკვაიძის ინფორმაცია ბელგიაში საქართველოს დელეგაციის მოგზაურობის შედეგების შესახებ, სადაც იგი მონაწილეობდა ევროპის გაერთიანების სესიის მუშაობაში. მან დაწვრილებით ილაპარაკა ბრიუსელში გამართული შეხვედრებისა და საუბრების შესახებ, გააანალიზა დასავლეთის ქვეყნების პოზიცია სსრ კავშირის ყოფილი რესპუბლიკების, კერძოდ, საქართველოს მიმართ, ჩვენი ევროპის ქვეყნებთან რესპუბლიკის თანასწორუფლებიანი ურთიერთობის განვითარების პერსპექტივებს.

სახელმწიფო საბჭომ მოიწონა საქართველოს დელეგაციის მუშაობა, მთლიანად დადებითი შეფასება მისცა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმიანობას.

იურიდიული კომისიის წარდგინებით სახელმწიფო საბჭომ განიხილა პროექტი დეკრეტისა საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის შესახებ, რომელიც ძირითადად მოწონებული იყო ჯერ კიდევ წინა სხდომებზე. მაგრამ ამჯერადაც ვერ შეთანხმდნენ საკითხზე, რომელიც პროკურატურისა და სასამართლოს ურთიერთობას ეხება. საკმაოდ ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ გადაწყვიტეს განაახლონ განხილვა შემდეგ სხდომაზე.

სახელმწიფო საბჭომ განიხილა სხვა საკითხებიც.

ნომერში

● რესპუბლიკის პროკურატურის 13 შეკითხვა ექსპრეზიდენტს. 2-3
● ეთნოკონფლიქტები და ყოფილი ცენტრის ინტერესები. 5
● ახალგაზრდა ქართველი მეცნიერის წვლილი გერმანულ ლინგვისტიკაში. 6

საუბარი საქართველოს სახელმწიფო საბჭოში

15 მაისს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ირანის ისლამური რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მაჰმუდ ვაეზი.

მისალმებისას ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ საქართველოსა და ირანს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება მნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოს ცხოვრებაში და იგი ორ ქვეყანას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ახალ ფართო პერსპექტივებს სახავს. სახელმწიფო საბჭოს მეთაურმა კმაყოფილება გამოთქვა ირანის საგარეო პოლიტიკის გამო, რომელიც „ცდილობს ახალი საფუძველი შეუქმნას ურთიერთობას ყოფილი სსრ კავშირის რესპუბლიკებთან, კერძოდ, ამიერკავკასიის ქვეყნებთან".

შეეხო რა კავკასიისა და ამიერკავკასიის პრობლემებს, ბატონმა შევარდნაძემ თქვა: „ჩვენ გვესმის, რომ ამ რეგიონში შფოთიანობამ შეიძლება მრავალი საზრუნავი გაუჩინოს როგორც ჩვენს მეზობლებს, ისე ევროპის ქვეყნებს, თუ კონფლიქტები გაჭიანურდა, მაშინ მათში შეიძლება ამოჩნდნენ ჩათრეული მომიჯნავე სახელმწიფოებიც. ამის დაშვება არ შეიძლება".

საუბრის დროს აღინიშნა, რომ ახალი სიტუაცია მოითხოვს ახალ პოლიტიკას. და ირანი თავისი მაგალითით ადასტურებს ახალი პოლიტიკური პრინციპის ერთგულებას. შეეხნენ რა საქართველოს საგარეო პოლიტიკის პერსპექტივებს ედუარდ შევარდნაძემ თქვა, რომ, როგორც იგი მიიჩნევს საქართველო თავის საგარეო ურთიერთობას წარმართავს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებზე, და უწინარესად მეზობელ ქვეყნებზე ორიენტაციით.

საქართველოს სახელმწიფო საბჭოს მეთაურმა სთხოვა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრს გადასცეს საუკეთესო სურვილები ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტს ჰაშემი რაფსანჯანის, ქვეყნის სხვა ხელმძღვანელებს, რომელთა შორის, როგორც მან აღნიშნა, ბევრი მეგობარი ჰყავს.

ბატონმა მაჰმუდ ვაეზიმ მადლობა გადაიხადა გულთბილი მიღებისთვის და ედუარდ შევარდნაძეს გადასცა თავისი ქვეყნის პრეზიდენტის სალამი, აღნიშნა, რომ ირანის მთავრობა და ხალხი ცდილობენ განავითარონ ცხოველი ურთიერთობა საქართველოსთან.

— ჩვენ ბატონ შევარდნაძის უშუალო დამსახურებად მივიჩნევთ, — თქვა მან, ირანსა და ყოფილ სსრ კავშირს შორის ურთიერთობის ნორმალიზაციასა და გაუმჯობესებას, სწორედ ამ კონტექსტით განვიხილავთ თქვენს როლს ჩვენს ქვეყნებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებაში.

დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ თეირანში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მომავალ ვიზიტს, თქვა ირანის დელეგაციის მეთაურმა, რომლის დროსაც უნდა დაიდოს ორ ქვეყანას შორის ხელშეკრულება ფართო სპექტრით თანამშრომლობის შესახებ. ჩვენმა მხარემ უკვე მოამზადა ფართო კონტაქტების — პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული კონტაქტების შესახებ წინადადებათა დიდი პაკეტი.

საუბარში მონაწილეობდა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე.

საქართველოს მთავრობაში

იქნება სტაბილურობის რეალური საფუძველი

საქართველოს მთავრობის დელეგაცია დაბრუნდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან, სადაც მონაწილეობდა საერთაშორისო სავალუტო ფონდში ჩვენი რესპუბლიკის შესვლის შესახებ დოკუმენტის ხელმოწერის ოფიციალურ ცერემონიაში. თუ როგორ მიმდინარეობდა ეს ცერემონია, რა პერსპექტივებს უსახავს საქართველოს ამ უაღრესად ავტორიტეტული საფინანსო ორგანიზაციის წევრობა, რომელიც ახლა მსოფლიოს 146 ქვეყანას აერთიანებს, ყოველივე ეს დელეგაციის ხელმძღვანელმა, პრემიერ-მინისტრის პირველმა მოადგილემ ოთარ ქვილითაიამ მოახსენა 15 მაისს გამართულ მთავრობის პრეზიდიუმის მორიგ სხდომას.

მან ხაზგასმით აღნიშნა აღსრულებული აქტის განსაკუთრებული მნიშვნელობა და, კერძოდ, თქვა, რომ საქართველო, რომელიც ამიერიდან იღებს უფლებას მოქმედებდეს საერთაშორისო სავალუტო ფონდის ეგიდით, ამავე დროს ხდება საიმედო გარანტიც საზღვარგარეთის ქვეყნებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან საფინანსო-ეკონომიკურ და საბანკო ურთიერთობაში. ეს, სხვათა შორის, დაადასტურა დელეგაციის შეხვედრებმაც ბიზნესმენებთან, საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან ვაშინგტონსა და ნიუ-იორკში, რომელთა დროს განიხილეს მრავალი ურთიერთხელსაყრელი წინადადება საქართველოს ეკონომიკაში ამერიკული კაპიტალის საკრედიტო ინვესტიციების თაობაზე. ახლა ამოცანა ის არის, შენიშნა ვიცე-პრემიერმა, რომ რესპუბლიკის ეკონომიკური სამსახურები, ბანკები ჯეროვნად მოემზადონ უკვე უახლოეს დღეებში დაგეგმილი შეხვედრებისთვის, როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ისე მსოფლიო ბანკის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, სხვა ორგანიზაციების ექსპერტებთან, რომლებიც ჩამოდიან იმ პროგრამების შესწავლისა და ანალიზის მიზნით, საქართველოს რომ შესთავაზეს ამ ორგანიზაციებმა.

სხდომაზე კიდევ ერთი სასიამოვნო ამბავი გამოაცხადა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრმა ირაკლი მეგრელაძემ. სანამ პრეზიდიუმის განსახილველად მისი უწყების მიერ მომზადებულ საკითხებს გამოიტანდა, მან თქვა, რომ ამ დღეებში საქართველო ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი გახდა. რაც შეეხება მინისტრის მიერ წარმოდგენილ საკითხებს, ერთ-ერთი მათგანი ითვალისწინებს სოციალური დაზღვევის კომისიების შექმნას, რომლებიც ამა წლის პირველ ივლისამდე უნდა ჩამოყალიბდეს ყველა დაწესებულებაში, საწარმოში, მეურნეობაში, კოოპერატივში, სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მათი საკუთრების ფორმების მიუხედავად. მეორე კი შეეხება ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს და სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი რესპუბლიკური ფონდის დირექციის ინსტრუქციას დროებითი შრომისუუნარობის ფურცლების გაცემის, გაფორმებისა და აღრიცხვის წესის შესახებ. ორივე ამ საკითხს, ისევე როგორც, სხვათა შორის, მოსახლეობის სოციალური დაცვის, სხვადასხვა დარგის მუშაკთა მატერიალური უზრუნველყოფის სხვა საკითხებს, მხარი დაუჭირა მთავრობამ, რაც აისახა მის შესაბამის დადგენილებებში.

რესპუბლიკის უაღრესად რთული ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად, მთავრობა გაგებით მოეკიდა საქართველოს სახელმწიფო კინოკორპორაციისა და სტუდია „სინემას" გაჭირვებას, რომლებიც მთელი რიგი მიზეზების გამო გაკოტრების რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. გადაწყდა ჩამოაწერონ მათ ბანკის ვადაგადაცილებული ვალები: კინოკორპორაციას — 12 მილიონი მანეთი, ხოლო სტუდია „სინემას" — 760 ათასი მანეთი, და გადაიტანონ იგი რესპუბლიკის საშინაო ვალის ანგარიშზე.

მთავრობის პრეზიდიუმმა განიხილა საქართველოს და ყოფილი სსრ კავშირის სხვა სუვერენულ სახელმწიფოთა შორის 1992 წლის სამთავრობათშორისო სავაჭრო-ეკონომიკური შეთანხმებების გაფორმების მიმდინარეობისა და მათი რეალიზაციის ღონისძიებათა საკითხი. აღინიშნა, რომ ასეთი შეთანხმებანი უკვე დაიდო უკრაინასთან, მოლდოვეთთან, აზერბაიჯანთან, ლატვიასთან, ლიტვასთან, ყირგიზეთთან, სომხეთთან, ტაჯიკეთთან და ქალაქ მოსკოვთან, ხელმოსაწერად მზად არის სავაჭრო ეკონომიკური შეთანხმებები რუსეთის ფედერაციასთან, ყაზახეთთან, ბელორუსეთთან, უზბეკეთთან, თურქმენეთთან და ესტონეთთან. სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს დაევალათ უზრუნველყონ რესპუბლიკის ვალდებულებათა შესრულება.

საქართველოს მთავრობამ გააუქმა ყველა სახეობის საბაჟო გადასახდელები, რომლებიც ყოფილი სსრ კავშირის ორგანოებმა დააწესეს რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ყველა სახეობის სასაქონლო-საექსპორტო ოპერაციებისთვის გადაწყვეტილია შემოიღონ დროებითი ერთიანი საბაჟო გადასახადი საკონტრაქტო ღირებულების რვა პროცენტის ოდენობით, ხოლო ყველა სახეობის სასაქონლო-საიმპორტო ოპერაციებისათვის — დროებითი ერთიანი საბაჟო გადასახადი შეადგენს საკონტრაქტო ღირებულების ორ პროცენტს. გადაწყვეტილია ბაჟისაგან განთავისუფლდეს მხოლოდ რესპუბლიკაში იმპორტირებული სასურსათო პროდუქტები, გარდა თამბაქოს ნაწარმისა და ალკოჰოლიანი სასმელებისა. მთლიანად მოწონებულია და გადაწყვეტილია განსახილველად წარედგინოს საქართველოს სახელმწიფო საბჭოს პროექტები დეკრეტებისა „საქართველოს რესპუბლიკაში მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების შესახებ", „საწარმოთა გაკოტრების შესახებ", „ქონებაზე გირავნობის უფლების შესახებ".

სხდომაზე განიხილეს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების სხვა საკითხებიც.

ინტერვიუ ნომერში

დაფინანსდება აღორძინების პროგრამა

1992 წლის 5 მაისს ვაშინგტონში ოფიციალურ დოკუმენტებზე ხელმოწერით დადასტურდა, რომ ამიერიდან საქართველო საერთაშორისო სავალუტო ფონდის სრულუფლებიანი წევრია.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის დროებითი მთავრობის თავმჯდომარემ — პრემიერ-მინისტრის პირველმა მოადგილემ ოთარ ქვილითაიამ ინტერვიუ მისცა გაზეთების „საქართველოს რესპუბლიკის", „სვობოდნაია გრუზიასა" და საქინფორმის კორესპონდენტებს.

— **5 მაისს** საერთაშორისო სავალუტო ფონდის ცენტრალურ ფოიეში, ოფიციალური ცერემონიალებისთვის განკუთვნილ ადგილას აღმართული საქართველოს სახელმწიფო და სავალუტო ფონდის დროშები და წარწერა „ჯორჯია" იუწყებოდა, რომ ეს დღე საქართველოს დღე იყო.

ჩვენმა დელეგაციამ იმ დილასვე ჩამოიარა დეპარტამენტები. წარვადგინეთ წერილები ბატონების ედუარდ შევარდნაძის და თენგიზ სიგუას ხელმოწერით, რომლებითაც ვაცნობებდით, რომ ყველა ოფიციალური მოთხოვნა რესპუბლიკამ შეასრულა, ჩემი წერილობითი დასტური, რომ დავიცავ სავალუტო ფონდის წესდებით გათვალისწინებულ მოვალეობებს

(დასასრული მე-2 გვ.).

სურათზე: საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციის წევრები ოთარ ქვილითაია, გურამ ბერიძე და ირაკლი ზილეშიძე საერთაშორისო სავალუტო ფონდის დეპარტამენტების ხელმძღვანელებთან ერთად.

ფონდის პრესცენტრის ფოტო.

როგორ ვუშველოთ საქართველოს?

ყველაფერს ფული უნდა



აკაკი ბაქრაძე

ისტორიას თვალს თუ გადავავლებთ, დავინახავთ, რომ ყოველ საუკუნეს თავისი ძირითადი შინაარსი აქვს. იგი წითელ ხაზად გასდევს მთელ ეპოქას. მაგალითად, იყო გეოგრაფიულ აღმოჩენათა საუკუნე, როცა ესპანელები, ინგლისელები, პორტუგალიელები თუ სხვანი ახალ-ახალ უცხო ხალხებსა და ქვეყნებს აგნებდნენ და კაცობრიობის თვალსაწიერს აფართოებდნენ. იყო კოლონიურ იმპერიათა შექმნის საუკუნე. ესპანელები, ინგლისელები, რუსები, ფრანგები, რიცხობრივად უფრო მცირენიც — პორტუგალიელები, ბელგიელები, ჰოლანდიელები აყალიბებდნენ თავიანთ უზარმაზარ იმპერიებს.

მე-20 საუკუნე კი დეკოლონიზაციის ეპოქაა. ეროვნული სახელმწიფოების შექმნა მისი ძირითადი შინაარსი.

პირველი მსოფლიო ომის შედეგად დაიშალა ავსტრია-უნგრეთის, გერმანიის, თურქეთის იმპერიები. მეორე მსოფლიო ომმა სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის იმპერიებს. კოლონიები დაკარგეს პატარებმაც — პორტუგალიამ, ბელგიამ, ჰოლანდიამ. ცხადად ჩანდა, რომ დეკოლონიზაციის ეპოქა ხელუხლებელს არ დატოვებდა რუსეთის იმპერიასაც. უკვე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მარტივი ლოგიკა ითხოვდა მიხვედრას, რომ ვერც სსრკ გადაურჩებოდა დეკოლონიზაციას, ანუ ისიც დაიშლებოდა ეროვნულ სახელმწიფოებად. ადამიანთა საზოგადოების ცხოვრებაში ისტორიული პროცესი ისევე თითქმის სიზუსტითა და კანონზომიერებით მიმდინარეობს, როგორც თავად ბუნების პროცესები. დაწყებული პროცესი აუცილებლად უნდა დამთავრდეს. იგი შუა გზაზე ვერ შეჩერდება. როდესაც დედამიწის წიაღში ვულკანური ენერგიის დაგროვება იწყება, გარდაუვალად უნდა ამოიფრქვეს. მას ვერაფერი გადაეღობება წინ. როდესაც მსოფლიოში დეკოლონიზაციის პროცესი დაიწყო, ეს ნიშნავდა, რომ, ადრე თუ გვიან, იგი სრულად უნდა დამთავრებულიყო. დეკოლონიზაციის ციკლის დასრულება კი სსრკ-ის დაშლასაც უთუოდ გულისხმობდა.

ტრაგიკული უმეცრების გამო ეპოქის ძირითადი შინაარსი ვერ ამოვიცანით. ბოლშევიზმის მმართველობამ ისეთი შიში და ძრწოლა დანერგა, რომ ველარ დავიჭირეთ სსრკ-ის ბუნებრივი დაქცევა.

ვერც მეორე დიდი ისტორიული პროცესის შედეგი განვჭვრიტეთ. მეორე მსოფლიო ომი რომ დამთავრდა, კაცობრიობა აშშ-მა და სსრკ-მა გაიყვეს. ანტიგერმანული კოალიციის კიდევ ორ მონაწილეს — დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს — არაფერი ერგო. პირიქით, რაც ჰქონდათ, ისიც დაკარგეს. აშშ და სსრკ გახდნენ მსოფლიო ბატონ-პატრონები, მადა ჭამაში მოდისო, და არც აშშ-მა იკმარა ის, რაც მიიღო, და არც — სსრკ-მა. ორივემ პირველობა მოინდომა და ერთმანეთს წაეკიდნენ. რაკი ცხელ ომში გამარჯვების იმედი არც ერთს არ ჰქონდა, ცივი ომი გააჩაღეს. ათეული წლები გაგრძელდა ეს ომი. მართალია, მას ცივი ერქვა, მაგრამ ცეცხლიც ბევრგან აანთო და სისხლიც უხვად დაღვარა: კორეისა და ვიეტნამის ომები,

(დასასრული მე-4 გვ.).

სახელმწიფო საგარეო ვალის მომსახურების უზრუნველსაყოფად, პირველი საჭიროების საგნების შესასყიდად და სახელმწიფოს ცენტრალიზებული სახსრების შესაქმნელად

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკაში სავალუტო ფონდების ფორმირების დროებითი წესის შესახებ

სახელმწიფო საგარეო ვალის მომსახურების უზრუნველსაყოფად, პირველი საჭიროების საგნების შესასყიდად და სახელმწიფოს ცენტრალიზებული სახსრების შესაქმნელად საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა **ადგენს:**

1. დაწესდეს საწარმოების (საკუთრების ფორმის მიუხედავად), გაერთიანებების, ორგანიზაციებისა და მოქალაქეების (შემდგომში „საწარმოების“) მიერ საქონლის (სამუშაოების, მომსახურების), სამეცნიერო, მხატვრული თუ ხელოვნების ნაწარმოებებისა და ექსპონატების, სამრეწველო საკუთრების რეალიზაციიდან, აგრეთვე სპორტისა და კულტურის მუშაკთა კოლექტივების თუ ცალკეული პირების მიერ ჩატარებული სანახაობებისა და წარმოდგენებისაგან მიღებული კონვერტირებადი ვალუტის ამონაგებიდან ანარიცხის ნორმატივი. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სავალუტო ფონდში თორმეტი პროცენტის ოდენობით.

ის საწარმოები, რომლებიც შემოსავალს მთლიანად კონვერტირებად ვალუტაში ღებულობენ, რესპუბლიკის სავალუტო ფონდში გადასახადებს იხდიან საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი განაკვეთებით.

2. სავალუტო ამონაგების ორი პროცენტი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სავალუტო ფონდში ანარიცხების ნორმატივებიდან ჩაირიცხება ადგილობრივი მმართველობის ორგანოების სავალუტო ფონდში. ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მმართველობის ორგანიზაციებისათვის ზემოაღნიშნული პროცენტი განაწილდება ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობების შეხედულებისამებრ.

3. საწარმოთა ორმაგი დაბეგვრის გამორიცხვის მიზნით სავალუტო ფონდებში გადარიცხული თანხები ჩაითვლება საწარმოთა მოგებიდან ბიუჯეტში გადასახადების ანგარიშში, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით.

4. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სავალუტო ფონდში ჩარიცხვის შემდეგ დარჩენილი ვალუტა გამოიყენება საწარმოთა სავალუტო ფონდების ფორმირებისათვის. საწარმოთა სავალუტო ფონდები შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმპორტის ოპერაციების განსახორციელებლად, საწარმოს მუშაკთა შრომის ასანაზღაურებლად, საბაზრო კურსით მანეთის შესასყიდად და სხვა მიზნებისათვის, რომლებიც აკრძალული არაა მოქმედი კანონმდებლობით.

5. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა დაადგინოს უცხოური ვალუტის მიმართ მანეთის სპეციალური და საბაზრო კურსი ან ერთიანი კურსი, და ყოველკვირეულად გამოაქვეყნოს პრესაში.

6. ნება დაერთოთ უცხოელ იურიდიულ პირებს, რომელთა მონაწილეობითაც რესპუბლიკის ტერიტორიაზე შექმნილია საწარმოები, გახსნან ნებისმიერ ბანკში სამანეთო ანგარიშები საქართველოს რესპუბლიკაში ოპერაციების განხორციელების უფლებით.

7. საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) რეალიზაციიდან უცხოურ ვალუტაში ამონაგები აუცილებლად უნდა ჩაირიცხოს საწარმოთა სავალუტო ანგარიშებზე საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ იმ ბანკებში (შემდგომში „რწმუნებული ბანკები“), რომელთაც ეროვნული ბანკისაგან მიღებული აქვთ სავალუტო ოპერაციების წარმოების ნებართვა (ლიცენზია).

სავალუტო ამონაგების ჩარიცხვის ამ წესის დარღვევის შემთხვევაში საწარმო ჯარიმდება დამალული ამონაგები თანხის მთლიანი ოდენობით, რომელიც ჩაირიცხება რესპუბლიკის სახელმწიფო სავალუტო ფონდში.

იურიდიული პირები, რომელთაც ამ დადგენილების მიღების მომენტისათვის აქვთ სავალუტო სახსრები ანგარიშებზე საზღვარგარეთ, ვალდებული არიან დადგენილების გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ჩარიცხონ ისინი თავიანთ ანგარიშებზე რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ რწმუნებულ ბანკებში. სახსრები, რომლებიც დადგენილ ვადაში არ იქნება ჩარიცხული ანგარიშებზე რწმუნებულ ბანკებში, ცხადდება საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად და ჩაირიცხება რესპუბლიკის სახელმწიფო სავალუტო ფონდში.

იურიდიულ პირებს შეუძლიათ საზღვარგარეთ გახსნან ანგარიშები მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

8. საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) ექსპორტიორი საწარმოები ვალდებული არიან საბაჟო დეკლარაციაში უჩვენონ იმ რწმუნებული ბანკის რეკვიზიტები და სრული დასახელება, რომლის მეშვეობითაც ხდება საზღვარგარეთელ პარტნიორთან ანგარიშსწორება, აგრეთვე სავალუტო შემოსავლების მიღების ვადა. საბაჟო დეკლარაციასთან ერთად ექსპორტიორი საწარმოები ვალდებული არიან საბაჟო ორგანოებს წარუდგინონ საბაჟო დეკლარაციაში აღნიშნული რწმუნებული ბანკის დასტური.

საბაჟო ორგანოები რეგულარულად (თვეში ერთხელ) წარუდგენენ საბაჟო დეკლარაციაში აღნიშნულ რწმუნებულ ბანკებს და საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს საბაჟო დეკლარაციების რეესტრს, რის საფუძველზეც იქნა საზღვარგარეთ გაშვებული საექსპორტო ტვირთი.

საგადასახადო დოკუმენტების ბანკში წარუდგენლობის ან დეკლარაციაში აღნიშნულ ვადაში სავალუტო ამონაგების მიუღებლობის შემთხვევაში რწმუნებული ბანკები ატყობინებენ ამის შესახებ რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციას ექსპორტიორი საწარმოს შესამოწმებლად, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს.

9. დაწესდეს, რომ თუ საწარმოები, საბანკო ან სხვა საფინანსო ორგანოები დაარღვევენ ამ დადგენილებით, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის ნორმატიული დოკუმენტებით გათვალისწინებულ დებულებებს, მაკონტროლებელ ორგანოებს შეუძლიათ მათ მიმართ გამოიყენონ დადგენილი წესით შემდეგი ზომები:

— იშუამდგომლონ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის წინაშე რწმუნებული ბანკებისათვის სავალუტო ოპერაციების წარმოების ნებართვის ჩამორთმევის შესახებ;

— უდავო წესით გადაახდევინონ შესაბამისი სავალუტო ფონდების დავალიანებანი, ხოლო სათანადო სავალუტო სახსრების უქონლობის შემთხვევაში — დავალიანების თანხების ექვივალენტი სახსრები მანეთებში, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი მანეთის საბაზრო კურსის შესაბამისად;

— გადაახდევინონ ჯარიმა გადამალული თანხის ორმაგი ოდენობით.

10. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ რესპუბლიკის სახელმწიფო სავალუტო ფონდში შემოსული სახსრები შეიტანოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ფორმირების წყაროდ და გამოიყენოს ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების დასაფინანსებლად.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

თ. სიგუა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახელმწიფო კანცელარიის მმართველის პირველი მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი

კ. გელაშვილი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილება

საბაჟო გადასახადების დროებითი სისტემის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა **ადგენს:**

1. გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ყოფილი სსრ კავშირის ორგანოების მიერ დაწესებული ყველა სახის საბაჟო გადასახადები.

2. დაწესდეს ყველა სახის სასაქონლო საექსპორტო ოპერაციისთვის ერთიანი საბაჟო გადასახადი საკონტრაქტო ღირებულების 8 პროცენტის ოდენობით კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალუტით ან მანეთებით, საზღვრის გადაკვეთის მომენტისთვის ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული საბაზრო კურსით.

3. დაწესდეს ყველა სახის სასაქონლო საიმპორტო ოპერაციისთვის ერთიანი საბაჟო გადასახადი საკონტრაქტო ღირებულების 2 პროცენტის ოდენობით კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალუტით ან მანეთებით, საზღვრის გადაკვეთის მომენტისთვის ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული საბაზრო კურსით.

4. განთავისუფლდეს საიმპორტო საბაჟო გადასახადებისგან მედიკამენტები და სასურსათო პროდუქტები, თამბაქოს ნაწარმის და ალკოჰოლიანი სასმელების გარდა.

5. დაწესდეს საქონელგაცვლის (საბარტერო) ოპერაციებისთვის ერთიანი საბაჟო გადასახადი საკონტრაქტო ღირებულების 20 პროცენტის ოდენობით მანეთებით, საექსპორტო გადატვირთვის თარიღისთვის ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული საბაზრო კურსით. ამ საბაჟო გადასახადის გადახდა ხდება საექსპორტო გადატვირთვის განხორციელებიდან 1 თვის ვადაში.

6. ამ დადგენილებით გათვალისწინებული საბაჟო გადასახადები მოქმედებს ყველა საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულებისთვის, საკუთრების ფორმის მიუხედავად.

7. დადგენილი საბაჟო გადასახადები არ ვრცელდება საქართველოს რესპუბლიკის სამთავრობათაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ტვირთნაკადებზე.

8. ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1992 წლის 1 მაისამდე დადგენილი საბაჟო გადასახადების შეღავათები.

9. საბაჟო გადასახადების გადახდის ვადა განისაზღვრება საბაჟოს მიერ დადგენილი წესით.

10. ეს დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

თ. სიგუა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახელმწიფო კანცელარიის მმართველის მოვალეობის შემსრულებელი

გ. ზერიძე

ინტერვიუ ნომერში

დაფინანსდება აღორძინების პროგრამა

(დასასრული)

და აგრეთვე, რაც მთავარია, რომ საქართველო ფონდთან ურთიერთობისას იხელმძღვანელებს იმ ნორმებით, რომლებიც ამ საერთაშორისო ორგანიზაციის მიერაა აღიარებული და რომ ჩვენი ქვეყნისა და სავალუტო ფონდის კანონები, რომლებიც ფინანსურ ურთიერთობებს არეგულირებს, ერთმანეთს ესადაგება.

13 საათზე აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის შენობაში დანიშნულ ოფიციალურ ცერემონიაზე ხელი მოვაწერე ჩვენი გაწევრიანების დოკუმენტს. ეს არის საგანგებო წიგნი, რომელშიც ჩამოთვლილია ფონდის ძირითადი ფუნქციები, ხაზგასმულია წევრად მიღებული ქვეყნების ვალდებულება დაეხმარონ სხვას და სხვათაგან მიიღონ დახმარება.

ამ მომენტიდან ჩვენ უკვე ვითვლებით სრულუფლებიან წევრად და ვსარგებლობთ ამით მონიჭებული ყველა შეღავათით. ყოფილი სსრკ რესპუბლიკებიდან საქართველოს წინ მხოლოდ ლიტვის ხელმოწერაა. სხვა რესპუბლიკები ჯერ კიდევ ელოდებიან თავიანთ რიგს.

საინფორმაციო სააგენტოებმა, ტელევიზიამ და რადიომ ოპერატიულად გაავრცელეს ცნობები ჩვენი გაწევრიანების შესახებ. საღამოს გაზეთებში იმავე დღეს გამოქვეყნდა ინფორმაცია: პატარა რესპუბლიკა — საქართველო საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრია. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის ავტორიტეტი ამ ფონდში გაერთიანებული სახელმწიფოების ავტორიტეტის თანაბარია და ჩვენდამი დამოკიდებულება [illegible] სახელმწიფოს სტატუსიდან საერთაშორისო ეკონომიკური თანამეგობრობის წევრის სტატუსად ტრანსფორმირდება: მთავარია წევრობა და არა ეკონომიკური შესაძლებლობანი. ეს მაშინვე ვიგრძენით: გამოსულები არ ვიყავით სახელმწიფო დეპარტამენტის შენობიდან, რომ დიდი კორპორაციების — კერძო თუ სახელმწიფო და დეპარტამენტების წარმომადგენლები შემოგვეხვივნენ — რა სჭირდება საქართველოს, რით შეიძლება დაგეხმაროთ, რაში შეიძლება დავაბანდოთ სახსრები, მოგვცემთ თუ არა თქვენს პროგრამებში მონაწილეობის გარანტიას და ა. შ.

— **მაგრამ ასეთივე ინტერესი იყო პირველ ეტაპზეც. სანამ ოფიციალური წევრი არ ვიყავით, თქვენგან ვიცით, თქვენივე ინტერვიუდან.**

— კი, იყო. მაგრამ, თუ წინა ჩასვლაზე გვიყურებდნენ როგორც პოტენციურ პარტნიორს, ახლა უკვე — როგორც სავალუტო ფონდის მიერ გარანტირებულ ქვეყანას. ეს სულ სხვა კატეგორიაა. რახან ვაშინგტონში ჩემი წინა ჩასვლა გაიხსენეთ, ბარემ აქვე გეტყვით, რომ როგორც მაშინ, ისე ახლაც ჩვენდამი კეთილგანწყობილებას განაპირობებდა ბატონ ედუარდ შევარდნაძის დიდი ავტორიტეტი. საერთაშორისო ასპარეზზე ჩამოცილებული პიროვნების მიმართ თითქოს უნდა შენელებულიყო ინტერესი, მით უფრო მისი ზეგავლენა, მაგრამ აქ სწორედ საპირისპირო მოვლენასთან გვაქვს საქმე. ეს ფაქტია.

ახალ სიტუაციაში ახალი ტაქტიკური ამოცანები ჩნდება. მაგალითად, ვისი წინადადება მივიღოთ, ვინ მოვიწვიოთ ინვესტორებად? ვისგან მივიღოთ კრედიტები — კერძო კაპიტალისგან, თუ სავალუტო ფონდის სესხი და კრედიტები ავიღოთ? როგორ გამოვიყენოთ უფრო სარფიანად სახელმწიფო სტრუქტურასა და კერძო ბიზნესს შორის კონკურენცია? როგორ გამოვიყენოთ (ჩვენთვის სასარგებლოდ) განვითარებული ქვეყნების პრობლემათა პრობლემა — ბაზრის უქონლობა, რომელიც წარმოების განვითარებას ამუხრუჭებს: შევთავაზოთ ჩვენი ბაზარი და გავუსაღოთ ის პროდუქცია, რომელიც ჩაუწყვათ (და რომელიც ჩვენ არ გაგვაჩნია), თუ ორიენტაცია ავიღოთ ხვალინდელ დღეზე, რათა ამით შევამოკლოთ (გამოვტოვოთ ის ეტაპი წარმოების განვითარებისა, რომელიც უკვე ძველდება) მსოფლიო ეკონომიკაში ჩვენი ინტეგრირების გზა? საზღვარგარეთის ინვესტიცია და ბიზნესი, რასაკვირველია, უნდა შემოვიდეს რესპუბლიკაში, მაგრამ ისე არა, რომ დაგვაკაბალოს. აქ ზუსტი ანალიზია საჭირო, ისეთი, რომელიც პარიტეტულ საფუძველზე მოქმედებისას ჩვენს საკუთარ უპირატესობას არ დაგვაკარგვინებს. სხვაგვარად: საკონტროლო პაკეტი ჩვენი უნდა იყოს.

ახლა მთავარი საკითხი.

ჩვენთვის გამოყოფილი კვოტის ოდენობის (ალბათ გახსოვთ — 74 მილიონი ესდეერი; ესდეერი=1 დოლარს და 36 ცენტს), სესხებისა და კრედიტების ზღვრული ნორმის მიუხედავად ფონდი მზად არის დააფინანსოს ყველა ჩვენი პროგრამა, რომელიც გარკვეულ ინტერესს გამოიწვევს.

როგორ მოვიქცეთ, რა პროგრამები წარვუდგინოთ? სანამ ამ მთავარ კითხვაზე გავცემდე პასუხს, აი, რას მინდა მივაქციოთ თქვენი ყურადღება.

30 ივნისს დანიშნულია საერთაშორისო ბანკის წევრად ჩვენი მიღების ოფიციალური აქტი. სავალუტო ფონდისგან განსხვავებით, ამას უნდა უსწრებდეს საწევრო თანხის წინასწარ შეტანა. მართალია, ეს საკმაოდ ალოგიკურია: წევრი არა ხარ, ანგარიშს მხოლოდ გაწევრიანების შემდეგ გაგიხსნიან. მანამდე სად უნდა შეიტანო გადასახადი? დამპირდნენ, რომ ამ საკითხს უახლოეს სესიაზე განიხილავენ.

— **და ამით ისევ სხვას „გაუკეთეთ საქმე“, როგორც სავალუტო ფონდში კარგახსნილობის კოეფიციენტის საკითხი ჩვენს სასარგებლოდ გადაწყვეტინეთ.**

— ასე გამოვიდა... მაგრამ მთავარი ის საკითხია, რომელიც გვტკივა: წინასწარ უნდა შევიტანოთ 5 მილიონი. სად ვიშოვოთ? ვიპოვეთ ქვეყნები, რომლებიც მოგვცემენ უპროცენტო სესხს, შევიტანთ ამ ფულს, მიგვიღებენ წევრად, იქვე ვაფორმებთ სესხს უკვე საერთაშორისო ბანკისას, ვიღებთ ფულს და ვუბრუნებთ იმათ, ვინც მოკლე ხნით გაგვიმართა ხელი.

ე. ი. წევრობა გარანტირებული გვაქვს, რადგან ყველა სხვა წინასწარი საკითხი გადაწყვეტილია.

ახლა დავუბრუნდეთ პრობლემას — რა პროგრამები წარვუდგინოთ ამ საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებს დასაფინანსებლად.

აქ საჭიროა არა მარტო ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის, პოტენციურ შესაძლებლობათა კარგი ცოდნა, არამედ იმ სპეციფიკის პროფესიული ფლობაც, რომელიც სავალუტო ფონდის და საერთაშორისო ბანკის საქმიანობისთვის არის დამახასიათებელი.

ჩვენ ასეთი სპეციალისტები არა გვყავს.

მაის-ივნისში საქართველოში ჩამოვლენ ფონდისა და ბანკის ექსპერტები. ჩვენი სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლები მათთან ერთად დაამუშავებენ ყველა პროგრამას, ყველა დოკუმენტს და უკვე სრულყოფილ პროექტებს წარვადგენთ ვაშინგტონში განსახილველად. ეს ნიშნავს, რომ 2-3 თვით დავაჩქარებთ ასიგნებათა მიღებას. აღარაფერს ვამბობ ორმხრივ დაინტერესებაზე, რომელიც წარმატების გარანტიაა. 2-3 თვის მოგება ჩვენს კატასტროფულად კრიზისულ სიტუაციაში ავადმყოფისთვის დროზე მიწოდებული წამლის მნიშვნელობის მქონეა.

აი, ამიტომ არ ჩამოგვიტანია ამჯერად არავითარი კრედიტი, ჩვენ აქ, საქართველოში უკვე შევუდექით აღნიშნულ პროგრამათა შედგენას. განმსაზღვრელი იქნება ერთი კრიტერიუმი — ამ სიტუაციაში რომელი პროგრამა უფრო სწრაფად მოგვცემს შედეგს, ყოველმხრივ ეფექტიანი და მაღალხარისხიანი იქნება, მაგრამ, რასაკვირველია, მომავლის გათვალისწინებით. დღეს შიმშილის პირას ვართ, და ეს პრობლემა უნდა გადავწყვიტოთ უპირველესად, მაგრამ არა ისე, რომ ხვალ ახალი და უკვე გადაულახავი პრობლემები შევიქმნათ. ჩვენს პროგრამებში, ვფიქრობ, აისახება პრინციპი: საქართველო ნედლეულის მიმწოდებელ ქვეყნად არ უნდა დარჩეს (როგორც ახლა არის), ჩვენ მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირებული უნდა ვიყოთ როგორც ინტელექტუალური პროდუქციის მწარმოებელი ქვეყანა, უფრო ზუსტად, ისეთი პროდუქციისა, რომელშიც მატერიალიზებული იქნება ჩვენი ეროვნული ინტელექტი. სხვა გზა ხელს არ გვაძლევს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი დაგვპირდა (მალე გავაფორმებთ კიდეც) უსასყიდლო ეკონომიკურ დახმარებას საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის დასაჩქარებლად. რისთვის და როგორ დავხარჯავთ ამ ფულს, ეს უკვე საქართველოს მთავრობისა და ხალხის პრეროგატივაა, ვთქვათ, იგივე ხორბლის ყიდვა ჩვენი ნებაა, და, ალბათ, ასეც ვიზამთ. თუმცა, არა მარტო ეს.

და ბოლოს, საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებთან ჩვენი ურთიერთობა მხოლოდ პარტნიორული პრინციპების საფუძველზე გვესახება: გაკეთდება ის და ისე, როგორც ეს ხალხისთვის, ჩვენი სამშობლოსათვისაა საჭირო.

სიმართლეს ვერ გავექცევით

საქართველოს პროკურატურა ბრალსა სდებს

საქართველოს რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია პასუხისგებაშია მიცემული. სისხლის სამართლის დანაშაულობათა ჩადენაში ედება ბრალი. ასეა ამჯერად. დანაშაულობათა ხასიათზე წარმოდგენა გვაქვს, მაგრამ არცთუ სრული და არც ყოველთვის კონკრეტული

ლოგიკურად ასეც უნდა ყოფილიყო — გამოძიების დამთავრებამდე, შესაძლოა, განაჩენის გამოტანამდე. მაგრამ საზოგადოებრივი ცნობის წადილი დაკმაყოფილებას ითხოვს: ინტერესი არა მარტო კრიმინალურ-დეტექტიურია, არამედ — საზოგადოც და პირადულიც, ყოველ შემთხვევაში, როგორც ვამბობდით — ამომრჩეველთა 87 პროცენტისათვის.

არასრული ინფორმაცია ეჭვის დაბადების საბაბია, დაინტერესებულთათვის — არგუმენტი იმ პოზიციის სასარგებლოდ თუ დამადასტურებლად, რომ გამსახურდიას პოლიტიკური მოსაზრებებით „შეუქმნეს საქმე“. ამ ეჭვს ზოგი უკრიტიკოდ იღებს, ზოგს — აიძულებენ, მავანს — ხელს აძლევს, სხვას — სხვა გზა არა აქვს. დემაგოგები და ფანატიკოსები ამ არაორდინალურ ფაქტს მაქსიმალურად იყენებენ დესტაბილიზაციის გასაღრმავებლად, წინააღმდეგობათა გასამწვავებლად, იდეოლოგიური დივერსიისათვის და დივერსიებისათვის პირდაპირი გაგებით.

ერი გახლეჩილია ორ, არათანაბარზომიერ, ურთიერთდაპირისპირებულ ბანაკად. მაგრამ არაა ისე მარტივად საქმე, როგორც შავთეთრის კონტრასტულობა და არც ექსპრეზიდენტის ფიგურაა წყალგამყოფი პირიქითა და პირაქეთა ქართველობას შორის.

ეს ზედმეტი პატივი იქნებოდა მისთვის, მაგრამ დროშის ტარზე ჩამოცმული ბაირაღის როლი, რასაკვირველია, აკისრია: ჩვენ ხომ არ შეგვიძლია უგმიროდ და უმესიოდ, უწამებულოდ და უპატრონოდ, უპორტრეტოდ და ულოზუნგოდ და, საერთოდ, უკიდურესობათა გარეშე არსებობა ძნელად წარმოგვიდგენია.

დაპირისპირებულთა ამ ერთობაში, გვინდა თუ არა, არის საკმაოდ დიდი, დაეჭვებული ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა, რომელიც იცდის და ელოდება, — როდის ეტყვიან სრულ სიმართლეს ყოფილი პრეზიდენტის შესახებ ობიექტურად ეტყვიან.

ამ სიმართლის მფლობელი რესპუბლიკის პროკურატურაა, რომელიც იძიებს ექსპრეზიდენტის დანაშაულობათა საქმეს.

ყველა პროფესიას (და სამსახურსაც, აქედან გამომდინარე) გარკვეული იმუნიტეტი აქვს საზოგადოებრივი ინტერესის მიმართ (არ ჩაგახედებს თავის „სამზარეულოში“), სამართალდამცავ ორგანოებს — განსაკუთრებული, მით უფრო, რომ ამ იმუნიტეტს კანონი აძლიერებს.

ამიტომ იყო, რომ რედაქციის თხოვნას გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ჩვენი მკითხველებისათვის ინფორმაციის მიწოდების თაობაზე რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ რაზმაძემ კარგა ხნის წინ უპასუხა: — მოვა დრო, გეტყვით.

ეს დროც დადგა.

— **ბატონო ვახტანგ! ხომ არ იქნება უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა პასუხისგებაში მიცემულის დანაშაულობათა შესახებ საუბარი განაჩენის გამოტანამდე?**

— არა, რასაკვირველია. მაგრამ სანამ ამას დაგისაბუთებდეთ, წინაისტორია გავიხსენოთ ძალზე მოკლედ. რამ წარმოქმნა ეს დანაშაული.

რით დაიწყო გამსახურდიამ? სწორედ კანონის და კანონიერების უგულვებელყოფით. პიროვნების უფლებათა ხელყოფა, ხალხის, ერის ინტერესების არადჩაგდება, საკუთარი პოლიტიკური ამბიციების დასაკმაყოფილებლად ეკონომიკური და სოციალური გართულებების ხელოვნურად შექმნა, სრული დილეტანტიზმი სახელმწიფოს მართვაში, რომელიც ყოვლად გაუმართლებელი სახელმწიფოებრივი აქტების მიღების საფუძველი ხდებოდა, ქვეყნის ფაქტობრივი იზოლაცია გარესამყაროსაგან, პირადი ერთგულების მიხედვით კადრების შერჩევა-დანიშვნა, პარლამენტის როლის დაკნინება, — პრეზიდენტის ნების აღმასრულებლამდე მისი დაყვანა, პოლიტიკური მოწინააღმდეგეების ფიზიკური დათრგუნვა, დაპატიმრება, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს სრული მონოპოლიზაცია, პოლიტიკური ისტერიის ორგანიზება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გამოყენებით და ა. შ. ყველაფერმა ამან ხელი შეუწყო გამსახურდიას ერთმმართველობის რეჟიმის შექმნას და კანონის დისკრედიტაციას.

სხვათაშორის, ის აქციები, რომლებსაც ექსპრეზიდენტი ჩეჩნეთიდან აწყობს, საქართველოში მის მიერ განხორციელებული ე. წ. საშინაო პოლიტიკის გაგრძელებაა.

ახლა უდანაშაულობის პრეზუმფციის შესახებ, უფრო სწორად, ვარღვევთ თუ არა მას, როდესაც ვაქვეყნებთ წინასწარი გამოძიების მასალებს.

მინდა განვუმარტო გაზეთის მკითხველებს, რომ როდესაც წინასწარი გამოძიების მონაცემების გახმაურების დაუშვებლობაზე ვლაპარაკობთ, ამაში, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება გამოძიებაში მონაწილეთა მიერ (მოწმე, დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე ან მათი წარმომადგენლები, დამცველი, ექსპერტი, სპეციალისტი, თარჯიმანი და დამსწრე) წინასწარი გამოძიების მონაცემების გახმაურების დაუშვებლობა გამომძიებლის ნებართვის გარეშე. ამ მოთხოვნის დარღვევა სისხლის სამართლის კოდექსის 201-ე მუხლით ისჯება. მიაქციეთ ყურადღება: დაუშვებელია გამომძიებლის ნებართვის გარეშე.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 139-ე მუხლი სიტყვა-სიტყვით განმარტავს: „წინასწარი გამოძიების მონაცემების გამოქვეყნება შეიძლება მხოლოდ გამომძიებლის ან პროკურორის ნებართვით და იმ მოცულობით, რამდენადაც ისინი ამას შესაძლებლად მიიჩნევენ“. ე. ი. ეს ჩვენი პრეროგატივაა.

კონკრეტულად: ჩვენ უფლებამოსილნი ვართ: ვაუწყოთ საზოგადოებას ის ბრალდებანი, რომლებშიც მოპოვებული მტკიცებებით მხილებულია ზ. გამსახურდია. ამით ჩვენ არც უარვყოფთ და ვერც უარვყოფთ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს, რადგან არის თუ არა ის დამნაშავე, ამას სასამართლო დაადგენს და არავითარ შემთხვევაში წინასწარი გამოძიება.

— **სულ ახლახან საქართველოს საგამოძიებო ორგანოების მუშაობის პრაქტიკაში დაშვებად იქნა მიჩნეული ადვოკატის მონაწილეობა. ნიშნავს თუ არა ეს, რომ გამოძიებაში საჯაროობის ელემენტი შევიდა? ყოველ შემთხვევაში მხოლოდ გამომძიებელი აღარ ფლობს ამ საიდუმლოებას...**

— ალბათ, ასე პირდაპირ არ უნდა გავიგოთ ადვოკატის მონაწილეობა გამოძიებაში. თუმცა გარკვეული განსაიდუმლოება, რასაკვირველია, მოხდა. მაგრამ თუ მთელი ერისთვის, მთელი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან სისხლის სამართლის დანაშაულზეა ლაპარაკი, ისეთზე, როგორიც გამსახურდიას წინააღმდეგ აღძრული საქმეა, აქ საჯაროობა დასაშვება კი არა აუცილებელიცაა, მაგრამ კანონიერების მოთხოვნათა სრული დაცვით. თანაც ხაზგასმით მივაქცევდი თქვენი გაზეთის მკითხველთა ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ლაპარაკი გვექნება ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემულ პირზე და არა დამნაშავეზე — ეს სასამართლოს უეჭველი პრეროგატივაა.

— **რახან სიტყვამ მოიტანა, ვინ აღძრა ეს საქმე, ვინ მისცა პასუხისმგებლობაში ზვიად გამსახურდია?**

— თუ პრინციპულად და ზოგადად ვიტყვით — ისტორიამ, თუ პროფესიულად და კონკრეტულად — პროკურატურამ. დადგენილება

(დასასრული მე-4 გვ.)

ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔᲡ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲕᲔᲥᲪᲔᲕᲘᲗ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲐ ᲑᲠᲐᲚᲡᲐ ᲡᲓᲔᲑᲡ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ მე გამოვიტანე 1992 წლის 4 იანვარს 1991 წლის 22 დეკემბერს და შემდგომ განვითარებული მოვლენების გამომწვევი მიზეზებისა და გარემოებათა გასარკვევად, ხოლო გამსახურდია პასუხისგებაში მისცა გამომძიებელმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე და 141-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად.

— ყველამ არ იცის, რა წერია ამ მუხლებში.

— „თუ მოიპოვება საკმაო მტკიცებულებები, რაც საფუძველს იძლევა დანაშაულის ჩადენაში ბრალდების წაყენებისათვის, გამომძიებელს გამოაქვს დასაბუთებული დადგენილება ამ პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ". ეს 140-ე მუხლია. მომდევნოში კი აღწერილია, თუ რა მოთხოვნილებას უნდა შეესაბამებოდეს ასეთი დადგენილება.

— კონკრეტულად რაში ედება ბრალი ზ. გამსახურდიას?

— საგამოძიებო ჯგუფმა, რომელიც ჩემი ბრძანებით შეიქმნა და რომელშიც შედიან რესპუბლიკის პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლები და ოპერატიული მუშაკები, დიდი მოცულობის სამუშაო მაღალ პროფესიულ დონეზე, სავსებით კანონიერად ჩაატარა.

არსებული მასალების მიხედვით ზ. გამსახურდიას ბრალი ედება იმაში, რომ ჯერ კიდევ რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ, შემდეგ რესპუბლიკის პრეზიდენტად ყოფნისას მან ბოროტად გამოიყენა სამსახურებრივი მდგომარეობა, გადაამეტა ძალაუფლებას — განზრახ ჩაიდინა ისეთი მოქმედებები, რომლებიც აშკარად სცილდებოდა მისთვის კანონით მინიჭებულ უფლებათა და რწმუნებათა ფარგლებს, რამაც არსებითი ზიანი მიაყენა სახელმწიფოს, საზოგადოებრიობას, ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. ეს არ იყო გამონაკლისი შემთხვევები, პირიქით, ასეთი იყო მისი მოღვაწეობის პრინციპი. იგი ხელმძღვანელობდა ანგარებითა და პირადი მოტივით, რასაც თან ახლდა ძალადობა, დაზარალებულთა პირადი ღირსების შელახვა, იარაღის გამოყენება და ყველაფერ ამას განსაკუთრებით მძიმე შედეგები მოჰყვა.

წინასწარმა გამოძიებამ დაადგინა, რომ მან დაახლოებულ პირთა ჯგუფთან ერთად გაიტაცა მილიონობით მანეთი.

სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით ორგანიზაცია გაუკეთა დიდი რაოდენობით კონტრაბანდას ე. ი. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარზე საქონლის უკანონოდ გადმოტანას, საბაჟო და სხვაგვარი დოკუმენტების მოტყუებით გამოყენებით, პირთა ჯგუფის მიერ.

მისი ეს ქმედებანი კვალიფიცირდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 96 პრიმა, 79-ე, 75-ე მუხლებით, 186-ე მუხლის მეორე ნაწილით და სხვა, რაც ითვალისწინებს 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას.

პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ ზ. გამსახურდია განაგრძობს მასობრივ არეულობათა ორგანიზებას რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში, მოსახლეობის დარბევას, დივერსიულ აქტებს რკინიგზებსა და ავტომაგისტრალებზე და ა. შ., რასაც ადამიანთა მსხვერპლი და სხვა განსაკუთრებით მძიმე შედეგები მოჰყვა.

საბრალდებო დასკვნაში ჩაიწერება აგრეთვე, რომ ზ. გამსახურდიამ განზრახი მოქმედებით გამოიწვია ეროვნებათაშორისი კონფლიქტები, ჩამოაგდო ეროვნული განხეთქილება. მისი ქმედებანი მიმართული იყო ეროვნული პატივისა და ღირსების დასამცირებლად, პირდაპირ ან არაპირდაპირ ზღუდავდა მოქალაქეთა უფლებებს მათი ეროვნული კუთვნილების მიხედვით, ამ მიზნის მისაღწევად იგი ბოროტად იყენებდა თანამდებობას და ყველაფერ ამას მოჰყვა მრავალი ადამიანის დაღუპვა, ბევრი სხვა უმძიმესი შედეგი.

— ეს, ბატონო ვახტანგ, აისბერგის ხილული ნაწილია, ანუ დანაშაულებანი, რაშიც მას ედება ბრალი. მაგრამ რამდენი უბედურებაა ამის უკან? თავი რომ დავანებოთ იმ კატასტროფულ ნეგატიურ პროცესებს რესპუბლიკის საზოგადოებრივი ცხოვრების, ეკონომიკის ყველა სფეროში, რომლებიც მისმა ცრუპიროვნულმა მმართველობამ გამოიწვია, განა შეიძლება თვალის დახუჭვა იმაზე, რომ ამ უმაღლესი თანამდებობის „ორგანიზატორის" წყალობით არაერთმა პირმა ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული?

— მართლაც ასეა. ზოგიერთი უკვე გასამართლებული და მსჯავრდადებულია. სამეურნეო საქმიანობაში მოღვაწე პირთა საკმაოდ დიდი რაოდენობა, რომელთაც ყოფილი პრეზიდენტის მითითებით და მასთან კავშირით ჩაიდინეს დანაშაულებრივი ქმედებანი, ახალი ხელისუფლების მიერ გამოცემული ამნისტიის აქტით გათავისუფლებულია პასუხისმგებლობისაგან.

გარდა ამისა, პრეზიდენტის 15-მდე უახლოესი პირი, რომლებმაც მძიმე და განსაკუთრებით საშიში დანაშაული ჩაიდინეს, იმალებიან და თავს არიდებენ მართლმსაჯულებას, მათი დაპატიმრება პროკურატურის მიერ სანქცირებულია და დაპატიმრებისთანავე მიცემული იქნებიან პასუხისგებაში.

— ექსპრეზიდენტი, როგორც ყველაფრიდან ჩანს, თავის სამშობლოში ჩამომსვლელი აღარ არის. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ მისთვის წაყენებული ბრალდებები ჰაერში გამოკიდებული დარჩება?

— არა. ჩვენ ყველა ღონისძიებას განვახორციელებთ, რაც დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო პრაქტიკაშია მიღებული და, დამერწმუნეთ, რომ სამართალი თავის სიტყვას მაინც იტყვის. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ასეთი მასშტაბური დანაშაულისთვის ვინმეს ქვეყნიდან გაქცევით, გახიზვნით თავიდან აეცილებინოს პასუხისმგებლობა, ასეთი დიდი ცოდვა დაუსჯელი ვერ დარჩება.

მაგრამ სანამ ზ. გამსახურდია თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოებში გამოცხადებას და ბრალდებებზე განმარტების მიცემას, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთის მეშვეობით, ვთქვათ ასე, — დემოკრატიული აქცია განვახორციელო: აქ, ახლავე დავუსვა შეკითხვები პასუხისგებაში მიცემულს და მივცე მას შესაძლებლობა საჯაროდ უპასუხოს მათ. მე მგონია, რომ ეს ნაბიჯი სამართლის ჩარჩოებში ეტევა, მისი ჰუმანურობა კი უეჭველია.

შეკითხვები გამოძიების მასალებიდან გამომდინარეობს.

13 ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲔᲥᲡᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲡ

1. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის მიხედვით იყავით თუ არა ვალდებული დაგეცვათ ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის ძირითადი კანონით გარანტირებული უფლებანი, გებრძოლათ საქართველოში დემოკრატიული წყობილების აშენებისათვის, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური სიძლიერის განმტკიცებისათვის? თუ ვალდებული იყავით, რა გიშლიდათ ხელს შეგესრულებინათ კონსტიტუციით დაკისრებული მოვალეობა? თქვენთვის ხომ ცნობილია, როგორ უხეშად არღვევდით ადამიანის უფლებებს, ანგარიშს არ უწევდით კანონის მოთხოვნას და თანამდებობის ბოროტად გამოყენებით იღებდით ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს. პარლამენტი მოქცეული გყავდათ თქვენი გავლენის ქვეშ, სისტემატურად ავიწროებდით ოპოზიციონერ დეპუტატებს და თქვენი მეუღლის მანანა არჩვაძისა და დაქირავებული ქალების მეშვეობით სესიის სხდომაზეც არ უშვებდით. ასე ახერხებდით, რომ პარლამენტს თქვენთვის სასურველი გადაწყვეტილებები მიეღო. მიგაჩნიათ თუ არა თქვენი ეს მოქმედება დანაშაულად?

2. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის მიხედვით რესპუბლიკაში ეროვნული საჯარისო ფორმირებების შექმნისა და გაწვევის წესს ადგენს მხოლოდ საქართველოს უზენაესი საბჭო.

მიგაჩნიათ თუ არა, რომ ბოროტად გამოიყენეთ თანამდებობა, გადაამეტეთ თქვენთვის კანონით მინიჭებულ უფლებებს და მოსკოვის პუტჩის მონაწილეებთან მოლაპარაკების შემდეგ — 1991 წლის 19 აგვისტოს პარლამენტის გვერდის ავლით, გააუქმეთ ეროვნული გვარდია, რითაც თქვენი თანადგომა და ერთგულება დაუმტკიცეთ პუტჩისტებს? თქვენმა კანონსაწინააღმდეგო მოქმედებამ გამოიწვია საქართველოში პოლიტიკური ვითარების და საზოგადოებრივი ცხოვრების დესტაბილიზაცია.

მიგაჩნიათ თუ არა თქვენი ეს მოქმედება დანაშაულად?

3. არარად აგდებდით რა კანონის მოთხოვნას და ადამიანთა უფლებების დაცვას, 1991 წლის 2 სექტემბერს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრს დ. ხაბულიანს და ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს ყოფილ უფროსს ე. მიქაბერიძეს განკარგულება მიეცით განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის რაზმების მეშვეობით ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, რუსთაველის გამზირზე, კინოს სახლის წინ დაერბიათ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საინფორმაციო მიტინგი. თქვენი დანაშაულებრივი მითითების შესრულებისას მიტინგის დარბევის დროს მისი სამი მონაწილე დაიჭრა ცეცხლსასროლი იარაღით, ხოლო შეტაკებისას 20 მოქალაქე მეტ-ნაკლებად დაშავდა.

როდესაც ეს ანტიდემოკრატიული, ანტიჰუმანური აქცია ჩაატარეთ, ისახავდით თუ არა მიზნად თქვენგან განსხვავებული აზრის მქონე პირებთან ფიზიკურად ანგარიშის გასწორებას, მათი შემდგომი დაშინებისა და დამორჩილების მიზნით?

თვლით თუ არა, რომ ამ მოქმედებით ჩადენილი გაქვთ მძიმე დანაშაული?

4. იმის გამო, რომ ანგარიშს არ უწევდით კანონის მოთხოვნას, აცხადებდით, რომ „კანონი მე ვარ, რასაც მინდა, იმას ვიზამ!" პრაქტიკულად ახორციელებდით კიდეც ამ პრინციპს, ახდენდით ხელისუფლების უზურპაციას და საფუძველს უყრიდით საქართველოში ფაშისტური წყობილების დამკვიდრებას. ამით თქვენ გამოიწვიეთ მოწინავე ქართველი ინტელიგენციის და მოსახლეობის აღშფოთება.

მიგაჩნიათ თუ არა, რომ თქვენი კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებით, სისტემატური მოწოდებებით საქართველოს ინტელიგენციის, განსხვავებული აზრის მქონე ყველა სხვა პირისთვის ანგარიშის გასწორების მოთხოვნით, ხელოვნური დაპირისპირებით, ოპოზიციური პარტიების შტაბბინების სისტემატური დარბევით, მოტყუებით, ორპირობით, როდესაც გვარდიასთან მოლაპარაკების ნაცვლად ორგანიზაცია გაუკეთეთ მასზე თავდასხმას 1991 წ. 4 ოქტომბრის 08 საათზე, რასაც განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვა — დაიღუპა 8 კაცი და მძიმედ დაიჭრა 7, გამოიწვიეთ ქართველი ერის გახლეჩა?

მიგაჩნიათ თუ არა თქვენი ეს მოქმედებანი დანაშაულად და თვლით თუ არა, რომ ამ დანაშაულებრივი მოქმედებებით საფუძველი ჩაუყარეთ თქვენი ხელისუფლების დასასრულს? შეიძლებოდა თუ არა ხელისუფლების სათავეში დარჩენილიყავით თქვენ — ზვიად გამსახურდია, ვინც არა მარტო მოწყვიტეთ ხალხს, არამედ დაემალეთ მას, შეგეშინდათ მასთან შეხვედრის, ჩაიკეტეთ ბუნკერში და მაინც აცხადებდით, რომ 87 პროცენტმა აგირჩიათ.

ხალხს არ სჭიროდა მშიშარა და უსაქმური პრეზიდენტი, ხალხმა ვერ აიტანა მისი დიქტატი, დაიწყო სახალხო მოძრაობა, რომელსაც მხარს უჭერდა ეროვნული გვარდია. მას შემდეგ, როდესაც პრეზიდენტმა ქართველ ხალხთან დიალოგის ნაცვლად ავტომატების ენით არჩია მასთან საუბარი, როდესაც ტყვია დაუშინა ხალხს, ეროვნულმა გვარდიამ შეასრულა თავისი დანაპირები, რომ შეებრძოლებოდა იმას, ვინც ხალხის წინააღმდეგ გამოიყენებდა იარაღს. ის, რაც დეკემბერ-იანვარში საქართველოში მოხდა, იყო ქართველი ერის ნების გამოხატულება. არავითარ სამხედრო გადატრიალებას ადგილი არ ჰქონია.

ეთანხმებით თუ არა ამ აზრს? თუ არა, რა არგუმენტები გაგაჩნიათ მის საწინააღმდეგოდ?

5. საგამოძიებო მასალების ანალიზის შედეგად მივედით იმ უდავო დასკვნამდე, რომ ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ თქვენ გაცილებით მეტს ზრუნავდით პირადი და ოჯახური საკითხების მოწესრიგებისთვის, ვიდრე საქართველოზე და მის მოსახლეობაზე. რა თქმა უნდა, მხედველობაში არა მაქვს თქვენი შრომების მასობრივად გამოცემა უაღრესად შემჭიდროებულ ვადებში და თქვენთვის დისერტაციის დაუცველად დოქტორის ხარისხის მონიჭება. მე სულ სხვა საკითხზე მაინტერესებს თქვენი დასაბუთებული პასუხი, თუ ამის დასაბუთება შეიძლება. საკითხი ეხება პრეზიდენტს, რომელიც იუმჯობესებს საკუთარ საყოფაცხოვრებო პირობებს და ამით უაღრესად მძიმე მდგომარეობაში აგდებს თავისსავე ამომრჩეველს, სახელმწიფოს კი განსაკუთრებით დიდი ოდენობით ზარალს აყენებს.

ლაპარაკია თქვენს მეზობლად მცხოვრებ მოქალაქე წოწორიაზე, რომელსაც თქვენი და თქვენი მეუღლის კატეგორიული, მაგრამ უკანონო მოთხოვნით თქვენმა ხელქვეითებმა (ალბათ მათი პასუხისმგებლობის საკითხიც დადგება) ბულდოზერით დაუნგრიეს სახლი მაშინ, როცა მისი მოხუცი, 80 წელს გადაცილებული დედა შვილიშვილებთან ერთად იქ იმყოფებოდა. მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მათ სიცოცხლეს აშკარა საფრთხე დაემუქრა, იძულებით გამოიყვანეს ისინი სახლიდან. ყველაფერი ეს გააკეთეთ შურისძიებით, რადგან ამ ოჯახთან განუწყვეტელი მეზობლური დავა გქონდათ. თქვენი ახირება სახელმწიფოს შვიდი მილიონ ორასი ათასი მანეთი დაუჯდა.

გთხოვთ გვიპასუხოთ, გადადგებოდა თუ არა ნებისმიერი ქვეყნის პრეზიდენტი (თუ ნორმალური იქნებოდა), ასეთი ფაქტის ჩადენაში რომ ემხილებინათ?

ყოველივე იმის შემდეგ, რაც ზემოთა ვთქვით, გაქვთ თუ არა უფლება ამტკიცოთ, რომ ემსახურებოდით ხალხს და იბრძოდით მისი ბედნიერებისათვის?

6. თქვენ ყველაფერი გააკეთეთ (და, სამწუხაროდ, დღესაც აკეთებთ) იმისთვის, რომ საქართველოს ეკონომიკა, რომელიც საკმაოდ დაუძლურებული მიიღეთ მემკვიდრეობით, საბოლოოდ გაეჩანაგებინათ, რაც იმის შედეგი იყო, რომ ვერ ერკვეოდით ქვეყნის ეკონომიკაში, ამჟღავნებდით სრულ უცოდინარობას და იჩენდით უხუცესობას, ანგარიშს არ უწევდით სპეციალისტების მოსაზრებებს და ყოველთვის ცდილობდით თქვენს გარშემო ყოფილიყვნენ ადამიანები, რომლებიც უსიტყვოდ შეასრულებდნენ არაკომპეტენტურ, უმრავლეს შემთხვევაში — დანაშაულებრივ მითითებებს.

თუ ამ შეფასებებს არ ეთანხმებით, რით შეგიძლიათ ახსნათ თქვენი უკანონო გადაწყვეტილება, რომელიც მიიღეთ უზენაესი საბჭოს მიერ პრეზიდენტად თქვენი არჩევის მეორე დღეს — 1991 წლის 15 აპრილს და რომლითაც გამოაცხადეთ საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობა? ამ დროს საქართველოში მიღებულია დამოუკიდებლობის აქტი. იქნებ გვიპასუხოთ, ვის გამოუცხადეთ დაუმორჩილებლობა და ვინ აუნაზღაურებს საქართველოს ეკონომიკას იმ 400 მილიონ მანეთს, რომელიც თქვენი დანაშაულებრივი მოქმედებით იზარალა რესპუბლიკამ?

7. თქვენი დავალებით 1991 წლის 28-29 იანვარს უზენაესი საბჭოს კომისიის თავმჯდომარემ, ბრალდებულმა ტ. გილანტიამ, ფინანსთა მინისტრთან ბრალდებულ გ. აბსანძესთან ერთად ორგანიზაცია გაუკეთა თბილისის ორი შემნახველი ბანკიდან სახელმწიფო ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცებას. სახელმწიფო ბანკებიდან დატაცებული 6,5 მილიონი მანეთი თქვენი განკარგულებით გადაეცა თქვენი პირადი დაცვის უფროსს, რომელიც ამ თანხას თქვენი მითითებით ხარჯავდა.

იქნებ დაგვისახელოთ, რომელიმე საკანონმდებლო ნორმა ან რაიმე ნორმატიული აქტი, რომლითაც ხელმძღვანელობდით ამ გადაწყვეტილების მიღებისას. წინააღმდეგ შემთხვევაში, თვლით თუ არა, რომ ხართ ამ 6,5 მილიონი მანეთის დატაცების ორგანიზატორი?

8. ზემოაღნიშნული თანხიდან რა დავალების შესასრულებლად გადაეცით ჩეჩნეთის მოქალაქეს (გვარი თქვენთვის და ჩვენთვისაც ცნობილია) 250 ათასი მანეთი, შეასრულა მან თქვენი დავალება თუ არა?

9. თქვენი განკარგულებით 1991 წლის 1 ოქტომბრიდან 1992 წლის 2 იანვრამდე ფინანსთა მინისტრის მონაწილეობით სათანადო დოკუმენტების წარდგენის გარეშე თბილისის ბანკებიდან გამოტანილია 17 მილიონ 867 ათასი მანეთი, მათი ხარჯვის რაიმე დოკუმენტი არ მოიპოვება, ვინაიდან თქვენი განკარგულებით ეს თანხა შემთხვევითი პირებისთვისაა გაცემული.

გთხოვთ გვიპასუხოთ, ხართ თუ არა ამ თანხის დატაცების ორგანიზატორი და შეგიძლიათ თუ არა წარმოუდგინოთ გამოძიებას იმის დამადასტურებელი საბუთები, რომ მითითებული თანხა დაიხარჯა კანონიერად და მოხმარდა სახელმწიფოს ინტერესებს?

10. განუმარტეთ გამოძიებას, შეიძლებოდა თუ არა ქვეყნის პრეზიდენტად დარჩენილიყო პირი, რომელმაც ავადმყოფი ბავშვების სამკურნალოდ გამოყოფილი უცხოური ვალუტით თავისთვის და მეუღლისთვის 417 ათას დოლარად შეიძინა ორი ჯავშნიანი ავტომანქანა „მერსედესი". რომელიც კონტრაბანდად შემოიტანა საქართველოში და გასცა განკარგულება ამ ავტომანქანების თავისი და თავისი მეუღლის საკუთრებად გაფორმებაზე? ეს პიროვნება თქვენა ხართ. მიგაჩნიათ თუ არა, რომ ამ მოქმედებით დაკარგეთ მორალური უფლება კვლავ თვლიდეთ თავს საქართველოს პრეზიდენტად?

11. საქართველოს ტელევიზიით თქვენს დროსაც გადაიცემოდა, დღესაც ხშირად გადაიცემა განცხადებები, რომ მძიმედ დაავადებულ ბავშვებს ესაჭიროებათ საზღვარგარეთ მკურნალობა, რისთვისაც აუცილებელია გარკვეული რაოდენობის ვალუტა.

გთხოვთ გვიპასუხოთ, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე თქვენი უფროსი შვილისთვის ბანკიდან ოცდათორმეტი ათასი დოლარი რომ გამოიტანეთ, თუ გაგახსენდათ ის ავადმყოფები და თუ გაგახსენდათ, თქვენ, სრულიად საქართველოს პრეზიდენტმა, რატომ არ შეცვალეთ თქვენივე უკანონო გადაწყვეტილება და არ გადაეცით ეს სახელმწიფო ქონება მათ, ვისაც ნამდვილად სჭირდებოდა?

12. თვლით თუ არა თქვენს თავს დამნაშავედ ერთა შორის შუღლის გაღვივებაში? თქვენს მიერ შეგნებულად ორგანიზებულმა ქართველი და ოსი ხალხების დაპირისპირებამ, რაშიც თავიანთი წვლილი შეიტანეს ჩოჩიევმა, კულუმბეგოვმა, ცხოვრებოვმა და სხვებმა, გამოიწვია უდიდესი სისხლისღვრა, ქართველთა მასიური აყრა ძირძველი ქართული მიწიდან და მათი ლტოლვილებად ჩამოსვლა თბილისში, გორში და რესპუბლიკის სხვა რეგიონებში. თქვენი დანაშაულებრივი საქმიანობით აშკარად ხელი შეუწყვეთ ქართველთა და ოსთა შორის ხოცვა-ჟლეტას. 1991 წლის იანვარ-თებერვალში სამაჩაბლოდან რესპუბლიკის მილიციის გამოყვანით სასიცოცხლო საფრთხის პირისპირ უპატრონოდ მიატოვეთ იქაური ქართველობა. რამ შეგიშალათ ხელი, გაგეთვალისწინებიათ ის საფრთხე, რომელიც დაემუქრებოდა ქართველ მოსახლეობას ცხინვალიდან ქართული მილიციის გამოყვანის შემდეგ?

13. თქვენ მიგაჩნიათ, რომ ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას, რომელსაც სხვებთან ერთად თქვენც ხელმძღვანელობდით, მიზნად ჰქონდა დასახული საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება და ხალხისათვის ბედნიერი ცხოვრების უზრუნველყოფა. ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ, ამ მიზნების განსახორციელებლად საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მიღებას თუ არ ჩავთვლით, თქვენ არაფერი გაგიკეთებიათ. ერთ წელიწადზე მეტი დრო თქვენ მოახმარეთ იმ მოქმედებებს, რაზედაც დაგისვით შეკითხვები.

ქართველმა ხალხმა, ყოველ შემთხვევაში, მისმა უდიდესმა ნაწილმა თავისი ნება გამოხატა 1991 წლის 22 დეკემბრის-1992 წლის 6 იანვრის აჯანყების დროს, როცა თქვენ ჩამოგაგდოთ პრეზიდენტის პოსტიდან და თქვენი მმართველობა დაამხო. ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ ძალები, რომლებიც ცდილობენ თქვენს მიერ მსოფლიოს საზოგადოებისაგან იზოლირებული საქართველო გამოიყვანონ უმძიმესი მდგომარეობიდან და დაამკვიდრონ ქვეყნის მართვის დემოკრატიული, ცივილიზებული პრინციპები.

მინდა ვიფიქრო, თქვენც დარწმუნდით, რომ არ გაგაჩნიათ სახელმწიფოს მართვის უნარი; იმაშიც დარწმუნდებოდით, ალბათ, რომ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე დაბრუნების მორალური უფლება არა გაქვთ, ამას ხალხიც არ დაუშვებს.

იქნებ ასეთ კითხვაზეც გვიპასუხოთ: თუ გულით ქართველი ხართ, თუ გიყვართ სამშობლო და მისი ხალხი, სისტემატურად რატომ მოუწოდებთ საქართველოს მოსახლეობას ეროვნული დაუმორჩილებლობისაკენ, გაფიცვების, საბოტაჟების მოწყობისაკენ, სხვა კანონსაწინააღმდეგო მოქმედებების ჩასადენად, რასაც პრაქტიკულად განახორციელებთ კიდეც რკინიგზის ლიანდაგების, ხიდების, ავტომაგისტრალების, სხვა კომუნიკაციების აფეთქებებით, მკვლელობებით, მოსახლეობის დარბევებით, სახალხო მეურნეობის დანიშნულებისათვის გათვალისწინებული ტვირთის დატაცებით, რითაც რესპუბლიკას 6 მილიარდი მანეთის მატერიალური ზარალი მიაყენეთ?

გამორიცხული არ არის, რომ დასმულ შეკითხვებს უარყოფით პასუხს გასცემთ, მაშინ აუცილებელი იქნება თქვენი პირადი მონაწილეობა საგამოძიებო პროცესში; მოგიწევთ გაეცნოთ უკვე არსებულ მასალებს და კონკრეტულ ფაქტებს, რომლებიც გამხელთ დანაშაულობათა ჩადენაში; პირადად მოგიწევთ მოისმინოთ მრავალრიცხოვან მოწმეთა ჩვენებები. გაცნობებთ, რომ უფლება გაქვთ გამოძიების პროცესში თქვენთან ერთად მონაწილეობა მიაღებინოთ თქვენს მიერ შერჩეულ სამართლისმცოდნეებს, მათ შორის უცხო სახელმწიფოებიდან მოწვეულ ადვოკატებსაც.

განვმარტავთ, რომ დანაშაულის აღიარება და მონანიება არის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება, რასაც გაითვალისწინებს სასამართლო სასჯელის განსაზღვრის დროს.

Ვ. ᲠᲐᲖᲛᲐᲫᲔ,
საქართველოს რესპუბლიკის
გენერალური პროკურორის
მოვალეობის შემსრულებელი.

ᲯᲔᲘᲛᲡ ᲑᲔᲘᲙᲔᲠᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔᲡ

15 მაისს საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჯეიმს ბეიკერის პირადი წერილი. იგი ეხება ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების შესახებ ხელშეკრულების ბედს.

წერილში, კერძოდ, ნათქვამია: „ხელშეკრულება ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ კოოპერაციული უშიშროების წესის საფუძველია, რომლის მშენებლობასაც ევროპაში ესწრაფვის ყველა. მოგმართავთ უშუალოდ თქვენ, რადგან ვიცი, რომ თქვენ იზიარებთ ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ ხელშეკრულების ამოქმედების უზრუნველყოფისადმი ჩვენს ერთგულებას. ეს ერთ-ერთი უდიდესი მიღწევაა, რომელმაც ყველას მოგვცა საშუალება დავინახოთ იმედის ახალი სამყარო. ვიცი, რომ ეს საერთოდ შეუძლებელი იქნებოდა თქვენი ამ საქმისადმი პირადი ერთგულება და დაუღალავი ძალისხმევა რომ არა...

ღრმად შემაშფოთა ცნობამ, იმის თაობაზე, რომ ჩიხში მოექცა მოლაპარაკება ახალ სახელმწიფოებს შორის კვოტების განაწილების შესახებ. ვიცი, რომ საქართველო ამ მოლაპარაკებაში მონაწილეობს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებთან ერთად. იქიდან, რაც შევიტყვე, შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ საფლანგო ზონაში შეიარაღების კვოტების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების უქონლობა მთავარი დაბრკოლებაა მორიგების მიღწევის გზაზე, რაც საშუალებას მოგვცემდა წავწეულიყავით წინ ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების თაობაზე ხელშეკრულების დადების გზაზე. ეროვნულ პოზიციათა კონტექსტით, რომლებიც გაითვალისწინებდნენ მეზობლების კანონიერ თავდაცვით მოთხოვნილებებს, ეს პრობლემები შეიძლება მოხსნილიყო.

მხოლოდ ახალი სახელმწიფოები შეძლებენ უზრუნველყონ 9 ივლისისათვის ხელშეკრულების ამოქმედება, რასაც ჩვენ ყველანი ვეთანხმებით. ვიცი, რომ ახლა თქვენი ყურადღება მიპყრობილია მრავალი სხვა პრობლემისადმი, მაგრამ გთხოვთ დაუთმოთ პირადი ყურადღება ხელშეკრულების მიხედვით კვოტების განაწილების საკითხს. ახლა საჭიროა პოლიტიკური მიდგომა, რომლის მეშვეობითაც შეიძლება ამ პროგრამის გადაჭრა.

ყოფილი საბჭოთა კავშირისთვის გამოყოფილი შეიარაღების უზარმაზარი კვოტა სრულ შესაძლებლობას იძლევა იმისთვის, რომ რვავე სახელმწიფომ მიიღოს შეიარაღების ასეთი დონის უფლებანი, რომელიც ეროვნული თავდაცვის საჭიროებათა უზრუნველყოფისთვის საკმარისზე მეტი იქნება. ამერიკის შეერთებული შტატები მოელის, რომ ტაშკენტში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის უმაღლეს ხელმძღვანელთა შეხვედრა მოიტანს ისეთ შედეგებს, რომლებიც საჭიროა საგანგებო კონფერენციის წარმატებისთვის. ჩვენ ვხელმძღვანელობთ იმით, რომ გამონახული გადაწყვეტილება უზრუნველყოფს საჭირო კვოტას საქართველოსთვისაც.

დასასრულ მსურს აღვნიშნო, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ საქართველოს დაპირებას დაიცვას ყოფილი საბჭოთა კავშირის მიერ ნაკისრი ევროპის შეიარაღების შესახებ ხელშეკრულების დებულებანი და ხელი შეუწყოს 9 ივლისისათვის ამ ხელშეკრულების ამოქმედებას. ხელშეკრულება სტაბილურ ჩარჩოებს უქმნის ახალი პოლიტიკური ურთიერთობის განვითარების პროცესის ხელშეწყობას. ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ ეს შესაძლებლობა დაიკარგოს".

ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲡ — ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ

ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ

დღეს მთელი საქართველო და მასთან ერთად თბილისი უაღრესად დაძაბული, მშფოთვარე, მოულოდნელობით აღსავსე ვითარებაში ცხოვრობს. მოსახლეობის უმეტესობის დუხჭირ ეკონომიკურ ყოფას თან ერთვის კრიმინალურ ელემენტთა თავაშვებული თარეში, როცა არავინ არ არის დაზღვეული ვანდალური თავდასხმებისგან. აწ დამხობილი ხელისუფლების უგუნურმა საშინაო პოლიტიკამ დასცა ქართველთა გარკვეული ნაწილის ზნეობა, ზედაპირზე ამოტივტივდნენ დაუსჯელობით გალაღებულ დამნაშავეთა ჯგუფები, თბილისში მოჯარბდნენ ქალაქში ჩაუწერელი, ფაქტობრივად, უსაქმური პიროვნებები, რაც კიდევ უფრო ხელსაყრელ ნიადაგს უქმნის ბოროტმოქმედებათა ესკალაციას.

საზოგადოება „თბილისელი", რომელშიც გაერთიანებულია 5000-ზე მეტი ადამიანი, სავსებით უჭერს მხარს სახელმწიფო საბჭოს მოღვაწეობას ამ ურთულეს პირობებში, ელის და მოითხოვს მისგან: ზომების გამკაცრებას კრიმინალურ ელემენტთა მიმართ: საკომენდანტო საათით დადგენილი წეს-კანონების უმკაცრეს დაცვას; ქალაქში ყოველგვარი უკანონო მიტინგების, თავყრილობების, დემონსტრაციებისა და მსვლელობათა კატეგორიულ აკრძალვას.

საზოგადოება „თბილისელი" თვლის, რომ შეუწყნარებელია იმ ადამიანთა უთავბოლო წარმოჩენა ტელეეკრანზე, რომელთა საქმიანობამ ტრაგედიამდე მიიყვანა საქართველო, მათ შორის, საქართველოდან გაქცეული ყოფილი ექს-პრეზიდენტისა, რაც ბოროტ ზრახვებს უღვივებს იმ პიროვნებებს, რომლებიც ფაქტობრივად გაეთიშნენ ქართველ ერს და უნდობლობას უცხადებენ დღევანდელობას. ამით კვლავ ანგარიშს ვუწევთ იმათ, ვინც უბედურება მოგვიტანა და არაფრად ვაგდებთ მათ მიერ გაწამებულ ხალხს.

დიდ შეცდომად მიგვაჩნია სახელმწიფო საბჭოს სხდომათა დარბაზიდან მრავალსაათიანი სხდომების ტრანსლაცია ტელევიზიით. იხილება ბევრი ისეთი საკითხი, რომლებიც ყველამ არ უნდა იცოდეს. ეს სახელმწიფოებრივი ცხოვრების კანონია. თანაც საბჭოს ზოგიერთი წევრი წინასაარჩევნო აგიტაციასაც ეწევა თავისი პარტიისა თუ პიროვნების სასარგებლოდ, რაც ტელეეკრანიდან ძალიან კარგად იგრძნობა. ნორმალურ ქვეყნებში ამგვარი გადაცემა მხოლოდ მოკლე ინფორმაციის სახით ხდება.

უწესრიგობამ ყოველგვარ ზღვარს გადააბიჯა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ილია ჭავჭავაძის ობელისკი ტყვიით დაცხრილეს!

ჩვენ გვაღელვებს და გვიკვირს, რომ სახელმწიფო საბჭოს ზოგიერთ წევრს არ შესწევს უნარი სათანადოდ შეაფასოს ედუარდ შევარდნაძის პიროვნება და გვერდში ამოუდგეს მას. ხოლო სხვები იმ ადამიანს, რომელსაც მსოფლიომ გამოუცხადა ნდობა მის საქმეთა გამო, არათუ უნდობლობას უცხადებენ, ლანძღვა-გინებითაც იკლებენ.

საზოგადოება „თბილისელის" ათასობით წევრი აღშფოთებულია ყოველივე ამით და მზად არის აქტიური მონაწილეობა მიიღოს თუნდაც დედაქალაქში სათანადო წესრიგის დამყარებაში. სახელმწიფო საბჭოს ვთხოვთ, — დაუყოვნებლივ განიხილოს ეს საკითხი და შესაფერისი ფორმით, უფლებითა და პასუხისმგებლობით ჩაგვრთოს ამ გადაუდებელ საქმეში.

**საზოგადოება „თბილისელის"
გამგეობა.**

ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ᲙᲐᲕᲡᲐᲫᲔ:

„ᲘᲐᲠᲐᲦᲘᲡ ᲔᲜᲐᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲛᲝᲡᲓᲔᲕᲡ..."

რა ვითარებაა დღეს ცხინვალის რეგიონში, დაცხრნენ თუ არა ექსტრემისტები, შეწყდა თუ არა ცეცხლი, როდის ეღირსება ნანატრი მშვიდობა ამ ტანჯულ მიწას? — ეს კითხვები აღელვებს ახლა საქართველოში მცხოვრებ ყველა კეთილი ნების ადამიანს. ამ შეკითხვებით დაიწყო ჩვენი საუბარი საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის, ეროვნებათა შორის ურთიერთობებისა და ადამიანთა უფლებების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარესთან სანდრო კავსაძესთან:

— 13 მაისს ცხინვალის რეგიონში საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჯაბა იოსელიანი, სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, მათ შორის მეც შევხვდით ცხინვალისა და თამარაშენის მოსახლეობის წარმომადგენლებს.

აღსანიშნავია, რომ ცხინვალში ორი წელიწადია არ ყოფილა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელი. სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ურჩევდნენ, არ შესულიყო ცხინვალში, რადგან არ არსებობდა უშიშროების გარანტია. მაგრამ როგორც ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, შექმნილი ვითარების დღევანდელ სიტუაციაში იგი სხვა გამოსავალს ვერ ხედავდა. ჩვენ ჩამოვედით იმისთვის, თქვა მან, კერძოდ, რომ ხალხს შევხვდეთ, ერთად მოვილაპარაკოთ საჭირბოროტო საკითხებზე. ცხინვალში დაგვხვდნენ ტ. კულუმბეგოვი, ჩრდილოეთ ოსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები ა. ზასოხოვი, ი. ბიგაევი. საუბრისას ხაზგასმით გამოიკვეთა უმთავრესი სურვილი — რაც შეიძლება მალე დამყარდეს მშვიდობა და შეწყდეს ცეცხლი. ხალხი დაიღალა უაზრო სისხლისღვრით, ისინი დიდ იმედს ამყარებენ ბატონ ედუარდ შევარდნაძეზე და სჯერათ მისი.

შეხვედრა გაიმართა სოფელ თამარაშენში. აქაურები უმძიმეს პირობებში აღმოჩნდნენ, ჩაკეტილები არიან, უჭირთ. მართლაც, რომ აუტანელი ვითარებაა ლიახვის ხეობის ცხრავე ქართულ სოფელში. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა საკმაოდ სერიოზული და ყურადსაღები მოთხოვნები წამოაყენეს, მაგრამ აქაც ყველაზე მთავარი მოთხოვნა მშვიდობის დამყარება იყო. ჩვენ ვალში ვართ ამ სოფლების მოსახლეობის წინაშე, რომელთაც ნამდვილი გმირობა გამოიჩინეს, არ მიატოვეს მამაპაპური კერა, დაიცვეს თავიანთი მიწა-წყალი.

მიღწეულია შეთანხმება, რომ კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების წინამძღვარია ორივე მხრიდან ცეცხლის შეწყვეტა. სიტუაცია უკვე მართვადია. იარაღის ენას ყოველთვის მძიმე შედეგები მოსდევს, ამიტომ საჭიროა შეხვედრები და საუბრები, რომლებზეც შესაძლებელი გახდება კონსტრუქციული დიალოგი საკითხების მშვიდობიანად მოსაგვარებლად.

სამწუხაროდ, ზოგჯერ უსწორო ინფორმაცია ძაბავს ისედაც დაძაბულ სიტუაციას. მაგალითად, 13 მაისს თბილისში გავრცელდა ხმა, თითქოს ცხინვალში 27 ტანკი შემოვიდა ჩრდილოეთ ოსეთიდან. მსგავსი არაფერი მომხდარა. დაზუსტდა, რომ აქ იმყოფება მესანგრეთა პოლკის ნაწილი და ღამით მათი მანქანების გადაადგილებისას შუქფარები ზოგს ტანკებისა ეგონა. უნდა ვეცადოთ, რომ თავიდან ავაცილოთ მოსახლეობას დაუზუსტებელი ცნობები, რომლებიც შეიძლება კონფრონტაციის ახალი მიზეზი გახდეს.

ახლა მთავარია არ დაირღვეს პირობა არც ერთი მხრიდან, რათა მშვიდობის აღსადგენად გადადგმულმა პირველმა იმედისმომცემმა ნაბიჯებმა კეთილი ნაყოფი გამოიღოს. საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს იღონებს პრობლემების მშვიდობიანი გზით მოსაწესრიგებლად.

ესაუბრა
ᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲑᲠᲘᲐᲫᲔ,

საქართველოსთვის, ბიჭებო, სწორდით!

ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲒᲐᲬᲕᲔᲕᲐ

15 მაისს დაიწყო სავალდებულო სამხედრო გაწვევა. თუმცა შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარებში პირველი წვევამდელები შარშანდელ ნოემბერ-დეკემბერში, იმ სისხლიან დღეებამდე ცოტა ხნით ადრე მივიდნენ. მაგრამ მაშინ წვევამდელთა შევსების მხოლოდ 25 პროცენტი მიიღეს. გასაგებია, ეს იყო მოხალისეთა პირველი ნაკადი. წელს კი მარტო გაზაფხულის გაწვევაზე 1000-ზე მეტი წვევამდელის მიღებაა გათვალისწინებული.

შინაგან ჯარებში წვევამდელებს, როგორც ეს დეკრეტითაა გათვალისწინებული, წელიწადში ორჯერ — გაზაფხულსა და შემოდგომაზე მიიღებენ და განაწილებენ, სამხედრო სამსახურის ვადაა 12 თვე.

სამხედრო ბეგარა გადაუვადდებათ იმათ, ვინც სახელმწიფო უმაღლეს ან საშუალო-სპეციალურ სასწავლებელში სწავლობს, აგრეთვე იმ წვევამდელებს, რომლებმაც უმაღლესი სასწავლებელი პედაგოგის სპეციალობით დაამთავრეს და საქართველოს ბუნებრივ-დემოგრაფიული თვალსაზრისით რთულ და დაშორებულ რეგიონებში მუშაობენ.

სახელმწიფო და სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულისთვის ორჯერ ნასამართლევნი, თუნდაც სასჯელმოხდილნი, რომც ჰქონდეთ ამის სურვილი, შინაგან ჯარებში არ მიიღებიან.

ის წვევამდელები კი, რომლებიც სამხედრო სამსახურს დაიწყებენ, განაწილდებიან საბადრაგო, საპატრულო და ოპერატიულ პოლკებში, სასწავლო ბატალიონში, საკომენდანტო და რიტუალების ასეულში, რომელშიც შევა ცხენოსანთა ოცეული. ჩვენი სასწავლო ბატალიონი თბილისში სპეციალური პროგრამით ამზადებს უმცროს მეთაურებსა და სპეციალისტებს, ოფიცერთა მომზადების საკითხი კი ახლა წყდება.

ამჟამად ჩვენს სპეცდანიშნულების პოლკში შემავალი ნაწილები ემსახურებიან თბილისს, რუსთავს, კასპს, ქსანსა და გეგუთს. მალე როგორც ადგილობრივი, ისე რესპუბლიკის სხვა რეგიონის ოფიცრებით, ზემდეგებითა და მოსამსახურეებით დაკომპლექტდება შინაგანი ჯარების ბატალიონები სოხუმში, ბათუმში, ზუგდიდსა და ცხინვალში.

ისევე როგორც ნებისმიერ შეიარაღებულ ფორმირებას, ჩვენს ჯარებსაც დასჭირდებათ მძღოლები, მესანგრეები, რადიო-სატელეფონო და ელექტროსაქმის სპეციალისტები, ცხენოსნები, მზარეულები, ავტომშეკეთებლები და ზეინკლები.

ახალწვეულები გამწვევ პუნქტში, უპირველეს ყოვლისა, სამედიცინო კომისიას გაივლიან: ნაწილებში მისვლისთანავე ისინი მოხვდებიან გამოცდილი ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ, საჭიროების შემთხვევაში კი ავადმყოფები გაიგზავნებიან შსს ჰოსპიტალში, რომელიც ერთ-ერთი სანიმუშო სამედიცინო დაწესებულებაა საქართველოში.

თადარიგში გასვლის შემდეგ საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების ახალგაზრდა იმავე რაიონს დაუბრუნდება, საიდანაც იყო გაწვეული და იქ განაგრძობს შრომას.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების პრესცენტრი.

ᲙᲐᲠᲘᲙᲐᲢᲣᲠᲘᲡᲢᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲘᲗ


ᲛᲔᲖᲝᲑᲔᲚᲝ, ᲠᲐ ᲓᲠᲝᲡ ᲑᲐᲠᲕᲐᲐ! ᲐᲰᲐ, ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲛᲝᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ!

მხატვარი მურთაზ აბაშიძე.

როგორ ვუშველოთ საქართველოს?

ყველაფერს ფული უნდა

აკაკი ბაქრაძე

(დასასრული)

ბერლინის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის ამბოხებების ჩახშობა, ბრძოლები ეთიოპიასა და ანგოლაში, ტერორიზმი, რომელიც მოსკოვის შეკვეთით ხორციელდებოდა. ასე მიმდინარეობდა ცივი ომი 1985 წლამდე, როცა სსრკ-ში „პერესტროიკად" წოდებული პროცესი დაიწყო.

ომი ომია, ცხელი იქნება იგი თუ ცივი, და რომელიღაც მხარემ უნდა გაიმარჯვოს. აქ ყაიმი, საჭადრაკო ტერმინს თუ გამოვიყენებთ, გამორიცხულია. შეიძლებოდა თუ არა წინასწარ გამოცნობა იმისა, ვინ გაიმარჯვებდა აშშ-სა და სსრკ-ის ცივ ომში? რა თქმა უნდა, შეიძლებოდა — აშშ. ამის საბუთად მარტო ისიც კმაროდა, რომ დროთა განმავლობაში აშშ-ის მხარეს აღმოჩნდნენ ყველაზე მდიდარი, ძლიერი და განვითარებული ქვეყნები — დიდი ბრიტანეთი, გფრ, იაპონია, იტალია, კანადა, საფრანგეთი. ამათ ავსტრალიას, არგენტინას, ბრაზილიას თუ მივუმატებთ, ცხადი გახდება, რა უძლეველმა ძალამ მოიყარა ერთად თავი. მართალია, სსრკ-ის გვერდით ჩინეთი იდგა, მაგრამ იგი გუდამშიერი და ულონო კოლოსი იყო. მას ცივ ომში არსებითი როლის შესრულება არ შეეძლო. ყველა თვალსაზრისით— პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, სამხედრო, კულტურული — უპირატესობა ამერიკასა და მის ბანაკს ჰქონდა. ჭკვიანი, გამჭრიახი, შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსისთვის ცივი ომის შედეგი ნათელი იყო. სამწუხაროდ, ჩვენ იგი წინასწარ ვერ ამოვიცანით.

უკვე მოხსენიებული ორი მსოფლიო ისტორიული პროცესის გვერდით მესამეც მიმდინარეობდა — ეკონომიკური შეჯიბრი.

თავის უძლეველობაში დარწმუნებულმა სოციალიზმმა, როგორც კი რუსეთში გაიმარჯვა, მაშინვე გამოუცხადა ეკონომიკური შეჯიბრი კაპიტალიზმს. მეორე მსოფლიო ომის წინ მთელ სსრკ-ში წამდაუწუმ ისმოდა ლოზუნგი — დავეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს! მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებამ ხომ სულ თავბრუ დაახვია სსრკ-ს. დამარცხდა გერმანია, იტალია, იაპონია. მართალია, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი გამარჯვებულთა რიცხვში ითვლებოდნენ, მაგრამ ვაი, ამ გამარჯვებას — იმპერიებიც თავზე დაემხოთ და ეკონომიკურადაც გაძვალტყავებული აღმოჩნდნენ. მრავალრიცხოვანი კომუნისტური პარტიები მთელ მსოფლიოში მძვინვარებდნენ. სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებას თითქოს წინ, ამერიკის მეტი, არაფერი ედგა. ძველი ლოზუნგიც ახლით შეიცვალა: დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკას! მაგრამ იმას, რასაც პოლიტიკური აზრი ვერ ჰჭვრეტდა, კარგად ხედავდნენ ენაკვიმწარა ადამიანები. მაშინვე გავრცელდა ანეკდოტი: ებრაელი იხვეწებოდა — დავეწიოთ ამერიკას, მაგრამ ნუ გავასწრებთო. — რატომ ნუ გავასწრებთო,— ეკითხებ. უპასუხა: უკანალზე შარვალი მაქვს გამოხეული, ამერიკელები დაინახავენ და ამ პატიოსან კაცს თავი მომეჭრებაო.

საბედისწერო შეცდომა ის იყო, რომ სსრკ-ში პოლიტიკურმა აზრმა უმთავრესი ვერ დაინახა — უკანალზე გამოხეული შარვალი, ანუ სრული ეკონომიკური სიდუხჭირე. სამაგიეროდ იგი ნათლად შეამჩნია ამერიკის პრეზიდენტმა კენედიმ. მან არათუ მიიღო სსრკ-ის მიერ გამოცხადებული ეკონომიკური შეჯიბრი, არამედ თავისი ვარიანტიც შესთავაზა: ერთმანეთს ბომბებს ნუ დავუშენთ, კოსმოსის ათვისებაში გავეჯიბროთო. სსრკ-მა გამოწვევა მიიღო. ერთხანს კი აუბა მხარი სსრკ-მა ამერიკას, მაგრამ მალე გამოელია ძალა და 80-იანი წლების ბოლოს არსებობა სრული კრახით დაამთავრა.

დიდი მნიშვნელობისა იყო ჩინეთისთვის ბრძოლაც. მეორე მსოფლიო ომი ჯერ არც დამთავრებულიყო, რომ ანტიგერმანულ და ანტიიაპონურ კოალიციას ბზარი გაუჩნდა. ეს ბზარი ჩინეთის პრობლემამ წარმოშვა. ვის დარჩებოდა ჩინეთი — ამერიკას თუ სსრკ-ს? ამ ქიშპში სსრკ-მა იმარჯვა და ამერიკა პირში ჩალაგამოვლებული დატოვა. ჩინეთში კომუნისტური რეჟიმი დამყარდა. იგი სოციალიზმის ბანაკს შეუერთდა.

ამ დამარცხებას კაპიტალისტური სამყარო ვერ შეურიგდებოდა. „ყვითელი საფრთხე" დღეს გაჩენილი შიში არ არის. იგი დიდი ხანია არსებობს. სოციალისტური ბედით შედუღაბებული სსრკ და ჩინეთი ისეთი ძალა იყო, რომ წინ ვერაფერი დაუდგებოდა. კაპიტალისტური სამყაროს წინაშე გადაუდებელი ამოცანა დაისვა: უნდა დაერღვია სსრკ-ისა და ჩინეთის ერთიანობა. მოახერხა კიდეც ეს. სსრკ და ჩინეთი მტრად მოეკიდნენ ერთმანეთს. სასაზღვრო შეტაკებით ერთმანეთს კბილიც კი მოუსინჯეს. მართალია, ეს გარკვეულად ამერიკის გამარჯვება იყო, მაგრამ უკმარი. დღევანდელი მტრები შეიძლებოდა ხვალ ისევ მეგობრები გამხდარიყვნენ. ამიტომ სსრკ-ში და ჩინეთში სოციალიზმი უნდა მოეშალათ. უპირველესად ეს სსრკ-ში უნდა მომხდარიყო. თუ სსრკ, ან მის ადგილას წარმოშობილი სახელმწიფო, შეუერთდებოდა ამერიკას და მის ბანაკს, „ყვითელი საფრთხის" წინაშე ევროპულ ცივილიზაციას, რუსეთის სახით, დიდი დამცავი კედელი გაუჩნდებოდა. რუსეთმა ეს როლი ერთხელ უკვე შეასრულა, როცა XIII საუკუნეში მონღოლთა ძლევამოსილ ლაშქარს გადაეღობა და ევროპაში არ შეუშვა. „ყვითელი საფრთხე" ისევ არსებობს და არც რუსეთის როლი გაუქმებულა. ამ როლს საიმედოდ რუსეთი მაშინ შეასრულებს, თუ იგი მყარად გახდება კაპიტალისტური სამყაროს ნაწილი. ამ მიმართულებით ევროპულ-ამერიკულმა დიპლომატიამ იმდენი იმუშავა, რომ სსრკ-იც დაშალა და სოციალიზმს ლიბოც მოარღვია.

სსრკ-ის დაშლას მისი სახელმწიფოებრივი ხასიათიც განაპირობებდა. კაცობრიობის ისტორიაში იმთავითვე ორგვარი იმპერიები არსებობდნენ: ერთნი, შექმნილი მთელი ხალხის ძალისა და გონისხმევით, და მეორენი, შექმნილი პიროვნების ძალისა და გონისხმევით. მთელი ხალხის ძალითა და გონისხმევით შეიქმნა, მაგალითად, რომის, დიდი ბრიტანეთის, რუსეთის იმპერიები. პიროვნების ძალისა და გონისხმევით შეიქმნა, მაგალითად, ალექსანდრე მაკედონელის, კარლოს დიდის, ნაპოლეონის იმპერიები. დროთა განმავლობაში ერთიც იშლება და მეორეც. განსხვავება ის არის, რომ პიროვნების მიერ შექმნილი იმპერია, არსებითად შემქმნელის სიკვდილისთანავე ირღვევა. ალექსანდრე მაკედონელის იმპერია დაიშალა, როგორც კი დიდი მხედართმთავარი გარდაიცვალა. ნაპოლეონსაც წმ. ელენეს კუნძულზე გაჰყვა მისი სახელმწიფო. ხალხის მიერ შექმნილი იმპერიები კი უფრო ხანგრძლივად არსებობენ. მაგალითად, რომის იმპერიამ ათასი წელიწადი იარსება.

რუსეთის იმპერია 1917 წლის რევოლუციების შედეგად დაიშალა. მომდევნო წლებში მისი მოდერნიზაცია არ მომხდარა, როგორც ამას წამდაუწუმ გვეიძახოდით. შეიქმნა ახალი. რუსეთის ეროვნული იმპერიის ნანგრევებზე აშენდა პიროვნული (ლენინ-სტალინის) იმპერია — სსრკ. სსრკ-ში თავად რუსეთს ისევე უჭირდა, როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს. ასე იყო, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს „უფროსი ძმა" ერქვა, რუსული ენა პრივილეგიებით სარგებლობდა, ჭკუის საკითხავადაც მოსკოვში დაგვარბენინებდნენ. რუსეთს რომ სხვა მოკავშირე რესპუბლიკებზე არანაკლებად ყვლეფდნენ, ეს დღეს მკაფიოდ ჩანს.

სსრკ ბევრად ვრცელ ტერიტორიას ფლობდა და ბევრად მრავალრიცხოვან ხალხს მბრძანებლობდა, ვიდრე რუსეთის იმპერია. სსრკ-ის ყურმოჭრილი ყმა იყო ევროპისა და აზიის ბევრი ქვეყანა. ამერიკისა და აფრიკის კონტინენტის საქმეებშიც აფათურებდა ხელებს სსრკ.

სსრკ-ის გარეგნულ სიძლიერეში დიდი შინაგანი სისუსტე იმალებოდა. ერთსა და იმავე სისტემაში შეუძლებელი იყო დიდხანს დარჩენილიყვნენ ისეთი ძირეულად განსხვავებული ქვეყნები, როგორიც, მაგალითად, უნგრეთი და ვიეტნამია. ეს შინაგანი წინააღმდეგობა, ადრე თუ გვიან, სსრკ-ს გამოღრღნიდა და დაშლიდა. სსრკ-ს ის დაემართებოდა, რაც ყველა პიროვნული იმპერიის ხვედრი იყო. არსებითად, სსრკ-ის დაშლა მაშინ დაიწყო, როცა მისი შემქმნელი სტალინი გარდაიცვალა. მაგრამ ეს ვერ გავაცნობიერეთ და კრძალვითა და თრთოლვით შევყურებდით სახელმწიფოთა უზარმაზარ სისტემას, გაშლილს ევროპის შუაგულიდან წყნარ ოკეანემდე, ციმბირიდან მალაიზიამდე. ისე დაგვემართა, როგორც ანდაზაშია ნათქვამი: შეშინებული ძაღლი სამ წელიწადს ჯირკს უყეფდაო.

დღეს ვხედავთ, რომ მსოფლიო ისტორიული პროცესის ხუთივე ნაკადი (დეკოლონიზაცია, ცივი ომი, ეკონომიკური შეჯიბრი, ბრძოლა ჩინეთისთვის, პიროვნული იმპერიის სიძაბუნე) თურმე ერთ გარდაუვალ შედეგში იყრიდა თავს — სსრკ-ისა და სოციალიზმის დაშლა-რღვევაში. ქართულ პოლიტიკურ აზრს ხსენებული პოლიტიკური პროცესების მდინარება რომ თავის დროზე შეემჩნია და შედეგი განეჭვრიტა, ჩვენ ბევრ საბედისწერო შეცდომას გავექცეოდით, მსხვერპლიც ნაკლები იქნებოდა და თავისუფლება-დამოუკიდებლობის დღეს საფუძვლიანად მომზადებული შევხვდებოდით. არ დავკარგავდით იმ დროს, რომელიც თავისუფლება-დამოუკიდებლობის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, საგანმანათლებლო საფუძვლების მომზადებას სჭირდებოდა. მაგრამ უმწეონი აღმოვჩნდით. ისტორიის მსვლელობას ალღო ვერ ავუღეთ. ვერც მომზადება მოვასწარით. თავი მხოლოდ იმით შეგვიძლია ვინუგეშოთ, რომ ეს ვერც სსრკ-ში მოსახლე სხვა ხალხებმა მოახერხეს. ისინიც პოლიტიკურად და ეკონომიკურად სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდნენ სსრკ-ის ნანგრევებში.

მართალია, ამ საკითხებზე ლაპარაკი ამჟამად ძალიან დაგვიანებულია, მაგრამ თუ გავიხსენე, მხოლოდ იმიტომ, რომ მეთქვა— თუ მსოფლიოში მიმდინარე პროცესები საქართველოს (ყველა მოკავშირე რესპუბლიკის) სასარგებლო იყო პოლიტიკურად, ეკონომიკურად საშიში და საზიფათო აღმოჩნდა. ამ პროცესებმა ძირფესვიანად დაანგრია ძველი ეკონომიკური სისტემა, მაგრამ ჯერჯერობით საფუძველი ვერ ჩაუყარა ახალს. ახლა ამოცანა ის არის, რომ როგორმე ეკონომიკური პროცესი ვმართოთ და ახალი, ანუ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკური სისტემა ავაშენოთ.

პოლიტიკური თავისუფლების მოპოვება არ ნიშნავს ქართული სახელმწიფოს აშენებას. ქართული თავისუფალი სახელმწიფო მაშინ აიგება, როცა ეკონომიკური პრობლემები მოგვარდება. ყოველგვარი თავისუფლება, თვინიერ მძლავრი ეკონომიკისა, სიცრუეა, თავის მოტყუებაა. ქართველ ხალხსაც უმთავრესი და ურთულესი ბრძოლა წინ აქვს: ბრძოლა ეკონომიკური მოწყობისთვის. ამ ბრძოლას ვერც მიტინგებით, ვერც დემონსტრაციებით, ვერც მანიფესტაციებით, ვერც გაფიცვებით და ვერც შიმშილობის გამოცხადებით, ვერც დაუმორჩილებლობით ვერ მოვიგებთ. პირიქით, გამოუვალ და სასტიკ ეკონომიკურ ქაოსში ჩავვარდებით, რასაც შეიძლება თავი ვეღარც დავაღწიოთ.

ეკონომიკური თავისუფლებისთვის ბრძოლის მოგება ერთადერთი გზით შეიძლება: თავდადებული შრომით, რკინისებრი დისციპლინით და მოთმინებით. სხვა საშუალება ეკონომიკური [illegible]სის მოგვარებისა კაცობრ[illegible] ისტორიამ არ იცის.

ქოხი რომ ქოხია, იმის [illegible]ბასაც სჭირდება ჭკუა, ფული და დრო. რაღა ითქმის სახელმწიფოს მშენებლობაზე? ღმერთმა ნუ ქნას, რომ ისე დაგვემართოს, როგორც ერთ ძველ ანეკდოტშია: კოლმეურნეობაში კრება მოიწვიეს. თავმჯდომარემ შეკრებილ ხალხს მოახსენა: ზემდგომმა ორგანოებმა ამოცანა დაგვისახეს — ან უნდა ავაშენოთ ბოსელი ან — კომუნიზმი. ხალხმა უნდა გადაწყვიტოს, რომლის მშენებლობას შევუდგეთო. წამოდგა ხანდაზმული გლეხი და სიტყვა ითხოვა.

— ბოსელი რომ ავაშენოთ, — თქვა მან, — ამას ფიცარი, აგური, კირი, ყავარი, კრამიტი, ისლი სჭირდება. ესენი ჩვენ არც ერთი არა გვაქვს. არც ის ხუროები გვყავს, რომლებმაც ბოსლის აშენება იციან. ფულზეც ქესატად ვართ. კომუნიზმის აშენებას არაფერი ეს არ სჭირდება. ამიტომ უფრო გონივრული იქნება, თუ ბოსლის აშენებას თავს დავანებებთ და კომუნიზმის მშენებლობას შევუდგებითო.

ღმერთმა აგვაშოროს ეს საფრთხე. მაგრამ სულხან-საბა ორბელიანი ბრძანებს: ღმერთი იმას არ შეელის, ვინც ხელს არ ანძრევსო. დღევანდელ ვითარებაში ხელის განძრევა მარტო თოხის მოქნევას ან ტრაქტორის მართვას არ ნიშნავს. იგი უპირველესად გულისხმობს ნათლად და დეტალურად გააზრებულ ეკონომიკურ პროგრამას.

ამ ცოტა ხნის წინათ ტელევიზიით გამოსვლისას ვთქვი: ჩვენ დღეს სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის მდგომარეობაში ვართ-მეთქი. ეს სიტყვები ზოგიერთს საწყენად დაურჩა, თურმე: მეჯღანუაშვილს შეგვადარაო. ჯერ ერთი, სოლომონ ისაკიჩთან შედარება რატომ არის საწყენი? მეორეც: მერწმუნეთ, ფიქრადაც არ გამივლია ვინიმე გულისტკენა. უბრალოდ, ვითარება მინდოდა წარმომედგინა. ისე, გულახდილი თუ ვიქნებით, უფრო მართალი იქნებოდა, მეთქვა: ბევრად უარეს მდგომარეობაში ვართ, ვიდრე ლავრენტი არდაზიანის პერსონაჟი იყო.

დავაკვირდეთ:

სოლომონ ისაკიჩის დროს მყარი ეკონომიკური სისტემა არსებობდა. იგი ნელა, მაგრამ ბუნებრივი და სწორი მიმართულებით ვითარდებოდა. დღეს არავითარი ეკონომიკური სისტემა არ არსებობს. ძველი, სოციალისტური დაინგრა, ხოლო ახალი, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა, ჯერ არ შექმნილა. ამას დიდი დრო უნდა.

სოლომონ მეჯღანუაშვილი საკუთარი უნარის წყალობით გამდიდრდა. დახმარება არავისთვის უთხოვნია. დადიოდა ბაზარში, ვარიებს ყიდულობდა, ოდნავ უმატებდა ფასს და ისევ ყიდდა. მოგებულ გროშებს ერთმანეთს აწებებდა. ასე თანდათანობით აგროვებდა სიმდიდრეს.

ერთი სიტყვით, მყარ ეკონომიკურ ვითარებაში მოქმედებდნენ მწარმოებელი (გლეხი, რომლისგანაც სოლომონი ვარიებს ყიდულობდა) — შუამავალი (სოლომონ ისაკიჩი) და მომხმარებელი (იგი, ვინც სოლომონისგან იძენდა ქათმებს). კარგად მოგეხსენებათ, თვინიერ ამ კომპონენტებისა (მყარი ეკონომიკური ვითარება, მწარმოებელი, შუამავალი, მომხმარებელი) წარმოუდგენელია თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა.

ეკონომიკური სისტემა რომ არ არსებობს, ეს უკვე ვთქვით. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ არც მწარმოებელია. შეიხედეთ დღეს სოკოებივით მომრავლებულ საკომისიო მაღაზიებში და თქვით: იპოვით კი თუნდაც ერთ ნივთს, რომელიც საქართველოში იყოს დამზადებული? ყველაფერი უცხოეთიდან არის შემოტანილი ნაირნაირი გზებით. ეს კი ნიშნავს, რომ სამეულს (მწარმოებელი — შუამავალი— მომხმარებელი) აკლია საძირკველი — მწარმოებელი. ამის გამო შუამავალიცა და მომხმარებელიც მაერშია გამოკიდებული. ესენი არათუ ეკონომიკას ვერ შექმნიან, მათი არსებობაც დიდად საეჭვოა, იმიტომ, რომ მარტივი კანონზომიერება გვასწავლის: თუ არ იქნება მწარმოებელი, ვერ იქნება ეკონომიკაც.

მართალია, ერთი პიროვნების —სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის გასამდიდრებლად, როგორც მწარმოებელი, ვარიების გამყიდველიც კმაროდა, მაგრამ საქართველოს ეროვნული დოვლათის შესაქმნელად მწარმოებელთა მთელი კლასის შექმნაა აუცილებელი. როგორ შევქმნათ მწარმოებელთა კლასი? აი, თავსატეხი კითხვა.

ამ პრობლემის მოსაგვარებლად რა თქმა უნდა, პრივატიზაცია აუცილებელია. ხელისუფლებაც სწორად მოიქცა, როცა პრივატიზაცია წამოიწყო, მაგრამ როგორი გეგმით განვახორციელოთ იგი?

თუ გვინდა თავისუფალ საბაზრო ეკონომიკას მყარი საძირკველი ჩაეყაროს, კერძო მფლობელს უნდა მიეცეს არა მარტო პაწია სადალაქო, არამედ ისეთი უზარმაზარი სამრეწველო ობიექტიც, როგორიც არის, ვთქვათ, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა.

ის ობიექტები, რომლებიც სადალაქოს რიგში დგას, პირობითად მცირე პრივატიზაციას მივაკუთვნოთ. ისინი კი, რომლებიც მეტალურგიული ქარხნის რიგში დგას, — დიდ პრივატიზაციას. მათდამი დამოკიდებულებაში არსებითი სხვაობაა. თუ მცირე პრივატიზაციის ობიექტები შეიძლება უფასოდაც გაიცეს (მაგალითად, მივცეთ ტაქსის მძღოლებს ავტომობილები. რატომ ვაყოვნებთ?), დიდი პრივატიზაციის ობიექტები აუცილებლად [illegible] გაიყიდოს. ვერც ერთი [illegible], უმდიდრესიც კი, კერძო მესაკუთრეს უფასოდ ვერ გადასცემს ისეთ ქარხნებს, როგორიც არის ქუთაისის საავტომობილო, თბილისის საავიაციო ან ელმავალსაშენებელი, ფოთის გემთსაშენებელი, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი და სხვანი მისთანანი. მით უმეტეს, ამას ვერ იზამს საქართველო. მაშინ ისედაც ღარიბი ქვეყანა მთლად გაღატაკდება. მაგრამ არც გაყიდვის დაყოვნება შეიძლება. ამან გამიჩინა აზრი, რომ დიდი პრივატიზაცია უფრო ადრე უნდა მოხდეს, ვიდრე მცირე ან, უკიდურეს შემთხვევაში, პარალელურად მაინც.

რატომ? ვეცდები დავასაბუთო.

ვისაც გლეხებთან უსაუბრია, უთუოდ დამეთანხმება, რომ გლეხობა ერთგვარად დააფრთხო მიწის პრივატიზაციამ. არა იმის გამო, რომ მათ არ სურთ მიწის კერძო მფლობელნი იყვნენ. არა, ისინი შეაშინა იმან, რომ არ იშოვნება არც თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო იარაღი, არც სასუქი, არც შხამ-ქიმიკატები, გლეხი დაეჭვდა: ვაითუ მიწას ვერ მოვუარო და უფრო წაგებული დავრჩეო. ვერ გაამტყუნებ. გლეხკაცი ანგარიშიანია და ფრთხილი. ხელისუფლებას კი უფულობის გამო, ჯერჯერობით არა აქვს საშუალება გლეხობა მოამარაგოს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისთვის აუცილებელი საჭურველით.

თუ დიდი პრივატიზაციის ობიექტებს თავისუფლად გავყიდით, უეჭველად ბევრი მყიდველი გამოუჩნდებოდა. სახელმწიფო ხაზინაში დიდძალი ფული შევიდოდა. ეს, ერთი მხრით, ხელისუფლებას მისცემდა საშუალებას მეტ-ნაკლებად მოეგვარებინა ბევრი მტკივნეული საკითხი, ხოლო, მეორე მხრივ, მოქალაქეებს არ გაუუქმდებათ ის ფული, რომელიც ოჯახებში აქვთ შენახული. თუ შენახული ფული ქვეყნის სასარგებლოდ არ დაიხარჯა, იგი სულ მოკლე ხანში მაკულატურად გადაიქცევა და პატრონებს მისი შპალიერად გამოყენება მოუწევს. აუცილებლობა მოითხოვს, და მალე საქართველოს საკუთარი ფული ექნება. ფულითაც რომ მოინდომოს, ხელისუფლება ახალ ქართულ ფულს, დიდი რაოდენობით, ვერ გადაცვლის შინ დაგროვილ ძველ საბჭოურ ფულში. ამგვარი გადაცვლა ახალ ქართულ ფულს გააუფასურებს, ბონად გადააქცევს. გადაცვლა მოხდება გარკვეული ოდენობით და ისიც იმ თანხისა, რომელიც ბანკებშია შეტანილი და შენახული.

ეს ერთი. მეორეც:

თუ დიდი პრივატიზაცია დაიგვიანებს, მცირე პრივატიზაცია სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს. დიდი პრივატიზაციის ობიექტები, როგორც კომუნისტური რეჟიმის დროს, ისე დღესაც, ვერ იქნება მომგებიანი. მოგეხსენებათ, მაშინ (კომუნისტური რეჟიმის დროს) დიდი სამრეწველო ობიექტების უმრავლესობა გეგმას ვერ ასრულებდა და ზარალით მუშაობდა. მათ დანაკარგს, რისი ვაი-ვაგლახით, ანაზღაურებდნენ იმ მოგებით, რომელსაც სოფლის მეურნეობა (ჩაი და ვენახი) იძლეოდა. თუ დიდი სამრეწველო ობიექტები, თუნდაც ერთხანს, ისევ სახელმწიფო საკუთრებად დარჩა, განმეორდება ძველი უთავბოლობა. ამას კი შეუძლია გამოიწვიოს ეკონომიკური კატასტროფა. ვერავითარი სოფლის მეურნეობა, ვერც კერძომესაკუთრული და ვერც საკოლმეურნეო, ვერ გაუძლებს დიდი სამრეწველო ობიექტების ზარალიან საქმიანობას. ზარალიან საქმიანობას ვიღა ჩივის, როცა დღეს ეს სამრეწველო ობიექტები არსებითად გაჩერებულია.

ამას წინათ გაზეთ „შანსში" (1992 წ. № 8) რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი გურამ ქაშაკაშვილი ჩიოდა: „შარშან 400 ათასი ტონის ნაცვლად 250 ათასი ტონა ჯართი მივიღეთ, წლეულს კი რაღაც 100 ათასი ტონა თუ შეგროვდება". ვისაც საქართველოს ჩაის პლანტაციებში, ვენახებში, ველ-მინდვრებში უვლია, დამეთანხმება, რომ ყველაფერი ჯართით არის გავსებულ-გადატენილი. რას არ ნახავთ — მიტოვებულ ტრაქტორებს, მსუბუქი თუ სატვირთო ავტომანქანების ძარებს, კაბინებს, ფერსოებს, დანგრეულ ნაგებობათა რკინის კონსტრუქციებს, სხვადასხვა ზომის მილებს... ერთი სიტყვით, მთელი საქართველო ჯართად არის ქცეული. ოღონდ არ არის კაცი, რომელიც ამას შეაგროვებს და სადაც ჯერ არის, იქ მიიტანს. ყველაფერი რომ შეგროვდეს, რაც ჩვენს ვენახებში, ხეხილის ბაღებში, ჩაის პლანტაციებში, ველ-მინდვრებში ყრია, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, თუ მეტი არა, ერთი ათეული წლით მაინც იქნება უზრუნველყოფილი ჯართით. ალაზნის ველიდან რომ მოვყვეთ და შავი ზღვის პირამდე ვიაროთ, ამ ჯართის შეგროვებას სულ ცოტა ორი წელიწადი მაინც დასჭირდება. ესეც იმ შემთხვევაში, შემგროვებელთა საგანგებო რაზმი თუ იმუშავებს და იქნება ფულიც და ტრანსპორტიც.

რამდენი განკარგულებაც უნდა გასცეს ხელისუფლებამ, ამ საქმეს მაინც არავინ გააკეთებს. გამკეთებელი არავინ არის და იმიტომ. საქმეც მაშინ გაკეთდება და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ბადალი სამრეწველო ობიექტებიც მომგებიანად მაშინ ამუშავდება, ისინი კერძო მფლობელის ხელში თუ აღმოჩნდება. სოციალიზმმა ნათლად დაამტკიცა, რომ სახელმწიფოს, როგორც მესაკუთრეს, ეკონომიკის მართვა არ შეუძლია. კაპიტალიზმმა კი დაგვარწმუნა, რომ პიროვნებას, როგორ[illegible] მესაკუთრეს, დიდი წარმატ[illegible] ეკონომიკის მართვა. ამიტომ დიდი პრივატიზაციის დაყოვნება მომაკვდინებელია. უნდა ვიმოქმედოთ სწრაფად. რა თქმა უნდა, იმას არ ვამბობ, რომ ჩვენი მოქმედება ჰგავდეს თავრეტდასხმული კაცის საქციელს, მაგრამ ჩინებულად გაწვრთნილი სპორტსმენის სისწრაფე და სიზუსტე კი აუცილებლად გვჭირდება.

ადამიანის ბუნებაც გასათვალისწინებელი გახლავთ. დიდი სამრეწველო ობიექტების (ამათ ყოფილ საბჭოთა მეურნეობებსაც მივათვლი) ხელმძღვანელებმაც და თანამშრომლებმაც კარგად იციან, რომ, ადრე იქნება თუ გვიან, ამ ქარხნების, ფაბრიკების, მეურნეობების პრივატიზაცია მოხდება. ამიტომ მათ აღარავინ უვლის, აღარავინ პატრონობს (ცალკეული გამონაკლისი ვითარებას არ ცვლის). პირიქით: მიმდინარეობს ამ ობიექტების ძარცვა-გლეჯა, გაჩანაგება. ის, რაც ყველასია, არავისი არ არის, და ვინც, რასაც მოასწრებს, ის მიაქვს შინ. ხანამ ისინი საბოლოოდ არ გაპარტახებულა, ჩავაბაროთ პატრონს, ანუ გავყიდოთ.

ვინ იყიდის?

იქნებ თავად ქარხნის კოლექტივმა იყიდოს, იქნებ საგანგებოდ შექმნილმა კომპანიამ. არც იმის უნდა შეგვეშინდეს, რომ უცხოელმა კაპიტალისტმა შეიძინოს. ბათუმში, ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის საქმიანობის მომგებიანად წასამართავად როტშილდი ნიკო ნიკოლაძემ მოიწვია. ამით საქართველოს არაფერი წაუგია. ერთხანს ჭიათურის მანგანუმს ჰარიმანი ფლობდა. ამ კაცს არაფერი გაუფუჭებია იქ. პირიქით, ბევრი კარგი გააკეთა. უცხოეთშიც მიმართავენ ამგვარი გაყიდვის პრაქტიკას. აზიის ოთხი ეკონომიკური ვეფხვი — სამხრეთ კორეა, ტაივანი, სინგაპური, ჰონკონგი — ამ გზით გახდა მდიდარი და [illegible]. კონტინენტური მილიარდიანი ჩინეთი შიმშილით რომ სულს ლაფავდა, მისი პაწია ნაწილი ტაივანი დოვლათში იხრჩობოდა. ტაივანელები მარტივად მოიქცნენ: რისი მოვლა-პატრონობაც არ შეეძლოთ, უცხოელებს მიჰყიდეს. უცხოელებმა (კერძოდ, იაპონელებმა) თავადაც ისარგებლეს და ტაივანელებსაც უშველეს. ამ გზას ადგას დღეს ტაილანდიც, მალაიზიაც, ინდონეზიაც. 1990 წელს ტაილანდში იაპონელები, თურმე, ყოველ ორდღე-ნახევარში ერთ ფაბრიკას ხსნიდნენ („ზა რუბეჟომ", 1992 წ., № 7). ამ ოპერაციას „შტორმი" ეწოდებოდა. ამ საქმიანობით ტაილანდი დიდად მოგებული დარჩა. სადაც არის იმ ოთხ ეკონომიკურ ვეფხვს დაეწევა და გვერდით ამოუდგება. საქართველოსაც იმგვარი შტორმი სჭირდება.

თუ ხალხმრავალ და დიდ ინდონეზიას არ ეთაკილება სხვისი დახმარება, ჩვენ რატომ უნდა გვერცხვინებოდეს? ნუ გავდებთ კუდს ყავარზე დავით კლდიაშვილის პერსონაჟებივით. ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ, „როდესაც ქვეყანაში დამკვიდრებულია კერძო საკუთრების ინსტიტუტი, თანამედროვე გაგებით, და როდესაც უკვე საზოგადოება დინამიკური ცხოვრებით ცხოვრობს, მაშინ ყველაფერი მობილურია. მაშინ იმოქმედებს მხოლოდ და მხოლოდ ერთი კანონი. ეს არის ეკონომიკური აქტიურობის კანონი. ჩვენმა წარსულმა გვიჩვენა XX საუკუნის 10-იან წლებში, როდესაც ქართველი გლეხის სამეურნეო აქტიურობა გაღვიძებულ იქნა, მან შეავიწროვა არა მარტო კავკასიელი თუ მეზობელი არაქართველი ეროვნების წარმომადგენელნი, არამედ გერმანელებიც კი" (მიხ. ნანეიშვილი. გაზ. „ფავორიტი", 1992, 2. IV). ამდენად, უცხო საშიში არ არის.

მაგრამ ეს მომავალში იქნება. დღეს კი გვჭირს, კატასტროფულად გვჭირს. ხალხი თვეობით ვერ იღებს ხელფასებს, პენსიებსაც კი. ელვის სისწრაფით ძვირდება ყველაფერი. არავინ უწყის, როდის შეჩერდება ეს ზრდა. ჯამაგირების მატება კი ტაატით მიმდინარეობს. თუმცა ვერც ერთი ხელისუფლება ვერ მისცემს მოქალაქეს, დღევანდელ ეკონომიკურ ვითარებაში, იმ ხელფასს, რომელიც შეუჩერებლივ მზარდ ფასებს გაწვდება. ხშირად გაიგონებთ ჩივილს — რუსეთში ცხრაასი მანეთი გახდა საშუალო ხელფასი, ჩვენ კი ხუთას მანეთს გვპირდებიანო. მართალია, ცხრაასი ხუთასს სჯობს, მაგრამ ახლანდელ ფასებთან შედარებით ისიც გროშია. ჩვენი უბედურება ისიც არის, რომ რუსეთს საკუთარი ზარაფხანა აქვს, ჩვენ კი — არა, ბეჭდავს და ბეჭდავს ქაღალდის ფულს და ნაცარივით აყრის თვალში რუსეთის მოქალაქეებს. ჩვენ ეს ნაცარიც არ გაგვაჩნია. ქართული ფული უცხოეთში უნდა დაიბეჭდოს და ამაშიც მამასისხლს ითხოვენ.

ყველაფერს ფული უნდა, ფულის დაბეჭდვასაც კი.

შეიძლება პროფესიით ეკონომისტს და ფინანსისტს ჩემი მსჯელობა სასაცილოდაც მოეჩვენოს. მაგრამ ის ხომ ყველასთვის ცხადია, რომ სპეციალისტთა მკაფიო პასუხი სჭირდება კითხვას — რა გზით დავაღწიოთ თავი მძიმე ეკონომიკურ კრიზისს, რა ვადაა ამისთვის საჭირო, რამდენი ფული გვჭირდება და როგორ ვიშოვნოთ იგი?

ეკონომიკური რეფორმის გამარჯვებაზეა დამოკიდებული საქართველოს ბედი. თუ ეკონომიკური რეფორმა დამარცხდა, საქართველო განწირულია. ეს ყოველმა მოქალაქემ ღრმად უნდა გაიცნობიეროს, თორემ ქართველმა, შიმშილის შიშით, შეიძლება ეროვნული თავისუფლების იდეაც კი შეიძულოს. ეს კი სრული კრახი იქნება.

როცა ამ ორი-სამი წლის წინათ ვიხვეწებოდი, პოლიტიკური ციებ-ცხელება ცოტათი დავიცხროთ, ეკონომიკის პრობლემებზე ვიფიქროთ, მისთვის ვიზრუნოთ, მას მივხედოთ, რომ დამოუკიდებლობას, ეკონომიკური თვალსაზრისით, მოუმზადებელი არ შევხვდეთ-მეთქი, კარგად მახსოვს ირონიული სახეები და პათეთიკური შეძახილები — ოღონდ დამოუკიდებლობა მოვიპოვოთ და ბალახს შევჭამთო.

დღეს კი არავის სურს ბალახის ჭამა.

რუსთაველის პრემიის მოსაპოვებლად



ერთი ნაბიჯით წინ



ვაჟა ბრეგაძე

ჩვენს ხელთაა წიგნი, პიესების კრებული, თამაზ ჭილაძის „ჩიტები ბაზარში", ხოლო ჩვენს მეხსიერებაში ნათლად შემორჩა გაუხუნებელი შთაბეჭდილებანი ამ პიესების მიხედვით განხორციელებული სპექტაკლებისა, რომლებიც ბოლო სამი წლის მანძილზე დიდი წარმატებით დაიდგა საქართველოს თეატრებში. ერთ მათგანს, „ნახვის დღეს", გამორჩეული ბედი ხვდა წილად: მისი პრემიერა თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის თეატრმა გერმანიაში, ქალაქ ბიბერახში უჩვენა მაყურებელს და მოხიბლა იგი. აქვე უნდა ითქვას, რომ რუსთაველის თეატრის საგასტროლო ტურნეებში თამაზ ჭილაძის „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის" ამშვენებდა ამ სახელოვანი კოლექტივის შემოქმედებითს მიღწევებს.

თითქმის 30 წელია, რაც თამაზ ჭილაძე ქართული დრამატურგიის სამსახურში ჩადგა. ამ რთული გზის დასაწყისში მას შეხვდა დიდი ქართველი მსახიობი სერგო ზაქარიაძე, საოცრად მონდომებული, რომ ახალგაზრდა მწერალს, თავისებური, მეტად საინტერესო ხედვის მქონე პოეტსა და პროზაიკოსს დრამატურგიაშიც შემოეტანა ახალი დროის სუნთქვა და ინდივიდუალური ხედვა. შეუცდომელი აღმოჩნდა მისი არჩევანი. 70-იან წლებში რუსთაველის თეატრმა განახორციელა თ. ჭილაძის პიესა „სურათები საოჯახო ალბომიდან". დღეს ბევრი განსაკუთრებული სიამაყით იგონებს წარსულში არსებულ შეზღუდვებს, დევნას, შევიწროებას, ხოლო რაც ამ სპექტაკლის დადგმას ახლდა, რატომღაც ჯერჯერობით არავის არ გახსენებია, არადა მოწმენდილ ცაზე ჭექა-ქუხილის მსგავსი იყო ამ ნაწარმოების გამოტანა სცენაზე, დაუფარავი სიმართლის გამო. თითქოსდა უპრობლემო სამყაროში, სადაც კონფლიქტი რესტორანში მოტყუებული მომხმარებლის დონეზე იყო დასული, უეცრად პატრიარქალური სიმტკიცის ოჯახის რღვევის, ზნეობრივი მრწამსის გადასინჯვის პროცესი, ახალგაზრდობის ცხოვრებისადმი დამოკიდებულების ნიჰილისტური მოტივები, ურბანისტულ წიაღში მიუსაფარი სიმარტოვის შეგრძნება და პირველად ნარკობიზნესის საწყისების არსებობის გამომზეურება. ყოველივე ეს ერთად, ტრაგიკულ კოლიზიებში გატარებული, საოცრად მძიმე, გამაფრთხილებელი საშიშროების მომცველი გახლდათ. რუსთავის თეატრის სცენაზე სიმართლით [illegible] თეატრი და პიესის ავტორი ხელყოფისაგან, რაც იმხანად მეთოდურად მზადდებოდა. გავა რამდენიმე ხანი და აკაკი ვასაძე ამ პიესაში პროფესორ გიორგი სიხარულიძის როლის შესრულებისათვის, სხვა ნამუშევრებთან ერთად, მიიღებს ქართველი ერისთვის უპირველეს ჯილდოს — რუსთაველის სახელობის პრემიას.

ჰენრი ბიოლი ამბობდა — მწერლობა ცხოვრებას ერთი ნაბიჯით წინ უნდა უსწრებდესო. ეს სავსებით ესადაგება თამაზ ჭილაძის დრამატურგიას, რომელშიც, როგორც რობერტ სტურუა ამბობს, ბევრი რამ არის წინასწარმეტყველური და პერსპექტივაში დანახული, უკანასკნელმა ოცწლეულმა მრავალი სიახლის წინაშე დაგვაყენა პირისპირ. ბევრისთვის ეს მოულოდნელი იყო, ზოგისთვის კი თითქმის კატასტროფა. ამ პროცესებს სასოწარკვეთილებაც თან დაჰყვა საგზლად. თამაზ ჭილაძის დრამატურგიაში თანადროულობის რიტმი და ცვლილებები სინქრონულად აისახა მხოლოდ ერთი განსხვავებით — ჰორიზონტს იქით დანახული კონტურების ჩვენებით. ცხოვრება მის პიესებში მრავალი შენაკადით შემოდის. აქ ყველას ვხვდებით, ვისაც კი არსებული მსოფლმხედველობის ზეგავლენა განუცდია ან დაპირისპირებია მას, ან თან გაჰყოლია, ან ზურგი შეუქცევია მისთვის. აქ არის მთელი სპექტრი ჩვენი ცხოვრებისა — ზნეობრივი ცდომილების დარდით შეპყრობილნი, მაძიებელნი დაკარგული სიწმინდისა, მიწის სიყვარულით გულანთებულნი და მათთან ერთად, გზადაკარგული შვილები, რომელთაც ხვალინდელი დღე ვერ შეუგრძვნიათ.

თამაზ ჭილაძის პიესებში არის ერთი ურყევი პლასტი, რომელიც სალბუნივით ამებს ჭრილობას — ეს არის სიკეთისადმი სწრაფვა, ადამიანური კეთილშობილების ჩუმი ზეიმი. ყოველივე ეს მოტანილია ხმამაღალი დეკლარაციის გარეშე, გმირთა ცხოვრების სრულქმნილი ჩვენებით, რომელშიც წარსული, აწმყო და მომავალი მკითხველსა თუ მაყურებელში აღიქმება თანაშემოქმედების ზიარ პროცესში. აქ გვხვდებიან პერსონაჟები, რომლებიც თავს განერიდნენ და, სამყაროს უსასრულო კოსმიურ სივრცეში გაფანტულნი, [illegible] ბედისწერო ჯებირივით აღიმართება მათს წინაშე.

დღეს, როცა მსოფლიო დრამატურგიის სიახლენი ღია კარით შემოდის ჩვენში, მოულოდნელობისაგან ვართ „დაზღვეულნი", რადგან ქართული კლასიკური დრამატურგიის უთუო მემკვიდრის თამაზ ჭილაძის პიესებში ზომიერად აისახა ის, რაც გაცხადებულია თანამედროვე ეტაპზე, ძალდაუტანებელი და ორგანული აღქმით, შესაბამისად ჩვენს სულიერებაში მომხდარი ძვრებისა.

ამ შემთხვევაში ზედმეტად მიგვაჩნია, რომ გამოჩენილ პროზაიკოსს, პოეტს, სწორუპოვარ ესეისტს ლიტერატურული ღირსებები ვუქოთ, მაგრამ მაინც უნდა ვთქვათ, რომ მისი დრამატული თხზულებანი, რომლებიც გასაგები მიზეზებისა გამო თავის დროზე აცდნენ ყბადაღებულ საწარმოო თემას, გამოირჩევიან სიტყვის სიხალასით, არტისტიზმით, მუსიკალურობით და რაც მთავარია, ამ სიკეთეს ახლავს პარადოქსი, ის რაც თითქოს ყველასათვის ჩანს, მაგრამ ავტორის ოსტატობით ახალი წახნაგით, მოულოდნელობის ეფექტით შემობრუნდება ჩვენსკენ.

მოძველებულ ლიტერატურულ ქრესტომათიებს თუ დავესესხებით, ცალკე თემებად შეიძლება პიესებიდან ამოვიდეს ქალთა სახეები, რაც დიდი ხელოვნებით, განსაკუთრებული ხედვით და თანაგრძნობის სიფაქიზითაა გამსჭვალული: ინტელიგენტის სახე, მისი სიკეთითა და სისუსტით შეზავებული; ახალგაზრდობა — დაუდგრომელი და ზოგიც გზას აცდენილი; მოხუცები — მძიმე წარსულითა და სიცოცხლის სიყვარულით აღსავსენი; მათს შორის კი გამორჩეული სახე — უთავო პატარა ბენიტო (დავუკვირდეთ სახელს), რომელიც საკუთარ დაკარგულ თავს ეძებს. ვისთან მივიდოდა ბენიტო, ვის დაუდგებოდა გვერდით? ეს მწერალმა მომავალს მიანდო.

თამაზ ჭილაძის დრამატურგია ცნობილმა ქართველმა თეატრმცოდნემ ნოდარ გურაბანიძემ ჭილაძისეული თეატრის ფენომენად აღიარა. ჩვენი აზრით, ეს დროული და ზუსტი შეფასებაა, რასაც ამტკიცებს პიესების ეს ახალი კრებული და ის სპექტაკლები, რომელთაგან მიღებული შთაბეჭდილებაც გაუნელებლად თან გვახლავს.

რეპორტაჟი

შვილებს ნუ დავუტოვებთ ამ სატკივარს!

იმედის ნაპერწკალი ღვივდება

ერედვი და ფრისი, ერგნეთი და ნიქოზი, აჩაბეთი და თამარაშენი — ეს ქართული სოფლებია, რომლებმაც უცებ დაგვავიწყეს ჩვენი ყოველდღიური დარდი და სატკივარი — ეკონომიკური კრიზისი, სიძვირე, დეფიციტი და გახდნენ ჩვენი გულის და სულის წუხილი.

დღეს გორი ფრონტისპირა ქალაქს მოგაგონებთ. ჩამოდიან გვარდიის ნაწილები, მილიციის რაზმები, რომლებიც მაშინვე ცხინვალთან ახლომდებარე სოფლებში მიემართებიან, რათა მოსახლეობა თავდასხმებისგან დაიცვან. ჩამოდიან ქართველი და უცხოელი ჟურნალისტები, ფოტოკორესპონდენტები, რათა ასახონ აქ მომხდარი ამბები. კორპუნქტი ჩვენც გავხსენით, ყოფილ აგროსამრეწველო სამმართველოს შენობაში, სადაც საბოლოოდ მომზადდა ეს რეპორტაჟი.

...ქალაქ გორის გამგებელი ვალიკო დოლიაშვილი მანქანიდან გადმოვიდა. გვარდიის ფორმით, უძინარი თვალებით, წვერმოშვებული, უცებ ვერც შევიცანით.

— ცხინვალიდან მოვდივარ. ბატონი რობინზონ თუშურაშვილი შტაბში შეივლის და შემოგვიერთდება. ოს წარმომადგენლებთან მოლაპარაკება გვქონდა. ბევრი კონკრეტული საკითხი განვიხილეთ. პოლკოვნიკი ვლადიმერ კოჩიევი და სხვა პირები გაგებით მოეკიდნენ ყველა საკითხს. შეგვპირდნენ, რომ ცეცხლსაც შეწყვეტენ და წყალსაც გამოუშვებენ.

— როგორ, წყალიც არა გვაქვს? — გავიკვირვეთ ჩვენ.

— აქ ლაპარაკია სარწყავ წყალზე. არხი ცხინვალიდან მოდის. გაჩვენებთ ჩვენს ბაღებს. ავ თვალს არ დაენახვება, მაგრამ ახლა მორწყვა სჭირდება.

თითქოს არაფერია, მაგრამ დოლიაშვილის საზრუნავმა ძალიან გაგვახარა. რახან მორწყვაზე მიდგა საქმე, მაშასადამე, დღეს თუ არა ხვალ სანატრელი მშვიდობა დადგება ცხინვალის რეგიონში. ჩემი აზრი რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ, სახელმწიფო საბჭოს საგანგებო რწმუნებულმა ცხინვალის რეგიონში რობინზონ თუშურაშვილმა განამტკიცა, რომელიც საუბარზე შემოგვიერთდა.

— მხოლოდ ორი დღეა მას აქეთ, რაც აქ იმყოფებოდა ბატონი ედუარდ შევარდნაძე და ვითარება უკვე მკვეთრად შეიცვალა. კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას კარგი პირი უჩანს. დღესვე კავშირგაბმულობის მუშაკები შეხვდებიან ორივე მხრიდან. პირდაპირი კავშირი გვჭირდება, უნდა დავიწყოთ კონსტრუქციული დიალოგი, მკაცრად აღვკვეთოთ ყოველნაირი თვითნებური მოქმედება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გაუმართლებელი მსხვერპლი. ეს სატკივარი ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ მშვიდობიანი გზით. ჩვენს შვილებს არ უნდა დავუტოვოთ ეს პრობლემა.

მეღვრეკისი

გია ყარყარაშვილი, ეროვნული გვარდიის სარდალი, რუკასთან იჯდა. პოლკოვნიკ პაატა დათუაშვილთან ერთად ერგნეთის დაცვაზე საუბრობდნენ:

— კიდევ არის მოსალოდნელი თავდასხმა? — ვეკითხე.

— სირთულე ისაა, რომ ოს წარმომადგენლებს კი უნდათ მშვიდობა, — თქვა გია ყარყარაშვილმა, — მაგრამ ეს ბანდიტური ჯგუფები მათ არ ემორჩილებიან. სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ის მხარე სიტუაციას ვერ ფლობს.

ოთახში ავტომატიანი ბიჭი შემოვიდა.

— რამდენი წლის ხარ? რა გვარი ხარ და საიდან, — ვეკითხები.

— თბილისელი ვარ, 18 წლის, გიორგი ახობაძე, — მიპასუხა. ამ დროს სოფელ ერგნეთის ბოლოს გაისმა სროლის ხმა. ბიჭები წამოცვივდნენ.

— სიძულვილი და შურისძიება არ გამხდარა ამ ახალგაზრდების მეგზური, — შევჩივლე ბატონ გიას.

— გვარდიას მხოლოდ ერთი ამოცანა აქვს, დაიცვას მოსახლეობა. ჩვენ არავის არ ვებრძვით. რაც შეეხება სიძულვილს, ეს ქართველი კაცის ბუნებაში არ არის. აი გიორგი ახობაძის ყველაზე ახლო მეგობარი — ოსი ახალგაზრდაა, რომელიც თბილისში დატოვა. ჩვენ ვიქნებით, სანამ მშვიდობა არ დამყარდება. ახლა კი ადით ერედვში, გაესაუბრეთ მოსახლეობას. ისინი იტყვიან სიმართლეს.

სოფელ დიცის გადასახვევს შევუდექით. საღამოვდებოდა. ხალხი სამუშაოდან ბრუნდებოდა, მაგრამ სახლში არავინ შედიოდა. წყაროსთან გროვდებოდნენ ამბის გასაგებად.

ერედვის წყაროსთან

ჯერ ერედვის წყაროსთან მისულები არ ვიყავით, რომ სროლის ხმა შემოგვესმა. ხალხი სოფლის ბოლოსკენ გარბოდა. ჩვენც იქით გავეშურეთ. საათს დავხედე. 19 საათი იყო. სოფელ ფრისის დასაწყისთან გავჩერდით. აქ, ამ სოფლებს შორის დატრიალდა ის საშინელი ტრაგედია, რის შესახებაც პრესაშიც დაიწერა და რამაც ასე შესძრა ყველა ჩვენგანის გული.

— მოსახვევის იქით ვეღარ წახვალთ, — ამბობს 57 წლის ვაჟა სოიტაშვილი, — სამი შვილის და ორი შვილიშვილის პატრონი ვარ, იჯარით მაქვს აღებული 22 ჰექტარი მიწა, აქ რა მინდა ავტომატით? დარწმუნებული ვარ, რომ ოსი მოიჯარეც ასე მსჯელობს, მაგრამ ის კი არ მებრძვის. ეს „ბოევიკები" არიან, ბანდიტები, რომლებიც უსათუოდ უნდა ალაგმონ.

სროლა გაძლიერდა. კაკო ცინიაშვილი, თამარაშენის მილიციის უფროსის მოადგილე, ავტომატით ხელში გვეუბნება:

— დილიდან თითო-ოროლას თუ ისროდნენ. საღამოს კი, ამოეფარნენ ფერდობს და იქიდან გვიშენენ ცეცხლს. ახლა ერედველები ამოვლენ...

და მართლაც სოფლელები უმალ გაჩნდნენ მასთან.

— ჩემი ქმარი — გვარდიელია, — ამბობს მაყვალა არჩვაძე, — მასთანაა ჩვენი შვილი მალხაზი — სტუდენტი, რომელიც ახლა აქ არის თავის სოფლის დასაცავად. მე თვითონ ცხინვალელი ვარ. ჩემი მშობლები, ჩემი სამი ძმა იქიდან გამოაძევეს. მაგრამ მე მაინც ვიტყვი, როგორც სახიდან ცხვირი არ მოიჭრება, ისე ჩვენი დაცილება არ იქნება. ოსებთან გასაყოფი არაფერი არ უნდა გვქონდეს, ჩვენ ერთად უნდა ვიცხოვროთ. ეს ოსები კი არ გვესვრიან, ეს ბანდიტები არიან. ესენი უნდა დაიჭირონ და გაასამართლონ. ჩვენ კი წინ დიდი გზა გვაქვს გასავლელი ოს ხალხთან ერთად.

იმედის ნაპერწკალი ღვივდება.

გალინა ჩიქოვანი.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

მსოფლიოს საინფორმაციო სააგენტოები გვატყობინებენ

აიკრძალა ყოველივე კომუნისტური

ავღანეთის დროებითმა საბჭომ კომუნისტური პარტია აკრძალა და მისი ქონების კონფისკაციის ბრძანება გამოსცა.

გარდა ამისა, გადაწყდა ყველა ბიბლიოთეკიდან ამოიღონ ანტირელიგიური ლიტერატურა. კომუნისტური გავლენით დაწერილი ყველა წიგნი და ტექსტი კონფისკებული და განადგურებული იქნება.

კვლავ მწვავე ვითარება

რთული ვითარებაა ყოფილი იუგოსლავიის ერთ-ერთ რესპუბლიკაში ბოსნია-ჰერცეგოვინაში. აქ სერბები და ყოფილი იუგოსლავიის სახალხო არმია, ხორვატებთან და მუსლიმანებთან არიან დაპირისპირებულები. უკანასკნელ დღეებში ჯარში წმინდა მოეწყო. თანამდებობიდან გაათავისუფლეს მარქსისტულ-ტიტოხეული ორიენტაციის გენერალი ბლაგოე აჯიჩი და კიდევ 40 მისი თანამშრომელი.

საუკეთესო მეცნიერები საზღვარგარეთ მიიწევენ

მოსკოველ მეცნიერთა 46 პროცენტს სამუდამო საცხოვრებლად საზღვარგარეთ წასვლა შეუძლებლად მიაჩნია, 88 პროცენტს — ნაკლებად სავარაუდოდ და მხოლოდ 10 პროცენტს სურს ემიგრაცია.

ასეთია მოსკოვის საუკეთესო სამეცნიერო (მათ შორის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის) ინსტიტუტებში სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემები, რომელიც რუსეთის „ტვინის გადინების“ პრობლემების ეროვნულმა კომიტეტმა მოაწყო. წასვლას სწორედ საუკეთესო მეცნიერები აპირებენ და ემიგრაციის ნაკადის დაწრეტა პრაქტიკულად შეუძლებელია, ამბობს „გორბაჩოვის ფონდის“ ექსპერტი მარკ ურნოვი.

ლიგაჩოვი თავის წიგნს აქვეყნებს

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ყოფილმა წევრმა და მდივანმა ეგორ ლიგაჩოვმა თავისი მოგონებათა წიგნის „გორბაჩოვის საიდუმლო“ ნაწყვეტების გამოქვეყნების უფლება მისცა ყოველკვირეულ „კომერჩესკი ვესტნიკს“, რომელიც ტაშკენტში გამოდის.

8 მაისს „კომერჩესკი ვესტნიკა“ დაიწყო ამ წიგნის თავის „გდლიანი და სხვები“ გამოქვეყნება, რომელიც მნიშვნელოვანწილად მოიცავს უზბეკეთის ამბებს.

თურქეთი შეშფოთებულია

თურქეთი გარეშე მეთვალყურედ ვერ დარჩება თუ სომხური ფორმირებანი განაგრძობენ საბრძოლო მოქმედებას ნახიჩევნის წინააღმდეგ. ეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან ჯორჯ ბუშთან ტელეფონით საუბრისას განაცხადა თურქეთის პრემიერ-მინისტრმა სულეიმან დემირელმა. დემირელმა ისიც დასძინა, რომ ყარსის 1921 წლის შეთანხმების შესაბამისად, თურქეთი ინარჩუნებს უფლებას ჩაერიოს, თუ „მესამე სახელმწიფო ინტერვენციას მიმართავს ნახიჩევნის წინააღმდეგ“.

ასტრონავტებს არ გაუმართლა

ამერიკის მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსური ხომალდის „ინდევორის“ ეკიპაჟმა ვერ გადაარჩინა საერთაშორისო ორგანიზაციის „ინტელსატის“ კავშირგაბმულობის თანამგზავრი.

ორი ასტრონავტი პიერ ტიუოტი და რიჩარდ ჰაიბი ღია კოსმოსში გავიდნენ და სცადეს სპეციალური მოწყობილობით დაეჭირათ თანამგზავრი, მაგრამ ცდები ამაო აღმოჩნდა. „ინდევორის“ გაფრენის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო გადაეყვანა თანამგზავრი „ინტელსატი“ უფრო მაღალ ორბიტაზე, სადაც შეძლებდა ფუნქციონირებას.

ძვლის ტვინის გადანერგვის პირველი ოპერაცია

ძვლის ტვინის გადანერგვის პირველი ოპერაცია გააკეთეს მინსკის საოლქო კლინიკური საავადმყოფოს სპეციალისტებმა.

ჰემატოლოგიური განყოფილების გამგის ვლადიმერ სავოსტიანოვის და მინსკის სამედიცინო ინსტიტუტის ქირურგიის კათედრის დოცენტის ვლადიმერ ბოლშოვის პაციენტი გახდა ოცდაორი წლის ექთანი, რომელსაც აპლასტიკური ანემია სჭირდა. მას ღვიძლი დის ძვლის ტვინი გადაუნერგეს.

მედიკოსებს საჭირო ბაზა არ ჰქონდათ, მაგრამ ოპერაცია მაინც გაბედეს, რადგან ეს ქალიშვილისათვის დახმარების აღმოჩენის ერთადერთი საშუალება იყო.

აზერბაიჯანმა ფრონტზე დასვრეტა შემოიღო

აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა გამოაცხადა ეროვნული მოგერიების ძალების სარდლობის გადაწყვეტილება, რომ სამხედრო წესდებათა ყველა დამრღვევი საბრძოლო მოქმედების პირობებში ადგილზევე დაიხვრიტება.

გეიტსს ინფორმაცია არა აქვს

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორმა გეიტსმა კონგრესში განაცხადა, რომ იგი ვერ დაადასტურებს ირანის მიერ ყაზახეთში ბირთვული ქობინების შეძენის აქტს.

დიდი ხნის დავა მოგვარდა

რომში ორმხრივ მოლაპარაკებაზე მიღწეულია შეთანხმება, რომ დიდი ბრიტანეთი ალბანეთს დაუბრუნებს მის ოქროს მარაგს, რომელიც ნაცისტებმა გაიტანეს ქვეყნიდან მეორე მსოფლიო ომის წლებში.

ალბანეთს დაუბრუნდება 1574 კილოგრამი ოქრო, რომლის ღირებულება 17 მილიონ დოლარს შეადგენს. ორ მილიონს ალბანეთი ინგლისს გადაუხდის კომპენსაციად იმ ორი სამხედრო ხომალდისათვის, რომლებიც ნაღმებზე აფეთქდნენ ალბანეთის სანაპიროსთან 1946 წელს.

ვილი ბრანდტი კლინიკაში დააწვინეს

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ყოფილი კანცლერი ვილი ბრანდტი კიოლნის კლინიკაში დააწვინეს.

როგორც ექიმებმა თქვეს, მას სერიოზული არაფერი სჭირს, მაგრამ რამდენიმე დღის განმავლობაში 78 წლის ბრანდტი გამოკვლევაზე უნდა იწვეს. ვილი ბრანდტს ეკავა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერის პოსტი 1969-დან 1974 წლამდე. 1974 წელს მას მიენიჭა ნობელის მშვიდობის პრემია.

გიწვევთ!

საოცარი ფირმა

ნებისმიერ კლიენტს, რომელიც „ნაციონალ-ექსპრესის“ ფირმაში შევა ბარნოვის ქუჩაზე № 120 სახლში, სუნთქვა შეეკვრება... გააოცებს პლაკატები, ბუკლეტები, ტურისტული რუკები, ის მომხიბლავი პერსპექტივები, რომლებიც მათ წინაშე გადაიშლება.

თქვენ დიდი ხანია არ ყოფილხართ პარიზში? ან საერთოდ არ გიმოგზაურიათ საფრანგეთში? არავითარი პრობლემა არ გექნებათ! გადაიხადეთ 860 პლუს 15 ათასი (საქმე რა თქმა უნდა, ეხება დოლარებსა და მანეთებს) და შეგიძლიათ თითქმის მთელი კვირა დაჰყოთ პარიზში, მალტაში, იტალიაში, სინგაპურში, ინდოეთში, სკანდინავიის ქვეყნებში.

ბარსელონის მსოფლიო ოლიმპიადაზე გსურთ წასვლა? სულ სამი კვირა, მაგრამ სამაგიეროდ მთელი მოგზაურობა მოგიწევთ ზღვით, კომფორტული ლაინერით, მყუდრო კაიუტაში. თუ ქომაგი ბრძანდებით, მაშინ 12 დღე უნდა გაატაროთ შვეციაში ევროპის ფეხბურთელთა ჩემპიონატზე, ან ერთი კვირა ინგლისში — თასის ფინალზე.

იქნებ საქმიანი კაცი ბრძანდებით და ფეხბურთი სულაც არ გაინტერესებთ? მაშინ გაემგზავრეთ ბიზნესტურში პოლონეთში, გერმანიასა და ჰოლანდიაში...

ფირმა „ნაციონალ-ექსპრესი“ მრავალპროფილიანი დაწესებულებაა და საინტერესო მოგზაურობათა მოწყობა მისი მხოლოდ ერთ-ერთი ფუნქცია. უახლოეს ხანში გაიხსნება საფირმო სასურსათო მაღაზია, ფირმა მიიღებს შეკვეთებს ვიდეო და ფოტომომსახურების, პოლიგრაფიული სამუშაოების რეკლამებზე.

სურათებზე: ფირმის თანამშრომელი ირინე დუმბაძე მოგზაურობის ადგილს შეგირჩევთ; სან-დიეგოს დაუვიწყარი ხედები.

ბონდო დვალიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა)

როგორც ამტკიცებენ

გაზეთი „ტრუდი“. საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ დატოვა ჩეჩნეთი. არავინ იცის, ამჟამად სად არის. ექსპრეზიდენტის ოჯახი მთავრობის აგარაკზეა ჩეჩნეთის რესპუბლიკის შატოევის რაიონში.

ამერიკის „ხმა“: ამერიკის „რენდ კორპორეიშენის“ ტვინის ცენტრის ეკონომიკური კვლევის განყოფილების გამგეს ჩ. ულფს მიაჩნია, რომ თუ რუსეთში დამყარდა ფულ-გადასახადის დისციპლინა, მაშინ მანეთის კონვერტირება სასტაბილიზაციო ფონდის, ანუ 6 მილიარდის გარეშე ახალ ვალებს მიაღწევს. წინააღმდეგ შემთხვევაში მას ვერას უშველის 20 მილიარდი დოლარის ფონდი, ვინაიდან ყველა შეეცდება მანეთი მყარ ვალუტაზე გადაცვალოს. „მე ვფიქრობ, მანეთის სტაბილიზაციისათვის მყარი ვალუტის გამოყენება დიდი შეცდომაა“.

„გერმანული ტალღა“: ტოკიოში ძლიერდება შიში, ხელიდან არ გაუშვან კურილის კუნძულების უკან დაბრუნების ისტორიული შანსი, და ამიტომ აღნიშნულ საკითხში ისტორიული შემობრუნება უნდა მოხდეს. თუ ტოკიოს ვარაუდი გამართლდა, მაშინ მოსკოვთან დამყარებული ინტენსიური დიპლომატიური კონტაქტები და შვიდი წამყვანი ინდუსტრიული სახელმწიფოს გადამწყვეტი სიტყვა მიუნხენის ივლისის უმაღლესი დონის შეხვედრაზე აიძულებენ ორჭოფულ მდგომარეობაში მყოფ ელცინს მიიღოს კონკრეტული გადაწყვეტილება.

„კანადის საერთაშორისო რადიო“, თურქეთი ახორციელებს „ევროვიზიის“ სატელევიზიო მაუწყებლობის პროექტს. აუდიტორიის მრავალრიცხოვნების მიხედვით, ეს იქნება მსოფლიოში მეორე ტელეარხი სი-ენ-ენის შემდეგ. მის პროგრამებს მიიღებს ყოფილი სსრ კავშირის ტერიტორიაზე 300 მილიონამდე ტელემაყურებელი. მაუწყებლობა მაისის შუა რიცხვებში უნდა დაიწყოს.

ახალი წიგნიდან

ხუტა ბერულავა



●

დედაო ქართვლის, ვით ყოველდღე,
გვედრი ამ დილით:
— ააშრიალე შვილთა შორის
შენი მანდილი,

რომ ნაღვლიან გულს არ კენწლავდეს
ხმალთა კამათი
და შეარიგო თვისტომები
აწ და მარადის!

ზარებს მწუხრისას აგუგუნებს
სვეტიცხოველი,
ცას შესჩუხჩუხებს ძმათა სისხლის
წვეთი ყოველი.

ცივა, ქარია, ყვავილები
ბაღში ჭკნებიან...
თუმცა სამშობლოს მტრის აროდეს
არ შინებია,

მუხლმოდრეკილი უხმობს თავის
ქომაგ წმინდანებს,
ქართლის ცხოვრების ოქროს წიგნში
რომ დაივანეს.

დედაო ქართვლის, შენს წინაშე
თრთის ისტორია,
რადგან გარშემო ზღვა ცრემლი და
სისხლის ტბორია.

როგორც ყოველდღე, მოკრძალებით
გვედრი ამ დილით:
— იხსენ სრულიად საქართველო
შენი მანდილით...

თეთრი ზღაპარი

გულს გისერავდა მამის გოდება
და გეყრებოდა ნისლი ბელტებად.
— არ გადაგიჭრას გზა ბოროტებამ! —
აი, რა იყო მისი ვედრება.

— მზეს ეძიებდე კაცთა გულებში,
არ დაგაღონოს ქარმა, თოვამა...
ასე უბრალო და ურთულესი
ანდერძი, ვით შვილს, დაგიტოვა მან.

გადარჩენილი სისხლიან წვიმებს,
ბინდიან ჟამთა მხნე ბინადარი,
ჩაებღაუჭე იდუმალ იმედს
და გაჩნდა შენი ლექსი-ზღაპარი.

იმ თეთრ ზღაპარში ჰპოვე შვება და,
როს გამოექეც ტყეს უკაცრიელს,
ოცნების კოშკში რაიც გებადა
ამ წუთისოფლის ხატად აქციე!

შენ ის კაცი ხარ, ვითარ დროება,
რომ დაეჯახა ქუში გულზედა,
ვინც საუკუნის მწირ სათნოებას
გამადიდებელ შუშით უმზერდა...

ამაოდ ფიქრობს, ვისაც ჰგონია,
შეკრთი წინარე მძვინვარე ძალის,
შენ გიტაცებდა ის ჰარმონია,
რასაც ვერ ამჩნევს მძინარე თვალი.

სიბრძნეს უდგამდი რითმებს ფესვებად
და ფანტაზიას ცამდე აფრენილს.
თვინიერ ზღაპრის, ვით მელექსემან,
რომ დაუტოვო სხვა ვერაფერი,

შთამომავლობას ემახსოვრება,
ამ წუთისოფელს ვინც გვიადვილებს,
რადგან უზღაპროდ ქვეყნად ცხოვრება
მოსაწყენია, ვით სინამდვილე!

ქუხილი ტყეში

იელვა, დაიქუხა და
ფაფარაყრილი თქეში
მიიჭრა დაღლილ მუხასთან,
მშვიდად რომ იდგა ტყეში.

ლეწა და ლეწა ხშირწვიმამ
ცადაზიდული რტონი,
ჩამოასხიპა პირწმინდად
მწვანე რაც ესხა, მგონი.

ღვარცოფთა მჭახე გრიალში
მიწა შეირხა რა წამს,
ტყის ბინადართა გნიასი
ხევში ჯანღივით ჩაწვა.

ქარს გაჰყვა ელვა და მეხი,
ვითარცა ღამის მწუხრი,
და მოკრძალებით დავემხე
წინაშე ბერი მუხის...

ეს ფიქრი...

მზემ თეთრ ღრუბლებში გასცურა
და ფიქრიც გაჰყვა თანა:
— აიმ კაცს, მითხარ კაცურად,
სალამს უძღვნიდი განა?

ეს ფიქრი, როგორც ბრალდება,
მოვიშორო და როგორ?
ჭირში გლახაკი მრავლდება,
ვითარ წვიმაში სოკო.

დაჭრილი რწმენა ფრთებსა ხრის
და სისხლით მიწას ნამავს...
ქარი უბერავს ზედა მხრის, —
არ გამიტაცოს ცამან!

მე მგოსანი ვარ, თუ შველი,
მთაში გაზრდილი მარტო?
ღმერთო, აიმ კაცს უშველე,
ჩემზე არაფერს ვდარდობ.

ერი ხომ ხედავს...

ვინ გაგიბედავს, ვინ დაიჟინებს,
რომ ქედზე მონის გედგა უღელი.
თუმცა გიმღვრევდნენ სულის სიმშვიდეს,
ვერ დაგიკრიფეს ბედშავს გულ-ხელი.

გტკიოდა დედის ხმა გარდასული
და უფრო ხვედრი მამისეული, —
ოცდაჩვიდმეტის დამღადასმული
და გათოშილი ქარში სხეული.

გტკიოდა-მეთქი, მაინც ხმამაღლა
ფიქრობდი იმას, რაც განაღვლებდა,
ქვეყანას ახსოვს, რაიც ამაყად
გითქვამს მამულის ასამაღლებლად.

თუნდ გაიწირო ძმებთან ძმობისთვის,
მწუხრის ჩამოჰკრან ზარი დარდებმა,
ერი ხომ ხედავს, ღმერთმა ხომ იცის, —
პოეტი მონად არ იბადება!

კლდესა ვგავარ თუ ღრუბელს...

და გსურს წაქცევა ჩემი,
ოღონდ... ვიღაცის ხელით,
და გშურს, რომ დღემდე მტკივა
ნაჭრილობევი ძველი.

და გეხარბება ისიც,
რომ შენი მშურდა არც რა, —
მომირთმევია თაფლი
შენი სამსალის ნაცვლად.

კლდესა ვგავარ თუ ღრუბელს,
ცრემლი წვეთ-წვეთად მცვივა,
ცისკენ მიილტვის სული —
ლოცვა ქცეული სხივად.

დედის გულივით როცა
მიწა ჩამიკრავს თავად,
ბოღმა დაგახრჩობს იმის,
რომ შენზე ადრე წავალ...

მტკივა, როგორც მტკვარი...

ჩაივლიან ჩუმად
წვიმიანი წლები,
გაცოცხლდება უცებ
ჩქარი ქვენა ქარი,
მე ლომებრივ ვლამობ,
მხნედ გავშალო მხრები,
ჯავრიანი ჯუმი
მტკივა, როგორც მტკვარი.

ხალხურ კილოზე

ჰიაყელა
უხსენებელს ეზმანება,
მძინარ მელას
დედოფალი ეზმანება;
ჯიხვი დგას და
წყალზე ჩასვლა ეზარება,
ხევის ზარსაც
ვაჰ, თუ აღარ ეზარება!

ნინო ტატიშვილი,
ეროვნული პოლიტიკური ისტორიისა და თეორიის ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი.

ეთნოკონფლიქტები და პოსტკომუნიზმი

კაცობრიობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში არაერთი სოციალ-პოლიტიკურ ფორმაციათა ცვლის მოდელი და კანონზომიერება წარმოდგენილი; ჩვენ ვიცით, რა სირთულეებთან თუ კატაკლიზმებთან იყო დაკავშირებული ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლა. რა პირობებში მიმდინარეობდა და რასთან იყო დაკავშირებული დედამიწის ერთ მეექვსედზე სოციალიზმის დამკვიდრება და შემდეგ მისი საზღვრების გაფართოება. ამ მხრივ მორიგი სიახლეა პოსტსოციალისტური (თუ პოსტკომუნისტური) რეალობა, როდესაც ძველი ისტორიის საკუთრებად ჯერ არ ქცეულა, ხოლო ახალი კი ისტორიულ ფაქტად არ დამკვიდრებულა. აღმოსავლეთ ევროპის, დღეს უკვე ყოფილ, სოციალისტურ სახელმწიფოთა ტრანსფორმაცია უნივერსალურ მოდელად, ალბათ, ძნელად თუ გამოგვადგება, მით უმეტეს, რომ ეს პროცესი ჯერ არ დამთავრებულა.

რაც შეეხება ყოფილ საბჭოთა კავშირს, როგორც გეოგრაფიულ სივრცეს და მის ადგილზე წარმოქმნილ რესპუბლიკებს, თითქმის ყველგან ერთ-ერთ უმწვავეს და დრამატულ პრობლემად ეთნოკონფლიქტები იქცა, ზოგან მან უკვე მიიღო ლოკალური ომების ხასიათი, ჯერ, ალბათ, ნაადრევია დასკვნების გამოტანა იმის თაობაზე, თუ რა როლს შეასრულებს ეთნოკონფლიქტები იმპერიის რღვევის პროცესში, როგორი ხასიათის პოლიტიკურ ტენდენციებს გააძლიერებს, მაგრამ იმის ვარაუდი კი შეიძლება, რომ ყოფილი ცენტრი შეეცდება ამა თუ იმ ფორმით იგი საკუთარი ინტერესებისთვის გამოიყენოს.

როდესაც ოფიციალური მონაცემებით ყოფილი საბჭოთა კავშირის მთელი მოსახლეობის თითქმის 60 პროცენტი თავისი ისტორიული სამშობლოს გარეთ ცხოვრობს (ამ ციფრს ახაზულებდა მიხეილ გორბაჩოვი თავის ოფიციალურ გამოსვლებში), ხოლო 30 მილიონი რუსი სხვადასხვა რესპუბლიკაშია გაფანტული, ნებისმიერი ეთნოკონფლიქტი დიდი პოლიტიკის ობიექტად შეიძლება იქცეს. ჩვენი აზრით, ხსენებული ასპექტით „განსჯის ინფორმაციას“ გვაძლევს დნესტრისპირეთის მოვლენები, ვინაიდან აქ ისე, როგორც არსად, წარმოდგენილია სწორედ 30 მილიონი რუსის ერთი ნაწილის ინტერესები, უფრო მეტიც — აქ რუსი მოსახლეობა კონფლიქტის ინიციატორი თუ არა უშუალო მონაწილეა. გარდა ამისა, დნესტრისპირეთის მოვლენებით, მეტი რომ არ ვთქვათ, აქტიურად არის დაინტერესებული რუმინეთი. კონფლიქტი თავისებურ ლაკმუსის ქაღალდად იქცა რუსი კაზაკობის დღევანდელი როლისა და ხვალინდელი პერსპექტივის ინტერპრეტაციის თვალსაზრისითაც. სწორედ დნესტრისპირეთის დილემის მრავალწახნაგოვანი არსი გვაფიქრებინებს, რომ იგი პოტენციურად მოსალოდნელი კატაკლიზმების გაცილებით უფრო კლასიკური მოდელია, ვიდრე, ვთქვათ, ყარაბაღი. მართალია, ერთი შეხედვით, უკანასკნელი „ლიდერობს“ მსხვერპლთა და საომარ მოქმედებათა ინტენსიურობით, მაგრამ თუ ღრმად ჩავწვდებით პრობლემათა არსს, დავრწმუნდებით, რომ დნესტრისპირეთში გაცილებით ხანგრძლივი მოქმედების ნაღმია ჩამალული.

როგორც რუსეთის, ასევე ჩვენს პრესაში ბევრი იწერება ეთნოკონფლიქტებით გამოწვეულ სიძნელეებზე, მის უნიკალურ (თუ შეიძლება ითქვას) ნეგატიურ ბუნებაზე, მაგრამ არსებობს კიდევ ერთი, შეიძლება ყველაზე საშიში და რეალური საფრთხე, რომელსაც პირდაპირი კავშირი აქვს დემოკრატიის პერსპექტივასთან. თუ საკითხს ფართო პლანით განვიხილავთ, იმ დასკვნამდეც მივალთ, რომ ეთნოკონფლიქტები სამოქალაქო ომის ის „ნაირსახეობაა“, რომელიც ფართოდ უხსნის კარს ტოტალიტარიზმს: არც ერთი კონფლიქტი არ თხოულობს ხელისუფლებისგან ისეთი მასშტაბის ფილიგრანულ დიპლომატიურ ტექნიკასა და ადამიანთა უფლებებზე შეიძლება ზომაგადასულად მოჩვენებულ ზრუნვას, როგორც ეთნოკონფლიქტები. მეორე მხრივ, ნებისმიერ საზოგადოებაში, ნებისმიერ დროს გამოიძებნება ძალები, რომლებიც შეეცდებიან განახორციელებინონ ხელისუფლებას თავიანთთვის სასურველი კურსი. არც ის არის გამორიცხული, რომ უკანასკნელი ყოველთვის ზუსტად ვერ დაიცავს ზღვარს, რომელიც სამშობლოს სიყვარულსა და პატრიოტიზმს სხვა ერების წარმომადგენელთა კანონიერ უფლებათა იგნორირებისაგან ჰყოფს. საკმარისია ხელისუფლებამ ერთხელ გადააბიჯოს ამ ზღვარს, რომ ანტიდემოკრატიული რეციდივი ავთვისებიანი სიმსივნის მეტასტაზად იქცეს, საკმარისია ხელისუფლებამ ერთხელ „გაუგოს გემო“ დიქტატორულ „ყოვლისშემძლეობას“, რომ ჭეშმარიტი დემოკრატია თვალსა და ხელს შუა გაქრეს. იგივე დნესტრისპირეთს რომ მივუბრუნდეთ, დღეს მოლდოვეთის გარდა კიდევ სამი სახელმწიფოს თავსატეხად იქცა ეს საკითხი; რუსეთს, უკრაინას და რუმინეთს საკუთარი ინტერესები ამოძრავებთ. კიევში, მოსკოვსა და ბუქარესტში, შედარებით სადად მოაზროვნე სახელმწიფო მოღვაწეებს მშვენივრად ესმით თუ როგორი ყველასთვის ერთნაირად საშიში ჯაჭვური რეაქცია შეიძლება მოჰყვეს საზღვრების გადასინჯვის ნებისმიერ პრეცედენტს; ომისშემდგომი ევროპა იმ ჭეშმარიტების კიდევ ერთ ილუსტრაციად იქცა, რომ საზღვრების ხელშეუხებლობა საერთაშორისო პოლიტიკური სტაბილურობის ერთ-ერთი მთავარი გარანტიაა. თუ მოლდოველ რუმინელთა ბედი კანონიერად აღელვებს ბუქარესტს, ასევე შეუძლია, რომ რუმინეთში მცხოვრებ უნგრელთა ბედით დაინტერესდეს ბუდაპეშტი, და ეს პროცესი უსასრულოა. მეორე მხრივ, არც ერთ სხვა სფეროში არ მოიძებნება ათასგვარი დემაგოგებისა და ავანტიურისტებისთვის ისეთი ნოყიერი ნიადაგი, როგორც პოლიტიკაში; გარდა იმისა, რომ ეთნოკონფლიქტებს ხშირად სწორედ პოლიტიკური დემაგოგები და ავანტიურისტები ქმნიან, თავის მხრივ ეთნოკონფლიქტებიც „ქმნიან“ უკანასკნელთ, პოულობენ და პოლიტიკური კაპიტალის სპონსორებად უდგებიან.

უკანასკნელი გარემოება კიდევ უფრო ამძაფრებს და დრამატიზმს მატებს საერთო სიტუაციას, ართულებს კრიზისის გადაჭრას. სულ რამდენიმეჯერ შეეხო დნესტრისპირეთის პრობლემას თავის საჯარო გამოსვლებში რუსეთის ვიცე-პრეზიდენტი რუცკოი, მაგრამ ძალზე დიდი დრო და ძალისხმევა დასჭირდება მისი ველიკოდერჟავული განცხადებების განეიტრალებას.

საინტერესო ფაქტია, რომ სწორედ ეთნოკონფლიქტების ფონზე, მასში აქტიური მონაწილეობით ცდილობს რეალურ სამხედრო და პოლიტიკურ ძალად იქცეს რუსეთის კაზაკობა; თავდაპირველად კაზაკებს ეგზოტიკურ-ისტორიული კოლორიტი შეჰქონდათ საპროტესტო მიტინგებში, აპრილში კი უკვე სამი ათასზე მეტი კაზაკი იბრძოდა იგივე დნესტრისპირეთში. ზუსტად, ალბათ, არავინ იცის კაზაკთა რაოდენობა (რევოლუციამდე 4 მილიონ კაზაკს ითვლიდნენ დნეპრიდან კურილის კუნძულამდე), მაგრამ დღითი დღე, რომ სულ უფრო და უფრო ხმამაღლა აცხადებენ ისინი თავიანთ არსებობაზე და პოლიტიკურ ამბიციებზე, ეს ფაქტია. რომ აღარაფერი ვთქვათ რუსეთის „სამხრეთის საზღვრების დაცვაზე“, კაზაკებმა უკვე მიიღეს აქტიური მონაწილეობა სამხედრო ფორმირების შექმნაში ლატვიაში, საჯაროდ იმუქრებიან, რომ არ დაუშვებენ სამხრეთ კურილის ოთხი კუნძულის გადაცემას იაპონიისთვის, ჯერჯერობით არაოფიციალურ დონეზე ტერიტორიულ პრეტენზიებს უყენებენ ყაზახეთს და ა. შ. აი, რა განუცხადა აპრილის დამლევს „ლოს-ანჯელეს ტაიმსის“ კორესპონდენტს კაზაკთა სრულიად რუსეთის კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ ბიზრუკოვმა — „ჩვენი წინაპრები აფართოებდნენ ჩვენი ქვეყნის საზღვრებს და ჩვენ არ შეგვიძლია უმოქმედოთ ვიყოთ, როდესაც ჩვენს ტერიტორიებს სხვა რესპუბლიკებს ურიგებენ. რუსეთი ამ მთავრობას არ შეუქმნია“.

რასაკვირველია,, თავისთავად კაზაკობას არ ძალუძს სერიოზული კვალი დაამჩნიოს რუსეთსა თუ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში მიმდინარე მოვლენებს ან თუნდაც რუსეთის ურთიერთობას მეზობლებთან, მაგრამ კაზაკობა ნებისმიერ მომენტში შეიძლება იქნეს გამოყენებული როგორც ეთნოკონფლიქტების დეტონატორი ან ინსპირატორი.

თუ რამე ემუქრება პოსტკომუნისტურ დემოკრატიასა და სტაბილურობას, ერთ-ერთი პირველი სწორედ ეთნოკონფლიქტებია.

გვეხმაურებიან

მალე ოქროს ფონდად იქცევა

კონსტანტინე ჩოლოყაშვილი,
საქართველოს ეროვნულ ფასეულობათა სახელმწიფო ფონდის თავმჯდომარე.

მიმდინარე წლის 1 მაისს „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა შრომის ვეტერანის ბატონ დავით ჰუმბურიძის მეტად მნიშვნელოვანი წერილი „მომავლის გადასარჩენად“, სადაც იგი მოითხოვს, რომ შეიქმნას „ოქროს ფონდი“, რომელიც მომავალში გახდება ბაზა ქართული ვალუტის შესაქმნელად. „ვისაც ხელეწიფება, 3-4 გრამი ოქრო, რომ გავიღოთ ქვეყნის საკეთილდღეოდ, ამით ჩვენი ოჯახები არ გაღარიბდება, სახელმწიფოს კი საგრძნობლად შეუწყობს ხელს, საქართველოში 4-5 ტონა რომ შეგროვილიყო“ — წერს ბატონი დავითი. შესანიშნავი თაოსნობაა, მისაღები და მისაბაძი!

ბატონო დავით! გაცნობებთ, რომ უკვე შექმნილია საქართველოს ეროვნულ ფასეულობათა სახელმწიფო ფონდი, რომელიც საქართველოს სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია დაბინავებული, (რუსთაველის პროსპექტი, № 3. ტელ. 99-08-18). როგორც გაზეთიდან შევიტყვეთ, თქვენ გადაწყვეტილი გაქვთ ეროვნულ ფონდს გადასცეთ 10 გრამი ოქრო და 5.000 მანეთი, რისთვისაც თავს უფლებას მივცემ ქართველი ერის სახელით დიდი მადლობა გიძღვნათ. თქვენ ბრძანდებით გაზაფხულის პირველი მახარობელი, პირველი მერცხალი, რომელმაც დახმარების ხელი გაუწოდეთ ეროვნულ ფონდს.

თქვენ გადმოგეგზავნებათ მადლობის სიგელი. გთხოვთ, შემოწირულობასთან ერთად მოგვაწოდოთ თქვენი ბიოგრაფია და ფოტოსურათი, რომელიც შეტანილი იქნება ფონდის საპატიო წიგნში, რაც უკვდავყოფს თქვენს ღვაწლს ქართველი ხალხის წინაშე. თქვენი შემოწირულობა გატარდება საქართველოს ეროვნულ ფასეულობათა სახელმწიფო ფონდის მთავარ დავთარში.

ჩვენ ბარათებს დავუგზავნით ყოფილ საბჭოთა კავშირში მოღვაწე ქართველებს, რომ გვერდში ამოგვიდგნენ ამ საშვილიშვილო საქმეში.

იმედი გვაქვს, ბევრი მომხრე აღმოუჩნდება თქვენს წინადადებას და, ვფიქრობთ, ჩვენი ფონდი მალე მართლაც ოქროს ფონდად იქცევა.

...პოეზია უპირველეს ყოვლისა!

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა უყურადღებოდ არ ტოვებს ჩვენი საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების არც ერთ მნიშვნელოვან მოვლენას. ამ დღეებში ნაქტო დარბაზში ბიბლიოთეკის მასობრივი მუშაობის განყოფილების თაოსნობით (გამგე — ზ. ჟიჟილაშვილი) გაიმართა დიდი ქართველი მგოსნის გალაკტიონ ტაბიძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, რომელსაც უძღვებოდა ჩვენი ცნობილი მსახიობი ზინაიდა კვერენჩხილაძე. მან პოეტის სურათს სანთელი აუნთო და უკვდავებით სავსე დარბაზში გაისმა გალაკტიონის ჩანაწერის ხმა. შემდეგ სიტყვით გამოვიდა ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე აკაკი ძიძიგური. მოგონებებით გამოვიდნენ სახელმწიფო არქივის დირექტორი ვახტანგ გურგენიძე და მწერალი ვახტანგ ჯავახაძე.

დამსწრეთა ინტერესი გამოიწვია ვესტიბიულში გამართულმა საგანგებო გამოფენამ, რომელშიც ასახულია გალაკტიონის ცხოვრებისა და შემოქმედების გზა, გზა პოეტისა, რომლისთვისაც სამშობლო და პოეზია იყო უპირველესი საფიცარი.

ენძელა ბერიკაშვილი,
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი ბიბლიოთეკარი.

ხობში სიმშვიდე ისადგურებს

ხობში და რაიონის სოფლებში არ ეწყობა მიტინგები, სწავლება 40-ვე სკოლაში მიმდინარეობს და დასწრებაც ნორმალურია, მოქმედებს ყველა საწარმო, რომელიც კი უზრუნველყოფილია ნედლეულით, ტრანსპორტი შეუფერხებლივ მუშაობს, მომარაგებული აქვთ საწვავი.

სავალალო მდგომარეობაა მშენებლობის ობიექტებზე, რაც გამოწვეულია სამშენ მასალათა უქონლობით, თუმცა შესაძლებლობის ფარგლებში მაინც აღადგენენ შეტაკების დროს სროლისაგან დაზიანებულ შენობა-ნაგებობებს. დაიწყო მდინარე მურჩაზე აფეთქებული ხიდის და სოფელ თორსაში აფეთქებული ხიდ-ბოგირების აღდგენითი სამუშაოები. ქალაქში წესრიგს იცავენ შინაგან საქმეთა მუშაკები.

ეს განუცხადა ჩვენს კორესპონდენტს ხობის რაიონის გამგეობის თავმჯდომარემ თემურ გერგაიამ.

თემურ ბურდილაძე.

ეს ჩვენი საქართველოა!

რიტმისა და მელოდიის ეშხი

23-24 მაისს მაყურებლები, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში მოვლენ, ცეკვის ჯადოსნურ სამყაროში მოხვდებიან — მათ წინაშე გამოვა 15 წლამდე და უფროსი ასაკის 40-ზე მეტი წყვილი. ისინი აჩვენებენ პროგრამას, რომელიც გათვალისწინებულია სამეჯლისო სპორტული ცეკვების საერთაშორისო მრავალჭიდით.

საქართველოს პირველობაში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის, ქუთაისის, ზუგდიდის, ფოთის, ოზურგეთის, ბორჯომის, სოხუმის, გურჯაანის, თელავის— ამ ქალაქების საუკეთესო წყვილები, რომლებშიც მოქმედებს სამეჯლისო სპორტული ცეკვების ასოციაციის კლუბები, ისინი თავიანთ ხელოვნებას ცხადყოფენ ხუთი ევროპული ცეკვით — ვალსი, ნელი ვალსი, ტანგო, ფოქსტროტი და კვიკსტეპი, აგრეთვე ხუთი ლათინურ-ამერიკული ცეკვით.

ასოციაციის პრეზიდენტმა თენგიზ გაჩეჩილაძემ თქვა:

— გამარჯვებულთა სამი წყვილი საქართველოს წარმოადგენს საერთაშორისო შეჯიბრებაზე იტალიაში, რომელიც მიმდინარე წლის 6-12 ივლისს გაიმართება.

სურათზე: სამეჯლისო სპორტული ცეკვების საერთაშორისო კონკურსების ლაურეატები ცოლ-ქმარი თენგიზ გაჩეჩილაძე და ლარისა ქურდაძე; ნორჩი მოცეკვავეები ეკა დოლიძე და იგალი მამისთვალოვი.

გივი კიკვაძის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ხუმრობაგაშვებით

დავეხმაროთ იაპონელებს

ამას წინათ პრესაში ამოვიკითხე: იაპონელებს იმისთანა სატკივარი სჭირთ, ძნელად თუ განიკურნებიანო. არ იკითხავთ, რა? თურმე, შრომაში ისე ჩაერთნენ, რაც უნდა ეძალაო, თავს ვერ ააწყვეტინებ, საქმეს ვერ მოაცილებ. ძალს სოციოლოგები არიან და ძალს მომუშავენი, მაგრამ ეს უკანასკნელნი აშკარად სჯაბნიანო.

ეს რომ გავიგე, ცოტა არ იყოს შევფიქრიანდი — ჩვენამდე რომ მოაღწიოს ამ სენმა, რაღა გვეშველება-მეთქი ისედაც ორომტრიალში ჩავარდნილებს. თუმცა, ჩვენში დამკვიდრებული მიტინგობანა რომ გამახსენდა, უმალ დავმშვიდდი, მივხვდი, რომ საშიშროება არ გველის, ჩვენი ხალხი სრულიად დაზღვეულია ამ დაავადებისგან.

ეს რომ ასეა, თვით საერთაშორისო ექსპერტებიც დაგვიდასტურებენ, მაგრამ ამ ქვეყანაზე მარტო ჩვენ ხომ არა ვართ? ქართველებს კი გვაქვს საქმე ალიუზე, მაგრამ სხვებზეც ხომ უნდა ვიფიქროთ?

კერძოდ, ერთი აზრი ამეკვიატა: რით შეგვიძლია დავეხმაროთ იაპონელებს?

ალბათ, ისევ ჩვენი მომიტინგეების მდიდარი გამოცდილებით. შევადგინოთ, როგორც ადრე ვიცოდით, სრულუფლებიანი დელეგაციები და მივავლინოთ იაპონიაში. უნდა ვივარაუდოთ, რომ მათ არ გაუჭირდებათ შრომასგადაყოლილ იაპონელთა აცუნდრუკება, ტოკიოში, პინძაზე მიტინგების სტაბილური ჩატარება და ამომავალი ქვეყნის ეკონომიკის დესტაბილიზაცია, რითაც სხვათა შორის, კარგ სამსახურს გაუწევენ განაწყენებულ ამერიკას.

მაგრამ, თუ მაინც გაჭირა ღმერთი და სასურველს ვერ მივაღწიეთ, მაშინ, ალბათ, ქალებიც უნდა დავიხმაროთ. საკმარისია ერთი ორი კარავი დავცეთ იმპერატორის სასახლესთან და სამუშაო ვილას გაახსენდება, ორ კვირაში მთელი ტოკიო ყალყზე დადგება.

ერთი კია, მიტინგზე რა უნდა ილაპარაკონ, ლარივით აწყობილი ცხოვრების პატრონ იაპონელებს რაში უნდა დასდონ ბრალი? ამან შეიძლება ერთგვარად შეაფერხოს დესტაბილიზაცია, მაგრამ ჩვენი მომიტინგეების ამბავი რომ ვიცი, თუ მოინდომეს, საბაზრო ეკონომიკასაც მოუძებნიან კბილის გასაკრავს.

რაც შეეხება სოფელს, აქ საქმე შედარებით იოლად წავა. უპრიანი იქნება ჩვენთან გაუქმებული კოლმეურნეობები იქ გადავიტანოთ და თავმჯდომარეებად ჩვენივე ხალხი დავუნიშნოთ. კარებზე წავაწეროთ: „რაც მოგივა დავითაო, ზოგი ჩვენი და ზოგიც შენი თავითაო!" იაპონელების გულმოდგინების ამბავი რომ ვიცი, ჩვენსავით 70 წელიწადს აღარ დაიცდიან.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს იაპონელებს ვალუტა დაუჯდებათ, მაგრამ ეს არაფერი საძრახისია. როგორ, ამოდენა საქმე გავუკეთოთ, მონურ შრომას გამოვგლიჯოთ და საფასურიც აღარ გადაგვიხადონ? ჩვენ უარიც რომ ვთქვათ ანაზღაურებაზე, ხიროსიმასა და ნაგასაკის აღდგენის ფონდის სასარგებლოდ, დარწმუნებული ვარ, თავმოყვარე იაპონელები ამას თვითონვე არ იკადრებენ.

ოთარ ხუციშვილი.

P. S. მოლა ნასრედინისა არ იყოს — თავისივე ტყუილი რომ დაიჯერა და ხალხს გაჰკიდა — იქნებ მართლა არიგებენო ფლავს, — გთხოვთ, ყოველ შემთხვევაში, პირველი დელეგაციის შემადგენლობაში მეც მიგულისხმოთ.

ქალობა დაიმკვეხაროს...

მან ახალი სიტყვა თქვა გერმანულ ლინგვისტიკაში

ლარისა ხუბულური

როგორი სიხარულისა და სიამაყის გრძნობა გეუფლებათ, როცა ნამდვილად ნიჭიერსა და ბეჯით ახალგაზრდას შეხვდებით. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის მანანა პაიჭაძის გაცნობამ სწორედ ასეთ სიხარულს მაზიარა.

მანანას ჯერ კიდევ ბავშვობიდან ვიცნობდი, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სპეციალურ სამუსიკო სასწავლებელში ჩემს გოგონასთან ერთად სწავლობდა. მუყაითობით და დიდი მუსიკალური ნიჭით გამოირჩეოდა, მაგრამ შემდეგ სასწავლებლიდან გამოიყვანეს, რადგან სამი წლის ასაკიდან გაძლიერებით გერმანულ ენას სწავლობდა, რაც ბავშვისგან დიდ დატვირთვას მოითხოვდა. დაამთავრა თბილისის იან კომენსკის სახელობის 24-ე საშუალო ინგლისური ენის შესწავლის სპეციალიზებული სკოლა ოქროს მედლით. თუმცა მუსიკისთვის არასდროს უღალატია. მეცნიერულ მოღვაწეობასთან ერთად, იგი მისი მეორე პროფესია გახდა.

— გერმანული ენის შესწავლაში, — მიამბობს მანანა, — რომელიც ჩემთვის მეორე დედაენად იქცა, დიდი ამაგი დამდო ცნობილმა პედაგოგმა, აწ განსვენებულმა ლილი სანიკიძემ, შემდეგ კი მისმა ქალიშვილებმა ნინო კალანდარიშვილმა და ლანდა დიდებულიძემ, გერმანულის ცოდნამ კი გამიადვილა დავუფლებოდი ინგლისურ ენას.

სკოლის დამთავრების შემდეგ მისი მამის, პროფესორ გიგა პაიჭაძის რჩევით, სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დასავლეთ ევროპის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის გერმანულ განყოფილებაზე. აქ იგი წარჩინებით სწავლობდა, და უკვე მესამე კურსიდან, პროფესიის უკეთ დაუფლების მიზნით, გაგზავნეს გერმანიაში. ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტში გერმანისტიკის ფაკულტეტზე ოთხი წლის განმავლობაში ეუფლებოდა გერმანული ენის საიდუმლოებას.

იენაში ქართული კულტურის დიდმა მოამაგემ პროფესორმა ჰაინც ფენრიხმა დააარსა საქართველოს მოყვარულთა საზოგადოება, რომელიც წელს საქართველოს მოყვარულთა კლუბად გადაიქცა. ბერლინში არის ამ კლუბის შტაბ-ბინა, გამგეობა, იენასა და სხვა ქალაქებში — კლუბის ფილიალები. ფენრიხის საზოგადოებაში მანანა პაიჭაძემ, როგორც მუსიკოსმა, თერთმეტი სოლო-კონცერტი გამართა, სადაც მან გერმანელ მაყურებელს გააცნო ქართული ოპერა, ჩვენი მდიდარი ქართული ხალხური მუსიკა, თანამედროვე საესტრადო ხელოვნება, ესაუბრა ქართველ მხატვრებზე. ამის თაობაზე, საინტერესოდ გვიამბობდა ქართულ პრესაში დოქტორი რუდოლფ ლოევე.

მანანამ სადიპლომო ნაშრომი დაამუშავა ქართველი საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი მეცნიერის ჰერტრუდა პეჩის ხელმძღვანელობით, რომელმაც, სათუთოდ, დიდი ამაგი დასდო ახალგაზრდა მეცნიერის ჩამოყალიბებას. მანანა ახლაც სიყვარულით იხსენიებს ქალბატონ ჰერტრუდას სემინარებს, და თავისი სადოქტორო დისერტაციაც, ნიშნად პატივისცემისა, მას მიუძღვნა.

1982 წელს მანანა პაიჭაძე უკვე თბილისშია, ასპირანტურაში აგრძელებს სწავლას, ქართული გერმანისტიკის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენლის პროფესორ ვიოლა ფურცელაძის ხელმძღვანელობით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ლექსიკური ფაქტორების გავლენა ზმნური გვარის მექანიზმზე თანამედროვე გერმანულ ენაში". სწორედ ამ ნაშრომში გამოიკვეთა „რეფლექსური" ზმნების გრამატიკული სტატუსის საკითხი, რომელიც მან შემდგომ განავითარა თავის სადოქტორო დისერტაციაში, რომლის მომზადებისა და დაცვისათვის იგი კვლავ გაემგზავრა გერმანიაში, ამჯერად ლაიფციგში, რადგან იქ მოღვაწეობს ცნობილი ენათმეცნიერი გერჰარდ ჰელბიგი. აქ მთელი წლის განმავლობაში ქართველი მეცნიერი ესწრებოდა ჰელბიგის სემინარებს, სხდომებს, სადაც სადისკუსიოდ გაჰქონდა თავისი სადოქტორო დისერტაციის ნაშრომის გარკვეული თავები.

დისერტაციის თემა კი გახლავთ „რეფლექსურობის კატეგორია თანამედროვე გერმანულ ენაში (გრამატიკული სტატუსი და გამოხატვის ფორმები)". ამ ნაშრომში ავტორი შეეცადა დაესაბუთებინა, რომ გერმანულ ენაშიც ფუნქციონირებს ისეთი ზმნური გრამატიკული კატეგორია, რომელიც ყველა ქართველისთვის ცნობილია. ეს არის ზმნის ქცევის კატეგორია (სასხვისო, საარვისო და სათავისო). როგორც საყოველთაოდ ცნობილია ენათმეცნიერებაში, იგი მხოლოდ ქართველური ენებისთვის არის დამახასიათებელი, სხვა რომელიმე ენაში მისი ესოდენ მკვეთრი გრამატიკული ფორმით არსებობა დღესდღეობით დაუდგენელია. ქართველი მეცნიერის დამსახურება სწორედ ის არის, რომ შეძლო, დაენახა გარკვეული კანონზომიერება ქცევის კატეგორიის არსებობისა და ფუნქციონირებისა გერმანული ენის მასალაზე, და ეს განსაკუთრებით საინტერესო იყო, როგორც გერმანისტისა და როგორც ქართველისთვის, რადგან სათავისო ქცევა და რეფლექსურობა თითქმის ყველა შემთხვევაში იდენტური მოვლენებია, გამოკლებით ზოგიერთი სპეციფიკური, ფორმალურად რეფლექსური ზმნური კონსტრუქციებისა.

ამდენად ყველაზე მთავარი სიახლე მანანა პაიჭაძის ნაშრომში სწორედ ქცევის კატეგორიის მოდელის გადმოტანაა გერმანულ გრამატიკაში და ფაქტობრივად უკვე შეიძლება ითქვას, რომ ქცევა, ანუ ვერსია, უკვე დაინერგა გერმანულ ლინგვისტიკაში.

— თავისთავად ცხადია, — გვითხრა ახალგაზრდა მეცნიერმა, — ამ ნაშრომში ყველა პრობლემის გადაწყვეტა ვერ მოვახერხე. ეს შეუძლებელიც არის, რადგან რეფლექსურობა იმდენად რთული საკითხია, რომ ენის მრავალ სფეროს მოიცავს, და არა მარტო გრამატიკას. ეს მომავლის საქმეა.

სადოქტორო დისერტაცია მანანამ ახლახან, 3 მარტს დაიცვა. ოპონენტები იყვნენ გერჰარდ ჰელბიგი, იოახიმ ბუშა და ჰაინც ფენრიხი. ლაიფციგის უნივერსიტეტის მეცნიერთა საბჭომ ერთხმად მიანიჭა მას ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის წოდება.

როცა მანანა თავის სამეცნიერო ნაშრომებს მაჩვენებდა, ჩემი ყურადღება მიიქცია გერმანულმა საგაზეთო სტატიებმა, სადაც წერილებთან ერთად მისი ფოტოსურათებიც იყო გამოქვეყნებული.

— ეს ჩემს მეორე პროფესიას ეხება, — მითხრა მანანამ და გადმომიწყო რამდენიმე გაზეთი, — თუმცა ბავშვობაში ფორტეპიანოს სწავლას თავი დავანებე, მაგრამ მუსიკას ყოველთვის გატაცებით ვეუფლებოდი, ვმღეროდი, აღმოჩნდა მეცო-სოპრანო, და იენაში ყოფნისას სამუსიკო სასწავლებელში ფრაუ ზიგრიდ იანთან ვოკალის განყოფილებაზე ვსწავლობდი. პირველი სოლო კონცერტი 1982 წლის 19 აპრილს მქონდა, მას შემდეგ უკვე საკონცერტო მოღვაწეობას ვეწეოდი როგორც გერმანიაში, ასევე აქ, თბილისში.

აღსანიშნავია, რომ მან ამ ორი წლის წინათ პროფესორ რუსუდან ხოჯავასთან ერთად, რომელიც მას აკომპანიმენტს უწევდა, საქველმოქმედო კონცერტები გამართა ზაარის მხარეში, ქალაქებში— ეპელბორნში, ფიოლკლინგენში, ზაარბრიუკენსა და ილინგენში. რეცენზენტები აღტაცებულ შეფასებას აძლევდნენ მისი თბილი და გულში ჩამწვდომი ხმის ტემბრს.

მან ახლაც, გერმანიაში ყოფნისას გამართა სოლო კონცერტები და რეცენზენტთა ფართო აღიარება პოვა.

აი, ასეთია ნიჭიერი, მშვენიერი მანანას (ასაკის გამხელა რა საკადრისია) უკვე საამაყო ბიოგრაფია. გვიმრავლოს ღმერთმა, შენისთანა შვილები!

• • •

სურათზე: მანანა პაიჭაძე.

სპორტი

● **ფეხბურთში საქართველოს 1992 წლის თასის მფლობელი გამოვლინდება თბილისის „იბერიასა" და სოხუმის „ცხუმის" შეხვედრაში. ეს გაირკვა საპასუხო ნახევარფინალური მატჩების შემდეგ.**

ორგზის რესპუბლიკის ჩემპიონმა და წლევანდელი ჩემპიონატის ლიდერმა „იბერიამ", რომელმაც პირველ შეხვედრაში დაამარცხა „ქუთაისი" ანგარიშით 2:0, საპასუხო შეხვედრაში მეტოქის მოედანზე მატჩი ფრედ — 1:1 დაამთავრა. „ცხუმმა", რომელიც ახლა ჩემპიონატში მესამე ადგილზეა, ასევე საყაიმო ანგარიშით დაასრულა პირველი მატჩი ზუგდიდში ადგილობრივ „ოდიშთან", საკუთარ მოედანზე კი მინიმალური ანგარიშით შეძლო მეტოქის დამარცხება — 1:0.

ფინალური შეხვედრა გაიმართება 26 მაისს თბილისში, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე.

დანიშვნა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით **კონსტანტინე სიმონის ძე შუბაშვილი** დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილედ.

გამოსათხოვარი

მურმან გიორგობიანი

მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის ღვაწლმოსილი მუშაკი მურმან სერაფიონის ძე გიორგობიანი.

მ. გიორგობიანი 1925 წელს თბილისში დაიბადა.

1949 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 1952 წელს კი — სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურა. შრომითი მოღვაწეობა დაიწყო 1952 წლიდან. მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. იყო საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო, საერთო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი, ქ. რუსთავის, ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის პროკურორი. არჩეული იყო საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს წევრად. ერთხანს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ორგანოების სამმართველოს უფროსად, შემდეგ თბილისის ლენინის რაიონის პროკურორად მუშაობდა.

სამართლიანობის, პრინციპულობის და მოქალაქეთა მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულებისთვის მ. გიორგობიანი არაერთხელ ყოფილა წახალისებული და დაჯილდოებული საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის ბრძანებებით.

უდროოდ წავიდა ჩვენგან შესანიშნავი მოქალაქე, რომელიც სითბოსა და სიკეთეს თესდა, თავის მდიდარ გამოცდილებას და ცოდნას სამართალდამცავი ორგანოების ახალგაზრდა სპეციალისტებს გადასცემდა, მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება ახლობლების, თანამშრომლების და მეგობრების გულში,

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურა.

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომერი ექვსგვერდიანია.

კვირის კრიმინალური ქრონიკა

განვლილი კვირის განმავლობაში სისხლის სამართლის სამძებრო ხაზით რეგისტრირებულია 287 დანაშაული (შარშან ამავე პერიოდში მოხდა 187): 28 მკვლელობა (7 გაიხსნა) 12 სხეულის დაზიანება, 1 გაუპატიურება, 40 სახელმწიფო ქონების ქურდობა, 85 პირადი ქონების ქურდობა, 80 პირადი ქონების ძარცვა-ყაჩაღობა, 29 ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გატაცება, 85 ავტოსაგზაო შემთხვევა— მათ შორის 16 შემთხვევა სიკვდილით დამთავრდა, და სხვა.

10 მაისს თბილისის საკვანძო სადგურის შინაგან საქმეთა განყოფილების თანამშრომლებმა რუსთავის სადგურის სატვირთო პარკში დააკავეს ვასიკო ლომიძე და სერგო მაისურაძე, რომლებმაც ვაგონიდან დაიტაცეს 375 ცალი „ჟიგულის" ზეთის ფილტრი, რომლის საერთო ღირებულება 30 ათას მანეთს შეადგენს. ნაქურდალი ჩამორთმეულია.

11 მაისს ცაგერის რაიონის სოფელ წიფურჩის ტერიტორიაზე ოთხმა ავტომატით შეიარაღებულმა პირმა გააჩერა ავტომანქანა, რომელსაც მართავდა მამუკა თვარაძე. მას მიჰყავდა ცაგერის რაიონის ადგილმრეწვის დირექტორი კარლო მუშკუდიანი. მძარცველებმა ფულის გამოძალვის მიზნით გაიტაცეს ავტომანქანა კარლო მუშკუდიანთან ერთად. იმავე დღეს ცაგერის შს რაიგანყოფილების მუშაკებმა დააკავეს უმუშევრები მერაბ დოლიძე, ჯონდო სალინაძე და გიორგი ქარსელაძე. მეოთხე მიიმალა (კარლო მუშკუდიანი ოჯახს დაუბრუნდა). ჩხრეკის დროს ჩამოართვეს ავტომატი და ოცი ვაზნა, ნაგანის სისტემის რევოლვერი და შვიდი ვაზნა, აგრეთვე ხელყუმბარა. ავტომანქანა მფლობელს დაუბრუნდა.

12 მაისს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ბუკნარის ტერიტორიაზე იპოვეს ავტომანქანა (სახ. ნომერი ი 8155 გა), რომელიც ეკუთვნის ბათუმელ ანზორ ხელაძეს. საბარგულში აღმოაჩინეს ოზურგეთის რაიონის სოფელ ძიმითის მცხოვრებლების, უმუშევრების, მარტის ბოლოს ქუთაისის საგამოძიებო იზოლატორიდან ამნისტიით განთავისუფლებულების იოსებ მელუას და გია მეგრელიშვილის გვამები. მათ სახის არეში ცივი და ცეცხლსასროლი იარაღით ჭრილობები ჰქონდათ მიყენებული.

12 მაისს ქალაქ ტყიბულში, რუსთაველის ქუჩაზე, რომან ობოლაძემ ეჭვიანობის ნიადაგზე გულმკერდისა და მუცლის არეში დაჭრა მამუკა ბოჭორიშვილი, რომელიც საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. რომან ობოლაძე დაკავებულია.

12 მაისს, ორი ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული ბოროტმოქმედი თავს დაესხა ქალაქ ქუთაისში ახალგაზრდობის გამზირზე მცხოვრებ გიორგი საკანდელიძის სახლს და გაიტაცა გერმანული წარმოების სანადირო თოფი, სხვადასხვა ტანსაცმელი, 8 ათასი მანეთი. ოპერატიული ღონისძიებების შედეგად დააკავეს ადრე ნასამართლევი, 5 მარტს ქუთაისის საგამოძიებო იზოლატორიდან ამნისტირებული დავით ხეცურიანი, რომელსაც დაკავებისას აღმოაჩნდა ხელყუმბარა და გადაჭრილი „გეკოს" თოფი 50 ცალი ვაზნით, ხოლო მეორე ბოროტმოქმედი, სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტის სტუდენტი გოჩა ჯანელიძე შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

12 მაისს სოხუმში, ენგელსის ქუჩაზე ღვინის ქარხნის საწყობში ქურდობის ფაქტზე დააკავეს ევგენი კალენტეევი, რომელიც ამა წლის 13 იანვარს გაიქცა მეცხრე საგამოძიებო იზოლატორიდან.

ნანა მაყაშვილი,
შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის თანამშრომელი.

თავშესაქცევად

8 მცნება მეუღლეებს

ამერიკელი ფსიქოლოგები მეუღლეებს ურჩევენ

ცოლებო, გახსოვდეთ!

● თუ თქვენი ქმარი სამსახურებრივ კიბეზე არც ისე სწრაფად მიიწევს ზემოთ, როგორც საჭიროდ მიგაჩნიათ, ნუ ეტყვი ამას, ეს მხოლოდ გააუარესებს მდგომარეობას.

● თუ თქვენ საკუთარი ანგარიში გახსენით შემნახველ სალაროში, აუცილებლად უთხარით ქმარს, თორემ თვითონ თუ შეიტყო, ეს უნდობლობის საბაბი გახდება.

● თუ თქვენი ქმარი მივლინებაში იყო, თქვენ კი ამ დროს ნაცნობი მამაკაცი გესტუმრათ, სჯობს უამბოთ, თორემ ამას თქვენ მაგივრად მეზობლები იზამენ.

● თუ ისეთი რამ შეიძინეთ, რაც ოჯახის ბიუჯეტის ფარგლებს სცილდება სჯობს ესეც უთხრათ.

● თუ თქვენი ქმრის ყოფილი მეგობარი ქალის ფოტოსურათი იპოვეთ მის ჯიბეში ან ავტომობილში, კრინტსაც ნუ დასძრავთ. ასეთი რამ მოსდით ხოლმე რომანტიკული ხასიათის მამაკაცებს.

● თუ თქვენმა ქალიშვილმა გითხრათ, რომ უსაზღვროდ შეყვარებულია მეზობლის ვაჟზე, ნუ გაამჟღავნებთ: თუ მოისურვებს, თვითონ ეტყვის მამას.

● თუ სკოლაში დაგიბარეს თქვენი ვაჟიშვილის ოინების გამო, აუცილებლად უთხარით ქმარს. იგი უნდა გრძნობდეს, რომ ბავშვის აღზრდის პროცესში მონაწილეობს.

● ხშირად გაუმეორეთ ხოლმე ქმარს, რომ იგი გიყვართ, სიტყვა „მიყვარხარ", ალბათ, ერთადერთი სიტყვაა, რომელიც ათასწლეულების მანძილზე სასწაულებს ახდენს.

ქმრებო, ნუ დაივიწყებთ!

● ცოლამდე რომ რამდენიმე ქალი გყავდათ, ეს შეგიძლიათ მეუღლეს უთხრათ, მაგრამ ამ ქალებს ნუ გაიხსენებთ ხოლმე, განსაკუთრებით ერიდეთ ყოველგვარ შედარებას.

● როცა სამსახურში უსიამოვნო რამ შეგემთხვევათ, უამბეთ ცოლს, კარგი მეუღლე ყველაფერს გაგიგებთ და მხარშიც ამოგიდგებათ.

● თუ რაიმე გაწუხებთ ბავშვის აღზრდისა თუ ოჯახის გაძღოლის მხრივ, ნუ დაუმალავთ.

● ნუ დააყვედრით ცოლს, რომ იგი მეტისმეტად გასუქდა ან გახდა. ჯერ მიზეზი გამოარკვიეთ.

● ყოველთვის პატიოსნად გააცანით ცოლს თქვენი შემოსავალი, რადგან ბიუჯეტის საკითხი მთელი ოჯახის საქმეა.

● ვთქვათ, სამუშაოზე არის ქალი, რომელიც დღენიადაგ გეკეკლუცებათ, ოჯახში ამის თაობაზე ხმას ნუ ამოიღებთ. ეს ცოლთან საუბრის საუკეთესო თემად ვერ გამოდგება.

● თუ რაიმეს გამო დაგაჯარიმეს, მშვიდად მოახსენეთ ცოლს, იოლი არ არის, როცა გულში რაღაც დანაშაულს გრძნობ.

ბოლო პუნქტი მთლიანად იმეორებს ცოლებისთვის განკუთვნილი მცნებების ბოლო პუნქტს.

ამოცანა

ვერგილ სუხიტაშვილი
კონკურსი — „თოთლაძე-60",
1991 წ.



შამათი ორ სვლაში

ცნობილი პრობლემისტის (ასე უწოდებენ ამოცანების შემდგენელთ), მათემატიკის მასწავლებლის ვერგილ სუხიტაშვილის (გორი) ამ ნაწარმოებში შავი მეფის ყოველ სვლაზე გამზადებულია შამათი, მაგრამ სვლა თეთრებისაა და ისინი ვერ ახერხებენ მას. ამიტომ საძებნელია სხვა გზა.

ჩვენი გაზეთის 2 მაისის ნომერში დაბეჭდილი დ. გურგენიძის ამოხსნა: 1. მg8+ მფd4 2. ეf1 a2 3. ეd1 მფe5 4. მe2 ეb8+ 5. მფa3 ეb1 6. ე:d2 a1ლ+ 7. ეa2. ყაიმი.

კროსვორდი

თარაზულად: 8. სამეურნეო ან გონებრივი მოღვაწეობის რაიმე დარგის განვითარების დონე, ხარისხი. 9. სხვა ქვეყანაში საიდუმლო პოლიტიკური დავალებით გაგზავნილი პირი. 10. არგენტინელი კომპოზიტორის ა. გერუტის ოპერა, 11. კოშკის ან კედლის ძველებური საათი, რომელიც რეკავს და თან ასრულებს რაიმე მუსიკას. 12. მცენარეულის, მთვარისა და ნილოსის ღმერთი ძველ ეგვიპტურ რელიგიაში. 15. ისტორიული ოლქი საფრანგეთში. 17. რისამე ფასი კერძო ბაზარში. 18. ფეოდალი, მემამულე აზერბაიჯანელებში, თურქეთში. 19. ძველი ქართული მონასტერი კუნძულ კვიპროსზე. 20. ვაშლის ღვინო. 23. ტყავის თხელი ფენა რისამე ზედაპირზე. 24. ავსტრიელი კინომსახიობი. 26. ქიმიური ელემენტი. 29. იტალიელი კომპოზიტორი და მევიოლინე. 31. ფრანგი კინომსახიობი, მერაბ პაპაშვილის როლის შემსრულებელი გ. დანელიას ფილმში „პასპორტი". 32. ევროპის სახელმწიფო. 33. მთავარი როლის შემსრულებელი ე. შენგელაიას ფილმში „ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი". 34. სამწახნაგოვანი პირის პატარა ხანჯალი.

შვეულად: 1. საქართველოს მეფე, თამარ მეფის ასული. 2. ცეკვა თითის წვერებზე ბალეტში. 3. კათოლიკური ეკლესიის მეთაური. 4. აღმოსავლური საკრავი. 5. ბრაზილიელი ფეხბურთელი. 6. ინდისხურმა. 7. კალათბურთსა და ხელბურთში მთელი გუნდის მიერ მოწინააღმდეგის პირისპირ თამაში ახლო მანძილზე. 13. სასამართლოს განაჩენისა და გადაწყვეტილების გასაჩივრება და გადასინჯვა ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში. 14. ამერიკელი ელექტროტექნიკოსი და გამომგონებელი. 16. შესაძლებლობა, მოხერხება. 18. უელსში გამართული სახალხო პოეტური შეჯიბრების მონაწილეს წოდება. 21. ვისიმე ან რისამე წინააღმდეგ მოქმედება. 22. უმაღლესი სამხედრო სასწავლებლის ასპირანტი. 25. ქართველი კომპოზიტორი. 27. ბრაზილიელი ფეხბურთელი. 28. სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე ზოგი დოკუმენტის სახელწოდება. 30. აზრი, ჩანაფიქრი. 31. თეატრის მსახიობთა კოლექტივი.



2 მაისს გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 9. წუწუნავა. 10. ვარიაცია. 11. გოდარი. 12. მასერუ. 13. ზეინაბი. 14. „შაქირი". 16. ალიონი. 18. მაგია. 21. ტარიელი. 22. ბახანთი. 23. დარიე. 24. მონსტრი. 26. დიორამა. 28. აბასი. 31 ქარტია. 34. კიმონო. 36. რეგალია. 37. კორიფე. 38. გუნაგი. 39. დიაფილმი. 40. კოკელაძე.

შვეულად: 1. ბუფონადა. 2. გუმანი. 3. პარიზი. 4. ჯარდინა. 5. ზვარაკი. 6. პრემია. 7. ბარსკი. 8. მიგრანტი. 15. რეესტრი. 17. ლოსიონი. 18. მიდია. 19. „გორდა". 20. აბედი. 25. ორატორია. 27. მანაგაძე. 29. ბეგონია. 30. „სელტიკი". 32. ტრიუფო. 33. არეალი. 34. „კაბუკი". 35. მინელი.

რეკლამა და განცხადება

გავაზი
სადაზღვევო კომპანია

საწარმოებს, ორგანიზაციებს,
ფირმებსა და კერძო პირებს

სადაზღვევო კომპანია „გავაზი" გთავაზობთ უნივერსალურ სადაზღვევო მომსახურებას თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ სფეროში.

გადასახდელის ყველაზე დაბალი განაკვეთი და ზარალის ოპერატიული ანაზღაურება თქვენთვის ხელსაყრელი პირობებია, რომელთა შექმნაც მხოლოდ „გავაზს" შეუძლია.

მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 48, ტელ.: 39-55-67, 39-11-64.

გახსოვდეთ!

ცხოვრება სავსეა მოულოდნელობით, „გავაზი" თქვენი ფინანსური წონასწორობის გარანტია!

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.

მისამართი: 380096, თბილისი, 96, კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მოადგილე [illegible];
წერილების განყოფილება [illegible].

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კომბინატში, [illegible] ქ. № [illegible].

ინდექსი 65424